საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№17 (346)
11 – 17 მაისი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



გულითადად გილოცავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 71 წლისთავს!

# «ქართული ოცნება» და გალღვიძებული ეშმაკი

4

«ის ადამიანები, რომელთათვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ბინძური ავტორიტარული რეჟიმის რესტავრაცია არ მოხდეს, ალბათ, არ უნდა დაელოდონ მთავრობის «გალღვიძებას» და თვითონ მიიღონ პრევენციული ზომები იმისთვის, რომ სააკაშვილის ჯგუფმა ქვეყნის დესტაბილიზაცია ვერ მოახერხოს»



# კადავერინი*

3



* კადავერინი — „გვამური შხამი", რომელიც წარმოიქმნება გვამში ცილების გახრწნის შედეგად. აქვს მძაფრი სუნი.

# იუვენალური იუსტიცია ოჯახისა და ეკლესიის წინააღმდეგ...

8

ევროკავშირში შესვლის მსურველებს მათი კანონებისა და „ღირებულებების" მიღება მოეთხოვებათ. ჩვენ თვალწინ ხდება ოჯახის ნგრევის საერთაშორისო პროგრამის რეალიზება.




2 «ნატოს სურს, კონფლიქტი საქართველოში გადმოიტანოს. ამ ჩანაფიქრს ხელს უწყობს რესპუბლიკური პარტია, რომელიც ჩანერგილია დასავლეთის მიერ»

5 «აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიდის და თურქეთის ჩაის პლანტაციებში სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, ვინაიდან თავის გადარჩენის ერთადერთ გზას ამაში ხედავს»

6 ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება
ბელარუსის დედაქალაქმა დიდი სამამულო ომის ვეტერანები განსაკუთრებული პატივით მიიღო

9 მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების წყალქვეშა დინებები

13 «ზარალას» მფარველები ამ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ

14 აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს 4 ბატალიონის განლაგების საპასუხოდ რუსეთი 3 დივიზიას ქმნის

22 რაიხსტაგის გმირის საგვარეულო სალოცავი «დუდნიფურის» თავგადასავალი

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა შეიძლება 28 პროცენტზე მეტით შემცირდეს

**დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარის — თამარ ჩიბურდანიძის განცხადებით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ აჩვენა, რომ შედეგები იმაზე გაცილებით მძიმეა, ვიდრე ეს გაეროს მოსახლეობის ფონდს ჰქონდა ნაწინასწარმეტყველები.**

„2002-დან 2013 წლამდე საქართველოს მოსახლეობა 15 პროცენტით შემცირდა. 2014 წლის მონაცემებით, ეს არის 3 713 804 კაცი, რაც 657 731-ით ნაკლებია, ანუ 15 პროცენტით არის შემცირებული მოსახლეობა. გაეროს მოსახლეობის ფონდმა 2010 წელს გამოაქვეყნა მოსახლეობის კვლევები საქართველოში და გვიწინასწარმეტყველა, რომ, თუ მოსახლეობის კლება იმავე დინამიკით გაგრძელდებოდა, 2050 წლისთვის მოსახლეობა კიდევ 28 პროცენტით შემცირდებოდა, ჩვენ კი უფრო მძიმე შედეგები მივიღეთ. ჯერ 2050 წლამდე 30 წელზე მეტია დარჩენილი და უკვე 15-პროცენტიანი კლება გვაქვს. თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის უფრო დიდი კლება გვექნება, ვიდრე 28 პროცენტია“, — აღნიშნა თამარ ჩიბურდანიძემ.



## სანდრო ბრეგაძე:
## კომპოზიტორთა სახლში გახსნილი აქვთ ბორდელი, 16-17 წლის ბავშვებს ამუშავებენ, ღამე აუპატიურებენ ქალებს, ჯგუფურად ხვდებიან და უმოწყალოდ სცემენ ახალგაზრდა ბიჭებს

**მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი შსს-ს მოუწოდებს აღმაშენებლის გამზირზე განლაგებულ ბარებსა და სხვა დაწესებულებებში არსებული სიტუაციით დაინტერესებისკენ.**

„ჩემმა ლაზმა მეგობრებმა (რომლებსაც ოფისი აქვთ „პლეხანოვზე“) საგულისხმო ინფორმაცია მომაწოდეს. მთელი აღმაშენებლის გამზირი ოკუპირებული აქვთ ერაყელებს, სირიელებს, არაბებს, თურქებს. ისინი ეწევიან არასრულწლოვანი ქართველი ბავშვების პროსტიტუციას, ე.წ. ჩილიმ-ბარებში ყიდიან ნარკოტიკებს, კომპოზიტორთა სახლის პირველ სართულზე გახსნილი აქვთ დიდი ბორდელი, რომელშიც 16-17 წლის ბავშვებს ამუშავებენ, ღამე აუპატიურებენ ქალებს, ჯგუფურად ხვდებიან ახალგაზრდა ბიჭებს და უმოწყალოდ სცემენ, მომხდარა რამდენიმე მძიმე დაჭრის ფაქტიც, ეს ყველაფერი იმალება და არ ხმაურდება. გადაწყვეტილი აქვთ ე.წ. რეზერვაციის მსგავსი უბნის შექმნა, სადაც ქართველს გავლა შეეშინდება.

უცხოეთიდან ჩამოსული რელიგიური ფანატიკოსები ეწევიან ანტიქართულ პროპაგანდას, ამტკიცებენ, რომ 3-4 წელიწადში რამდენიმე უბანი მათი გახდება. აქვთ ცეცხლსასროლი იარაღებიც და ა.შ.

ყველაფერი ხდება ორგანიზებულად, შექმნილი აქვთ ე.წ. საძმოების მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც სრულ კოორდინაციაში არიან ერთმანეთთან, აქვთ ოფისებიც, რომლებშიც იკრიბებიან და გეგმებს სახავენ. ერთმა თურქმა მეგობარმა ისიც მითხრა, რომ ქართველებს ჭკუა არ გაქვთ, ვერ ხვდებით ქალაქის ცენტრში ამხელა ტერიტორია, ფაქტობრივად, ოკუპირებული რომააო?

კატეგორიულად მივმართავ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დაიწყოს კომპოზიტორთა სახლიდან და ალაგმოს ყველა ის კანონსაწინააღმდეგო ბარი, კლუბი თუ ოფისი, რომლებიც განლაგებულია აღმაშენებლის გამზირზე; ყველა უკანონოდ მყოფ პირს გაუკეთოს მყისიერი დეპორტაცია, ხოლო შესაბამისმა სამთავრობო უწყებებმა უკიდურესად გაამკაცრონ საემიგრაციო კანონი აფრიკისა და აზიის ქვეყნების მოქალაქეებისთვის.

თუ აღნიშნული მოთხოვნა არ შესრულდება 1 თვის ფარგლებში, მაშინ ვიტოვებთ უფლებას, მოვაწყოთ მრავალათასიანი „ქართველთა მარში“ და კანონის ფარგლებში, ჩვენივე ძალებით ავლაგმოთ ყველა ის უკანონობა, რომლებიც ჩვენი დედაქალაქის ცენტრში ხდება!“ — აცხადებს სანდრო ბრეგაძე.

## «ნატოს სურს, კონფლიქტი საქართველოში გადმოიტანოს. ამ ჩანაფიქრს ხელს უწყობს რესპუბლიკური პარტია, რომელიც ჩანერგილია დასავლეთის მიერ»



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თამაზ მეჭიაურმა ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნები შეაფასა და განაცხადა, რომ ნატო არის აბსურდი და უნდა გაგრძელდეს მოლაპარაკებები რუსეთთან, რომლის გარეშეც ტეროტორიებს ვერ დავიბრუნებთ.**

„არც ერთ ქვეყანას არ გაუხარდება, მტრის ჯარები განლაგდეს მის საზღვართან ახლოს. სწორია კი ჩვენი ქმედებები, როცა ვიცით, რომ ასეთი რეაქცია მოჰყვება ზე სახელმწიფოს მხრიდან, რომელსაც ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები. ეს ირიბ გამოწვევას ჰგავს და რუსეთის რეაქცია არ უნდა გაგვიკვირდეს... რუსეთი არის მთავარი მოთამაშე რეგიონში. ჩვენს რეგიონში ბევრი ქვეყანაა კონფლიქტში ჩართული. ნატოს სურს, კონფლიქტი საქართველოში გადმოიტანოს და აქ დაუპირისპირდეს რუსეთს. ამ ჩანაფიქრს ხელს უწყობს რესპუბლიკური პარტია, რომელიც ჩანერგილია ჩვენს ქვეყანაში დასავლეთის მიერ“, — აღნიშნა თამაზ მეჭიაურმა.

მანამდე კი დეპუტატმა განაცხადა, რომ ძალიან დიდი საფრთხის მქონეა ეს წვრთნები და რუსეთის მუქარის შემცველი განცხადებები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიების დიდი ნაწილი და იქ ისედაც ჰყავს სამხედროები, არ არის გამორიცხული, უფრო მეტი კონტინგენტი შემოიყვანოს და ეს წვრთნები გახდეს სერიოზული პროვოცირების მიზეზი, რომელმაც შეიძლება 2008 წლის მსგავს კონფლიქტამდე მიგვიყვანოს“.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტმა 11-26 მაისს ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე დაგეგმილი ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლების („ღირსეული პარტნიორი — 2016“) შესახებ 6 მაისს გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულ წვრთნებს „ნატოს სამხედროების მიერ საქართველოს ტერიტორიის თანმიმდევრულ ათვისებად“ და „პროვოკაციულ ნაბიჯად“ აფასებს, „რომელიც მიმართულია კავკასიის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეგნებულად გამწვავებისკენ“.

## პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა ნატოს მოქმედება საბჭოთა კავშირში ჰიტლერის შეჭრას შეადარა

**პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიკოსმა სტივენ კოენმა, რომელიც რუსეთისა და სსრკ-ის ისტორიის შესწავლითაა დაკავებული, აღნიშნა, რომ ერთი ქვეყნის საზღვრებთან უცხო ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფების მობილიზება ბოლოს 1941 წელს შეინიშნებოდა, მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ. ექსპერტი თავის სტატიაში, რომელიც The Nation-მა გამოაქვეყნა, წერს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავისი გავლენის ზონების გაფართოებას ცდილობს და ამით ძირს უთხრის რუსეთთან თანამშრომლობას.**






„ნატო ამერიკის მეთაურობით განაგრძობს სამხედრო ძალების გაძლიერებას ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში და ეს ხდება უშუალოდ რუსეთის საზღვრებთან. ამ ვითარებაში გასაკვირი არ არის, რომ მოსკოვი თავის თვითმფრინავებს გზავნის ამერიკული სამხედრო ხომალდის დასაზვერად, რომელიც კალინინგრადში არსებული რუსული სამხედრო ბაზის ახლოს იმყოფებოდა.

და **ვინ გამოდის პროვოკატორის როლში — რუსეთი, რომელსაც დასავლეთი რეგულარულად ადანაშაულებს აგრესიაში და რომლის საჰაერო-კოსმოსურმა ძალებმა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან გაათავისუფლა სირიის ქალაქები, თუ ვაშინგტონი და ბრიუსელი, რომლებმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში თავიანთი სამხედრო გავლენის სფერო ბერლინიდან რუსეთის საზღვრებამდე გააფართოეს?**

ნატოს ასეთი მოქმედება რუსებს გაახსენებს მათ ქვეყანაში ნაცისტური გერმანიის შეჭრას 1941 წელს — ბოლო შემთხვევას, როდესაც მტრულმა ძალებმა თავი მოიყარეს ქვეყნის საზღვრებთან“, — წერს კოენი.

შეგახსენებთ: 1990 წლის თებერვალში გერმანიის გაერთიანებაზე გამართული მოლაპარაკებებისას დასავლეთი დაჰპირდა სსრკ-ს, რომ ნატო ერთი დუიმითაც არ გაფართოვდებოდა აღმოსავლეთის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ბოლო 24 წლის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში აღმოსავლეთი ევროპის 10 სახელმწიფო შევიდა.

## ერდოღანი: ევროპის ქვეყნებს არც მოწყალება აქვთ და არც სამართალი



**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ევროპის ქვეყნებს „დიქტატურასა“ და ლტოლვილების მიმართ „სასტიკ“ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს. მისი აზრით, ევროპის ქვეყნებს „არც მოწყალება აქვთ და არც სამართლიანობა“ ლტოლვილთა კრიზისის დაძლევისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხების მიმართ.**

„ერდოღანის თქმით, განსხვავება ანკარასა და სტამბოლში მომხდარ აფეთქებებსა და ბრიუსელსა და პარიზში განხორციელებულ აფეთქებებზე რეაქციებში უსამართლობის გამოხატულებაა“, — წერს euroline.ge.

**რამდენიმე დღის წინათ „კადავერინის“ არომატით ლამის გაგვგუდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, ამჟამად „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „კადავერინი“

**წარმოვიდგინოთ, რომ ერთ ოთახში ვიმყოფებით ხრწნად გვამთან და აქვე სწრაფად გამოვთვალოთ, რამდენ წამს ან წუთს გავძლებთ იმ საზიზღარ „მოტკბო“ სუნში, რომელსაც მიკროორგანიზმების ხრწნის შედეგად გამოსცემს ტოქსიკური ნივთიერებები — კადავერინი, პუტრესცინი და ნეირინი. გვამური შხამი სწორედ ამ სამი ნივთიერების ნაზავია. დროს არ დაგაკარგვინებთ იმის შეხსენებით, თუ რაოდენ სახიფათოა ზემოხსენებული შხამი ადამიანისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისი ორგანიზმიც დასუსტებულია სტრესით, დარდით, უიმედობით, უსახსრობით და, ბოლოს, არასახარბიელო ეკოლოგიური ვითარებით.**

დღეს ვისაუბრებთ იმ უხილავ „კადავერინზე“, რომლის მოქმედება, საბოლოო ჯამში, გაცილებით სახიფათოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით — ზნეობრივი ჯანმრთელობისთვის, ვიდრე მისი სამედიცინო ანალოგი. ამ ნივთიერებას, უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, გამოყოფენ ის პიროვნებები, რომლებსაც უწოდებენ **პოლიტიკურ გვამებს.**

რას ნიშნავს „პოლიტიკური გვამი“? — რას და, პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანს, რომელმაც ულირსი (თანაც არაერთი) საქციელის გამო დაკარგა თავისი მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე, გავლენაც. აუცილებელია ხაზგასმა იმ თავისებურებისა, რომლითაც ქართველი „პოლიტიკური გვამი“ განსხვავდება მისი ევროპელი ან ამერიკელი „კოლეგისგან“. ევროპელი ან ამერიკელი „პოლიტგვამი“ მშვიდად წევს „პოლიტიკურ სამარეში“ და ბედს არის შეგუებული, ჩვენი თანამემამულე კი ბედს არ ურიგდება, წინასაარჩევნო მონაკვეთში გამოდის „პოლიტიკური აკლდამიდან“ და „მოტკბო“ სურნელით გაჟღენთილი დაპირებებით აფრქვევს „კადავერინის“ სიმყრალეს, რომლითაც საზოგადოებას გონებას უწამლავს.

**რამდენიმე დღის წინათ „კადავერინის“ არომატით ლამის გაგვგუდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, ამჟამად „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.** ბატონმა ირაკლიმ „ტვ პირველის“ ეთერიდან მოუწოდა „საზოგადოების დიდ ნაწილს“ ქუჩის აქციებისკენ „ივანიშვილის მმართველობის წინააღმდეგ“. ვერ გეტყვით, რას ასწავლიდნენ მას ამერიკელი პედაგოგები, მაგრამ ბატონი ალასანიას გამონათქვამების მოშველიებით, დიდი ალბათობით, ვასკვნი: ყველაფერს, გარდა ლოგიკური აზროვნებისა და მჭევრმეტყველებისა. მოვუსმინოთ ალასანიას: **„მე ფიზიკურადაც დავიწყებ ხალხისა და ჩემი მხარდამჭერების მობილიზებას ქუჩის საპროტესტო აქციებში. ეს იქნება მოთმინების ბოლო წვეთი... ჩვენ, ყველას, დამოუკიდებლობის, თავისუფლების მოყვარე ხალხს რომ დაეცემა ბოლო წვეთად... ჩვენ შევცვლით რეალურად ამ ხელისუფლებას, როგორც ბიძინა ივანიშვილის დანამატს. ეს გამოაჩენს კიდევ ერთხელ, რომ აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოვა პრეზიდენტად, ვინ მოვა ხელისუფლებაში, მთავრობაში. ეს გამოაჩენს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილი ერთპიროვნულად მართავს ჩვენს ქვეყანას“.** ბატონი ალასანიას პირველი შეცდომა არის ის, რომ მან ცალ-ცალკე მოიხსენია „ხალხი“ და „თავისი მხარდამჭერები“. როგორ გამოიყვან „ხალხს“ ქუჩაში, თუ ეს „ხალხი“ არ იქნება შენი მხარდამჭერი?! ან რას ნიშნავს „ბოლო წვეთი, ჩვენ ყველას რომ დაგვეცემა“? „ბოლო წვეთი“ ავსებს „ფიალას“ და არავითარ შემთხვევაში არც „ფიქრობს“, ვიღაცის თავზე დაეცეს. **დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ბიძინა ივანიშვილმა ხალხს „მოთმინების ფიალა“ საფუძვლიანად რომ აუვსოს, მისი მხრიდან საჭიროა, არც მეტი, არც ნაკლები, რომელიმე დეპუტატი ან მინისტრი ქალის გაუპატიურება, თანაც საჯაროდ...** ეს ყველაფერი მეტყველებს, რომ ბატონ ირაკლის წარმოდგენა არ აქვს საზოგადოების დიდი ნაწილის ამჟამინდელ განწყობაზე, რაც მას ნამდვილად არ ამშვენებს. და **რა საჭიროა „ხალხის ქუჩაში გამოყვანა“, თუ ირაკლი ალასანიასთვის „აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოვა პრეზიდენტად, ვინ მოვა ხელისუფლებაში, მთავრობაში“? ან მრავალათასიანი ქუჩის აქციებმა უნდა გახადოს ცხადზე ცხადი, „რომ ბიძინა ივანიშვილი ერთპიროვნულად მართავს ჩვენს ქვეყანას“? და, კიდევ, გამახსენდა, რა დითირამბებს „უგალობდა“ ბატონი ირაკლი სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ ბატონი ივანიშვილის ქველმოქმედებას, პატიოსნებასა და სიბრძნეს. ამის გამო, როგორც ამომრჩეველს, გზაკვალი მაქვს აბნეული და არ ვიცი, რომელი ალასანიას სიტყვები ვირწმუნო — თანამდებობაზე მყოფის თუ თანამდებობადაკარგულის?**

„ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილმა წევრმა **გიორგი ვაშაძემ** ტელეარხ „მაესტროს“ ეთერიდან შთამბეჭდავად აგვაყროლა. სხვათა შორის, ამ პიროვნების მიერ „ნაცპარტიის“ რიგების დატოვება პოლიტიკაში დაჩაგრულმა ქალბატონმა **სარიშვილმა** შეაფასა, როგორც „ბოზობა“... ბატონი ვაშაძეც ვერ დაიკვეხნის ღრმა ანალიტიკური აზროვნებით, აღარაფერს ვამბობ მჭევრმეტყველებაზე, მაგრამ, ბატონი ალასანიასგან განსხვავებით, რომლისთვისაც „აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება პრეზიდენტი და ა.შ., ბატონი გიორგის ამბიციები უტოლდება ისეთ მძიმე ფსიქიკურ დაავადებას, როგორიც არის განდიდების მანია: **„ჯიბეში ჩავისვამ ბიძინა ივანიშვილს იმ ახალგაზრდებთან და ენერგიულ ადამიანებთან ერთად, რომლებთანაც მოვდივარ პოლიტიკაში“...** უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყოფილი „ნაცი“ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაკავებულ „უგვირგვინო მეფის“ ტახტს უმიზნებს. სარკასტული ღიმილისმომგვრელია ამ ბატონის თუნდაც ეს ფრაზა: **„ჩემი მთავარი ღირებულება არის თავისუფლება. მე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ვარ თავისუფალი და ამას ვერავის ჩავაბარებ. 35 წლის ვარ, მთელი ცხოვრება წინ მაქვს და ახლა მივეყიდო ვიღაცას?!“**

ვალდებული ვარ, შევახსენო ბატონ ვაშაძეს, რომ ის, თანაპარტიელებთან ერთად, 2004 წელს იყიდა **ჯორჯ სოროსმა.** ამ მსოფლიო მნიშვნელობის თაღლითმა საჯაროდ განაცხადა, რომ აფინანსებს „ნაციონალურ მოძრაობას“, ანუ თითოეული „ნაცი“ მისი ოფიციალური მოჯამაგირეა... ასევე, სადავოა მისი მტკიცებაც, რომ 35 წლის ახალგაზრდაა და მთელი ცხოვრება წინ აქვს. მაგალითად, **ალექსანდრე მაკედონელმა** ვაშაძის წლოვანებამდე ვერ მიაღწია. ისე, ვურჩევ „თავისუფლებისმოყვარე“ ბატონ გიორგის, რომ ზუსტად ახლა, სანამ ახალგაზრდაა, თავი ძვირად შეაფასოს, თორემ სიბერისგან დაჩაჩანაკებული ვის რაში დასჭირდება. და კიდევ — თუ მისი მთავარი ღირებულება მაინცდამაინც „თავისუფლებაა“, მით უმეტეს უნდა შეეგუოს თავის „გვამობას“ და პოლიტიკიდან წავიდეს, რადგან პოლიტიკური მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, ხალხის მსახურებას გულისხმობს, მაშასადამე, თავგანწირულ შრომასა და უზარმაზარ პასუხისმგებლობას, რომელიც გიორგი ვაშაძეს, მოკალი და, არ გააჩნია.

4 მაისს კი მქონდა ბედნიერება, ტელეარხ „რუსთავი 2“-ის ეთერში ე.წ. ნანუკას შოუ მეხილა. სრულიად სერიოზულად ვაცხადებ, რომ საინტერესო გადაცემად მეჩვენა. წამყვანმა სტუდიაში პოლიტიკოსების შვილები დაპატიჟა. უკლებლივ ყველა ბავშვი ქების ღირსი იყო და თავისი გონივრული პასუხებით მხოლოდ დაადასტურეს ქალბატონი ჟორჟოლიანის მიერ დასაწყისში თქმული: დღეს საპატიო სტუმრები გვყავს, ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მათი მშობლები არიანო. მაგალითად, ცნობილი საჯარო მოლაყბისა და ფუჭი სკანდალისტის, თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის — **ალეკო ელისაშვილის** ორმა პატარა ვაჟკაცმა თავისი სერიოზულობით, სიდინჯით, გონებაგამჭრიახობით დაჩრდილა ქართული პოლიტიკის „ჯუნგლებში“ გზააბნეული მშობელი...

„ქართული ოცნების“ წევრის, თვალსაჩინო კარიერისტის — **ზაქარია ქუცნაშვილის** შვილებმა გამაოცეს. ასეთ შთამომავლობას მეც ვინატრებდი. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ბატონი ქუცნაშვილის გამოჩენას „კადავერინის“ სურნელი რომ არ გამოეფრქვა:

— ძალიან ცუდი მამა ვარ, — განაცხადა მან და მიზეზებიც „დააყოლა“, — **სახლში არყოფნის გამო, ამომრჩეველზე ორიენტირების გამო, ვერ მოვახდინე ოჯახის წევრებისთვის ყურადღების მიქცევა და ამას განვიცდი, იქიდან გამომდინარე, რომ აშკარად ვატყობ, შვილებს აკლიათ მამა. თორნიკე ამბობს, მამა პოლიტიკამ წაგვართვაო.**

...რით განუგეშოთ? ძნელი დასაჯერებელია, რომ ბატონი ქუცნაშვილი „ამომრჩეველზეა ორიენტირებული“ და ამომრჩევლის გამო ბავშვებს ყურადღებას არ აქცევს. თვალნათელია, რომ ამ მოწვევის პარლამენტი არ არის „ორიენტირებული ამომრჩეველზე“. ჩემი რწმენით, ბატონ ზაქარია ქუცნაშვილს თავისი **„მსუბუქი თმების სისტემა“** უფრო აღელვებს, ვიდრე ქვეყნის გასაჭირი; ხოლო, რას ნიშნავს „მსუბუქი თმების სისტემა“, გირჩევთ, განმარტებისთვის თვითონ დეპუტატს მიმართოთ. ისე, რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა ზაქარია ქუცნაშვილი თავისი შვილების აღზრდის პროცესში, მით მეტია შანსი, ისინი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ნანუკას ე.წ. შოუს კულმინაცია იყო **გიორგი თარგამაძის** ორი მშვენიერი გოგონას — თეკლასა და მაკინეს გამოჩენა სტუდიაში. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ წამყვანი გიორგი თარგამაძის „პოლიტიკური რეაბილიტაციით“ იყო დაკავებული. მაგალითად, მან თეკლას, რომელმაც ჟურნალისტობა გადაწყვიტა, განუცხადა: **„იცი რა, ცოტა რთული გადაწყვეტილება მიგიღია, იმ თვალსაზრისით, რომ შენ ხარ იმ ჟურნალისტის შვილი, რომელმაც** (არ წაიქცეთ! — **ავტ.**) **ეპოქა შექმნა და ძალიან მაგარი შედეგი დადო ქართულ ჟურნალისტიკაზე** (სტილი დაცულია — **ავტ.**)**“.** ალბათ, ქალბატონი ნანუკა გულისხმობდა, რომ გიორგი თარგამაძემ თავისი გამაოგნებელი უპრინციპობითა და ცინიზმით, რომელიც მისი მამა-მარჩენლების — **ასლან აბაშიძისა** და **ბადრი პატარკაციშვილის** ცუდად შენიღბულ ღალატსა და ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის ხელშეწყობაში გამოიხატა, კი არ „დადო ქართულ ჟურნალისტიკაზე“, არამედ **დაადო** ქართულ ჟურნალისტიკას!..

ყოველთვის მაოცებდა „რუსთავი 2“-ის წამყვანების არაპროფესიონალიზმი; და, აჰა, თვითონ ნანუკა ჟორჟოლიანმა დამიდასტურა ეს ფაქტი. პატარა თეკლას ნანუკა დეიდამ ურჩია: **„როდესაც სტუდენტებს ვხვდები, სულ ვეუბნები, რომ არ არის აუცილებელი, ჟურნალისტიკაზე ჩააბარო, იმიტომ, რომ მე მაინც ვფიქრობ, რომ დაკარგული წლებია, როდესაც ჟურნალისტიკაზე აბარებენ და ვეუბნები, თუ პროფესია გექნებათ, ჩააბარეთ იურიდიულზე** (სტილი დაცულია — ავტ.)“. ხედავთ, ქალბატონი ჟორჟოლიანი ჟურნალისტობას პროფესიად არ მიიჩნევს, რადგან მაგ ფაკულტეტზე თურმე არაფერს ასწავლიან... რა თქმა უნდა, თუ მომავალ ჟურნალისტებს ისეთი ლექტორები ჰყავთ, როგორებიც არიან **ნანუკა ჟორჟოლიანი, ზვიად ძორიძე, დავით კიკალიშვილი, თენგიზ გოგოტიშვილი, ლევან ბერძენიშვილი** და მსგავსნი, სტუდენტები ცოდნას ვერ მიიღებენ, რადგან თვითონ მათ პედაგოგებს არაფერი გაეგებათ ჟურნალისტიკაში; ვერ არჩევენ, რა განსხვავებაა, დავუშვათ, რეპორტაჟსა და ნარკვევს შორის, სამაგიეროდ, კარგად აქვთ ათვისებული აშშ-ის სახდეპარტამენტის მოჯამაგირეობისა და პროპაგანდისტული მავნებლობისთვის ჰონორარის (გრანტის სახით) ჩაჯიბვის „თეორია და პრაქტიკა“.

სხვათა შორის, თავისი უვიცობის ამბავი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა გიორგი თარგამაძემაც აღიარა, როცა შვილი დამოძღვრა: **ოთხი წელი უნდა დაკარგო, ვერაფერს ვერ ისწავლი, რაც შეიძლება რეალურად გამოგადგეს ტელევიზიაში, იმიტომ, რომ ყველაფერი პრაქტიკით ისწავლებაო...** ვითომ რა, იურისპრუდენცია პრაქტიკითაც არ ისწავლება, როგორც ნებისმიერი მეცნიერება? ან ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლისას, ვინ უშლიდა ბატონ თარგამაძეს, შეესწავლა ფილოსოფია, უცხოური ლიტერატურა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, პოლიტეკონომია, ანუ ის საგნები, რომლებიც სავალდებულო იყო მომავალი იდეოლოგებისთვის? ოღონდაც გესწავლა!.. **ქალბატონი ჟორჟოლიანისა და ბატონი თარგამაძის რწმენით, ჟურნალისტიკა გასართობი, არასერიოზული რამ ყოფილა და ერთობიან კიდეც.**

გამოგიტყდებით, რამდენჯერაც გამოჩნდებოდა ეკრანზე ბატონი თარგამაძე, იმდენჯერვე ჩემს მგრძნობიარე ცხვირზე ცხვირსახოცს ვიფარებდი "კადავერინის" და „პუტრესცინის“ ჭარბი დოზის გაუნებელსაყოფად. აი, როდესაც გიორგი თარგამაძე ბავშვების აღზრდის მეთოდზე ალაპარაკდა: **ყველაზე კარგი მეთოდი აღზრდისა პირადი მაგალითის მიცემა არისო**, უკვე ხსენებულ ნივთიერებებს ყველაზე შხამიანი და მყრალი — „ნეირინი“ შეემატა, „მოტკბო სურნელი“ აუტანელი გახდა და გულისრევის შეგრძნება გამიჩნდა... ღმერთმა დაიფაროს ყველა ბავშვი ასეთი მშობლის „პირადი მაგალითისგან“!



ოც წელზე მეტია, „პოლიტიკური გვამები“, კერძოდ, ნათელაშვილები, ბურჯანაძეები, ქარდავები, კაციტაძეები, ბარამიძეები, ბოკერიები, სააკაშვილები, წიკლაურები, წერეთლები, ბერძენიშვილები (მაპატიონ, ვინც გამომრჩა) და სხვები გვიწამლავენ ტვინს, გვიბინძურებენ საცხოვრებელ სივრცეს. მაგრამ, თუ დავფიქრდებით, ეს ხომ ჩვენი ბრალია, რადგან ვივიწყებთ არდასავიწყებელს — „გვამი“ უნდა გააპატიოსნო, წესი აუგო და მიწაში ჩაფლო. მხოლოდ მაშინ დაკარგავს აქტუალობას „კადავერინი“...

**გიორგი კორძაძე**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ის ადამიანები, რომელთათვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ბინძური ავტორიტარული რეჟიმის რესტავრაცია არ მოხდეს, ალბათ, არ უნდა დაელოდონ მთავრობის „გაღვიძებას“ და თვითონ მიიღონ პრევენციული ზომები იმისთვის, რომ სააკაშვილის ჯგუფმა ქვეყნის დესტაბილიზაცია ვერ მოახერხოს.**

# «ქართული ოცნება» და გაღვიძებული ეშმაკი

**„ეშმაკს არ სძინავს. ახლა დაიწყება და უკვე დაწყებულია ცილისწამებები, შანტაჟი; საზღვარი არ ექნება საზიზღრობებს, უსინდისობებს, რაც ახლა, ამ მონაკვეთებში გამოიკვეთება და ჩვენ მოწმე ვიქნებით უამრავი დადგმული სპექტაკლისა, სხვადასხვა ძალების მიერ“ („ინტერპრესნიუსი“). ასე აღწერა წინასაარჩევნო პერსპექტივები დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ და ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი საზოგადოებაში ასეთ განწყობას ამკვიდრებს, საკმაოდ საგანგაშო სიგნალია.**



ამომრჩევლები, რომლებმაც 2012-ში ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს, ალბათ, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ისევ საზიზღრობის მორევში, უძილობით გატანჯული ეშმაკის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარდებოდა. **სულ უფრო მეტი ექსპერტი და პოლიტიკოსი არაჯანსაღ წინასაარჩევნო სიტუაციასა და დესტაბილიზაციის საფრთხეზე საუბრობს, მაგრამ ხელისუფლების პირველი პირები საზოგადოების დამშვიდებას არ ჩქარობენ. ისინი დუმან და, როგორც ჩანს, არც კი ფიქრობენ, განმუხტონ დაძაბული ფსიქოლოგიური ფონი, რომლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი ქანთარიასა და ზოგიერთი სხვა დეპუტატის პესიმისტურ განცხადებებს შეაქვს. ცოტაც და ელექტორატის დიდი ნაწილი შეეგუება იმ აზრს, რომ შემოდგომაზე „რაღაც ცუდი მოხდება“. ყველაზე სუიციდური სცენარების რეალიზება სწორედ მსგავსი თვითდარწმუნებიდან იწყება.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო ტაქტიკა საიდუმლოს, პრინციპში, არ წარმოადგენს. **„ქართული ოცნების“ მორიგი გამარჯვება 2016 წელს კიდევ უფრო დააკნინებს „ნაცმოძრაობის“ როლს მმართველობაში და შეამცირებს მის გავლენას დასავლეთში. თუკი შეუძლებელია ყოფილი მმართველი პარტიის მიმართ ამომრჩეველთა განწყობის შეცვლა, ამის თავიდან აცილების საუკეთესო გზა არის არჩევნების სანდოობის დისკრედიტაცია.** როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან ჭრილში ეს მიდგომა საფრთხეს უქმნის და იმთავითვე, დიდი ალბათობით, აუსრულებელ ვიწროპარტიულ მიზნებს სწირავს საქართველოს დემოკრატიულ მიღწევებს. ეს ეჭვქვეშ აყენებს არჩევნების სანდოობას, მიუხედავად იმისა, თუ რა მოხდება არჩევნების დღემდე.“ — წერს ამერიკელი ესპერტი **ლინკოლნ მიტჩელი** („20/30“-ის თარგმანი). იმთავითვე ცხადია, რომ ყოფილი მმართველი პარტია არჩევნების გაყალბებაზე იყვირებს, მნიშვნელოვანია სხვა რამ — რას მოიმოქმედებს ხელისუფლება და როგორ მოიქცევიან სხვა პარტიები.

მიტჩელმა ამ თემას წერილი მას შემდეგ მიუძღვნა, როცა ამერიკელმა კონგრესმენმა **სტივ რასელმა** ბიძინა ივანიშვილი პუტინის დავალებების შესრულებასა და იარაღით უკანონო ვაჭრობაში დაადანაშაულა და აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდა, მისი ანგარიშები გაყინოს. **მისი გამოსვლა ისეთი იყო, თითქოს „ნაცმოძრაობის“ მთავარ ოფისში დაიწერა, განსაკუთრებით საგულისხმო კი ანგარიშების გაყინვის თემა იყო; ეს სააკაშვილს, დიდი ხანია, ესიზმრება და ელანდება.** ჯერ კიდევ 2014 წლის 22 აპრილს ამერიკელების ურთიერთობას ივანიშვილის მთავრობასთან ის თავის მომხრეებს ასე აღუწერდა: „ჩვენ ვართ ძალიან გაბრაზებული და ეს ამ მთავრობას დაუჯდება ძვირად. მეტიც, უთხრეს, პირადად ივანიშვილს დავუწესებთ სანქციებსო — მის ანგარიშებს დავაყადაღებთ, მის ფრანგულ მოქალაქეობას გადავხედავთ, ველარ გადაადგილდება და ექნება პრობლემაო“.

ერთი შეხედვით, კლინიკური სურათი ერთმნიშვნელოვანია და რასელის განცხადება „ნაცმოძრაობის“ ლობისტურ ძალისხმევას უნდა მივაწეროთ, მაგრამ სიტუაცია შეიძლება, ცოტა უფრო რთული იყოს.

იმ დღეებში, როდესაც რასელმა სკანდალური განცხადება გააკეთა, ორმა ამერიკულმა ორგანიზაციამ — „ენ-დი-აიმ“ და „აი-რა-იმ“ გამოაქვეყნეს რეიტინგები, რომლებშიც „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩენილია „ქართული ოცნების“ ერთადერთ რეალურ და საკმაოდ საშიშ კონკურენტად. ყველასათვის ცნობილი იყო, რომ **ამერიკელები წლების განმავლობაში კვლევებს „ნაცმოძრაობასთან“ დაახლოებულ სოციოლოგიურ ჯგუფებს უკვეთავდნენ და საქართველოში ამ ციფრებს სერიოზულად თითქმის არავინ აღიქვამდა, მაგრამ მათი გამოქვეყნების თანხვედრამ რასელის განცხადებასთან ზოგიერთი კომენტატორი იმაზე დააფიქრა, რომ ამერიკელები, „ფერადი რევოლუციის“ მოწყობას თუ არა, ხელისუფლებაზე ზემოქმედებას აპირებდნენ. მათი ეჭვები კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც უშუალოდ ამ მოვლენების შემდეგ საქართველოს პრემიერმინისტრი აშშ-ში გაემგზავრა.**

ამერიკელები კარგი ბიზნესმენები არიან და ნამდვილად ეხერხებათ არაფრისგან სერიოზული აქტივის შექმნა. თუ ერთი პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყნის საექსპერტო საზოგადოების (და, შესაძლოა, ხელისუფლების) შესაშინებლად საკმარისია საეჭვო რეიტინგი და გაურკვევლობაში მყოფი კონგრესმენის განცხადება, ეს ნიშნავს, რომ ძალიან მცირე ინვესტიციას დიდი პოლიტიკური ბონუსების მოტანა შეუძლია, მით უმეტეს, რომ ყოველივეს სააკაშვილის ლობისტებს მიაწერენ და არა აშშ-ის ხელისუფლებას. ამ კომბინაციის უკან რომც იდგეს, ვერავინ ვერაფერს დაუმტკიცებს, თანაც, ჩაძიების მსურველი საქართველოში არც ისე ბევრია. **პოსტსაბჭოთა ლიდერების დაშინება „მაიდანის“ საფრთხობელათი საკმაოდ ეფექტიან ინსტრუმენტად იქცა.**

თუ ბიზნესთან პარალელების გავლებას განვაგრძობთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე: **ამერიკელებს არ სურთ, შეეგუონ აზრს, რომ მათი პროექტი „ნაციონალური მოძრაობა“, რომელშიც ამდენი ინვესტიცია დააბანდეს, კრახით სრულდება. ადრე მათ უჭირდათ იმის დაჯერება, რომ სააკაშვილის რეჟიმი გაკოტრდა, დღეს კი ანაღვლებთ მოსალოდნელი მსხვრევა ბიპოლარული მოდელისა („ოცნება“-„ნაცმოძრაობა“), რომელიც პროცესების კონტროლს მნიშვნელოვნად აიოლებდა.** ეს ცნობილი სიტუაციაა, როდესაც ბიზნესმენს ცოცხალი თავით არ სურს, წამგებიანი საწარმო დახუროს, რომელთანაც ამდენი რამ აკავშირებს. ასეთ დროს არანაირი არგუმენტი არ ჭრის, უბრალოდ, უნდა დაველოდოთ მომენტს, როდესაც ცხოვრება ამის გაკეთებას აიძულებს.

**დღეს ამ პროექტის მომავალი მთლიანად მიბმულია იმაზე, შეძლებს თუ არა „ნაცმოძრაობა“ მჭიდრო პოლიტიკური ბლოკადის გარღვევას და დათანხმდებიან თუ არა სხვა ანგარიშგასაწევი პარტიები თანამშრომლობას მასთან. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ზოგიერთი მესიჯი საქართველოში აღიქმებოდა, როგორც პირდაპირი მოწოდება ასეთი თანამშრომლობისკენ.** მაგალითად, 2014 წლის სექტემბერში გავრცელებული განცხადება: „შეერთებული შტატები მოუწოდებს საქართველოს პროდემოკრატიულ და პროევროატლანტიკურ ძალებს, რომ საერთო ინტერესებზე გაამახვილონ ყურადღება, ბოლოდროინდელ მიღწევებს დაეყრდნონ და ერთად იმუშავონ ქვეყნის წინ წაყვანისთვის“, მაგრამ **„არანაციონალი“ ამომრჩევლების სიძულვილი ყოფილი მმართველი პარტიის მიმართ ისეთი მძაფრი იყო, რესპუბლიკელები, „გაერთიანებული დემოკრატები“ და სხვა შედარებით სუსტი ჯგუფების წარმომადგენლები თუ ცალკეული პირები მუდამ გამოხატავდნენ, რომ „ნაცმოძრობასთან“ საერთო არაფერი ექნებოდათ. საინტერესოა, შეიცვლება თუ არა ეს სიტუაცია ოქტომბერში?**

ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერები, სავარაუდოდ, მშვენივრად აცნობიერებენ, რომ „მაიდანს“ მარტონი „ვერ გაქაჩავენ“, მაგრამ იმედოვნებენ, რომ, პრაგმატული გათვლებიდან გამომდინარე, სხვა პარტიებიც შეუერთდებიან. მაგალითად, რესპუბლიკელები, რომელთა პოზიციები არჩევნების შემდეგ, ნებისმიერი სხვა სცენარის ფარგლებში, დიდი ალბათობით, გაუარესდება. **მათთვის მნიშვნელოვანია, შექმნან შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონმა „ვარდების რევოლუცია 2“-ს მწვანე აუნთო. სხვაგვარად ისინი, უბრალოდ, ვერ აიყოლიებენ პროდასავლურ პარტიებს თუ არასამთავრობოებს და „ნაცმოძრაობასთან“ სიტუაციური ალიანსის აუცილებლობაში ვერ დაარწმუნებენ.**

თუ არჩევნების გაყალბებაზე მხოლოდ ერთი პარტია იკივლებს, განსაკუთრებულს ვერაფერს მიაღწევს.

**ვინ შეიძლება შეუერთდეს „ნაცმოძრაობას“ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას დაბნეულობა დაეტყობა (დღეს ის ნამდვილად არადამაჯერებლად გამოიყურება)?**

**რესპუბლიკელები? — სავარაუდოდ.**

**„გაერთიანებული დემოკრატები“? — შესაძლოა.**

**ლეიბორისტები? — დიდი ალბათობით.**

**„გირჩი“? — თითქმის გარანტირებულად.**

**პაატა ბურჭულაძის პარტია (დასი, ორკესტრი თუ რაც იქნება)? — რატომაც არა.**

ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმცა ესეც სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგეს, მით უმეტეს, თუ ამ მოსაზრებას სატელიტი მასმედია და არასამთავრობოები გაამყარებენ. რაც შეეხება სატელევიზიო „კარტინკას“ და ინციდენტებს უბნებზე, „მეხუთე კოლონა“ საარჩევნო და ადგილობრივ ადმინისტრაციებში ამის უზრუნველყოფას როგორმე მოახერხებს. **ხელისუფლებას, ალბათ, არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ეს ადამიანები საარჩევნო პროცედურებს იდეალურად ჩაატარებინებენ.**

მცირე ლირიკული გადახვევა: საინტერესოა, რა სახელს მოუძებნის „ნაცმოძრაობიდან“ გასული **გიორგი ვაშაძე** ახალ პარტიას, რომლის დაფუძნებას აპირებს. ალბათ, ლოგიკური იქნება, **„გირჩის“ გვერდით „ქინძი“** აღმოცენდეს, მით უმეტეს, რომ ქინძი მიხეილ სააკაშვილის საყვარელი მცენარეა. იოლი დასამახსოვრებელიცაა და მრავლობითშიც შთამბეჭდავად ჟღერს.

ზოგს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ აბსურდის თეატრში მოხვდა, რადგან მოსალოდნელ გაყალბებაზე ყველაზე მეტს ის პარტია ყვირის, რომელმაც ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გაყალბების ყველა რეკორდი მოხსნა, მაგრამ აქ მთავარია, აყვებიან თუ არა სხვები. საბოლოო ჯამში, ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც შეტევა არა იმდენად „ქართულ ოცნებაზე“ (პრინციპში, კისერიც უტეხია), რამდენადაც სახელმწიფოზე და ლინკოლნ მიტჩელი, შესაძლოა, სავსებით მართალია, როდესაც მიუთითებს, რომ „ნაცმოძრაობა“ „აუსრულებელ ვიწროპარტიულ მიზნებს სწირავს საქართველოს დემოკრატიულ მიღწევებს“. ცხადია, ემოციური საუბრები იმის თაობაზე, რომ „ეშმაკს არ სძინავს“, რომელიც მხოლოდ ამყარებს ზოგადეროვნულ ნევროზს, სიტუაციას ვერ შეცვლის. მოსახლეობამ ისედაც იცის, რომ მას, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, არ სძინავს. **ის ადამიანები, რომელთათვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ბინძური ავტორიტარული რეჟიმის რესტავრაცია არ მოხდეს, ალბათ, არ უნდა დაელოდონ მთავრობის „გაღვიძებას“ და თვითონ მიიღონ პრევენციული ზომები იმისთვის, რომ სააკაშვილის ჯგუფმა ქვეყნის დესტაბილიზაცია ვერ მოახერხოს.**

თავის დროზე გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები არ მალავდნენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დემოკრატიულ ინსტიტუტებს გააუქმებდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სხვა პარტიები და ცალკეული პოლიტიკოსები მათთან თანაარსებობასა და თანამშრომლობას დასაშვებად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისინი „გაკეთილშობილდებოდნენ“. ეს მიუტევებელი შეცდომა იყო, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჰიტლერის რეჟიმის ფორმირება. პარტია, რომელიც ორიენტირებულია ანტიდემოკრატიული დიქტატურის ჩამოყალიბებაზე, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დემოკრატიული პოლიტიკური სივრცის ორგანული, ჯანსაღი ნაწილი, შესაბამისად, ის ნებისმიერ ფასად იზოლირებული და განადგურებული უნდა იქნას (ცხადია, კანონიერი პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით). ამ მიზნის ხმამაღალ დეკლარირებაში მიუღებელი არაფერია, რადგან საქმე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის დაცვას ეხება. „გერმანული შეცდომის“ გამეორება საქართველოს შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს.

„ნამდვილი პოლიტიკოსისთვის უპირველესი საკუთარი ქვეყნის ინტერესები უნდა იყოს და მხოლოდ ამის შემდეგ იფიქროს სხვა სახელმწიფოებთან მეგობრობაზე, დღეს კი ჩვენ თავს გვახვევენ სხვა სახელმწიფოებთან მეგობრობას, თითქოს ამ სახელმწიფოებს არაფერი უნდოდეთ ჩვენგან, სინამდვილეში, ყველაფერი წაიღეს — მატერიალურიც და სულიერიც“

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ნიაზ ბოლქვაძე:

# აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიდის და თურქეთის ჩაის პლანტაციებში სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, ვინაიდან თავის გადარჩენის ერთადერთ გზას ამაში ხედავს

**„აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე საგანგებო მიმართვას ავრცელებს და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს; მიაჩნია, რომ აჭარის რეგიონში არსებული პრობლემების გადაწყვეტას ასე უკეთ მოახერხებს. ბატონი ნიაზი სამომავლო გეგმებსა და რეგიონში არსებულ ვითარებაზე გვესაუბრება.**



**«სახალხო შემოწირულობებით თანხა შევაგროვეთ, აჭარაში ოსმალთაგან გათავისუფლების მემორიალი რომ დაგვედგა, მაგრამ მთავრობამ დაპირება მაინც არ შეასრულა და ეს მაშინ, როცა ბათუმში მამათმავლების ძეგლი დგას. როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, შევთავაზეთ ამ სკულპტურის აღება, მაგრამ ამის ნაცვლად ჩამტვრეული გული შეაკეთეს»**

**— ბატონო ნიაზ, ახლახან გაავრცელეთ მიმართვა, რომელშიც ქვეყანაში შექმნილ სამწუხარო რეალობაზე საუბრობთ. რამ გამოიწვია თქვენი აღშფოთება?**

— ხელისუფლება ქვეყანაში და განსაკუთრებით აჭარაში, ამ მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონში, ჩვენი ხალხის ინტერესებს ვერ იცავს და ეროვნულ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს. ყველა მიმართულებით იმდენი პრობლემაა როგორც აჭარაში, ასევე სრულიად ქვეყანაში, რომ აუცილებლობად მივიჩნიეთ, მონაწილეობა მივიღოთ მომავალ არჩევნებში, გავიმარჯვოთ და აჭარის უმაღლეს საბჭოში, ასევე, საქართველოს პარლამენტში ჩვენი წარმომადგენელი გვყავდეს, რათა თავად მოვახერხოთ იმ საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს. უამრავი პრობლემის გადასაწყვეტად მივმართეთ ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენი ყველა მიმართვა თუ თხოვნა უყურადღებოდ დარჩა.

**სახალხო შემოწირულობებით თანხა შევაგროვეთ, აჭარაში ოსმალთაგან გათავისუფლების მემორიალი რომ დაგვედგა, მაგრამ მთავრობამ დაპირება მაინც არ შეასრულა და ეს მაშინ, როცა ბათუმში მამათმავლების ძეგლი დგას. როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, შევთავაზეთ ამ სკულპტურის აღება, მაგრამ ამის ნაცვლად ჩამტვრეული გული შეაკეთეს.** არადა, ბათუმის მერი **გიორგი ერმაკოვი** საჯაროდ დაჰპირდა ხალხს, რომ აჭარაში ოსმალთაგან გათავისუფლების მემორიალი აღიმართებოდა, შემდეგ კი სიტყვა უკან წაიღო, რადგან, როგორც ჩანს, საქმეში ჩაერივნენ როგორც ჩვენი ხელისუფლების, ასევე თურქეთის წარმომადგენლები. არ მინდა, ისე გამოჩნდეს, თითქოს მხოლოდ ძეგლებზე ვსაუბრობთ, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ქვეყნის იდეოლოგიას ეხება.

ისეთი მამულიშვილური ინიციატივები, რომლებიც ქვეყანას სჭირდება, ყველგან იბლოკება. დღეს ეს სამწუხარო რეალობა გვაქვს ქვეყანაში, ამიტომ ჩვენი მიმართვის მთავარი მიზანია, პოლიტიკოსებმა შეწყვიტონ იმ მეთოდების გამოყენება, რომლებითაც დღეს მოქმედებენ. **პოლიტიკური პარტიები, იქნება ეს სახელისუფლო თუ ოპოზიციური, მოსახლეობას ანგარიშს არ უწევენ. ვინაიდან სასურველ კანდიდატს ვერ ხედავს, ხალხი არ მიდის არჩევნებზე.** საბოლოოდ ვიღებთ ისეთ პარლამენტსა თუ საკრებულოს, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია. სინამდვილეში **პარლამენტი, საკრებულო, აჭარის უმაღლესი საბჭო თუ სხვა სახელმწიფო ორგანოები ბრძენთა კრებულს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ისეთი მეთოდებით, როგორითაც დღეს კანდიდატებს არჩევენ, მოლაყბეთა და უსაქმურთა კრებულს ვიღებთ, ეს სამწუხარო რეალობაა.** ამას თავი რომ დავაღწიოთ, ნებისმიერი პოლიტიკური პარტია უნდა ვაიძულოთ, ანგარიში გაუწიოს ხალხის ინტერესებს. არ შეიძლება, ჯარიმებით აიძულო მოსახლეობას არჩევნებზე მისვლა.

არსებული ვითარება მომავლის იმედს არ გვაძლევს. უახლოეს დღეებში წარმოვადგენთ კონკრეტულ გეგმას. აზროვნების ეკოლოგია კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალებაა. ახლა ამ საარჩევნო პროცესს სწორედ ეს აზროვნების ეკოლოგია სჭირდება.

**— თქვენი ორგანიზაცია არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს, რის შეცვლას აპირებთ პოლიტიკაში და რა სიახლეს შესთავაზებთ ხალხს, რომელიც, როგორც მიმართვაში აღნიშნავთ, დაიღალა და აღარ ენდობა პოლიტიკოსებს?**

— დღეს ხელისუფლებას მთავარ პრიორიტეტად აჭარაში ტურიზმის განვითარება აქვს დასახული, რაც შეცდომაა. არ შეიძლება, ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად ტურიზმის განვითარების დასახვა. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობისთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა უნდა იყოს, ამიტომ აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარება. არ შეიძლება, აჭარას თავისი პორტი არ ჰქონდეს. იტალიის მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, იქ ტურიზმთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარებაც პრიორიტეტულია. ტურიზმი მაშინ არის კარგი, როცა ტურისტს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციას შევთავაზებთ. ჩვენთან კი რა გამოდის? **პროდუქციის დიდი ნაწილი მეზობელი თურქეთიდან შემოდის. აჭარაში ყოველ ფეხის ნაბიჯზეა თურქული კაფე-ბარი და, რომ შეამოწმოთ, იქ ისევ თურქული პროდუქციაა წარმოდგენილი. ხომ შეიძლება, ქართულმა პროდუქციამ თურქულს გაუწიოს კონკურენცია? მაგრამ ამისთვის ქართული პროდუქცია სახელმწიფომ უნდა დაიცვას.**

ჩვენი ორგანიზაციისთვის პრიორიტეტულია ქვეყანაში კულტურის, განათლების, სოფლის მეურნობის განვითარება. სოფლებში განადგურებულია ძველი კულტურის ცენტრები, ბიბლიოთეკები. თუ მიგრაციული პრიცესების შეჩერება და სოფლის განვითარება გვსურს, იქ ნორმალური პირობები უნდა შეიქმნას.

**— თქვენ თუ შეგითავაზებიათ რეგიონის განვითარების პროექტები ხელისუფლებისთვის?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ორგანიზაციაში ყველა დარგის საუკეთესო სპეციალისტები გვყავს. როდესაც **არჩილ ხაბაძე** აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა, მიმიწვია, შევხვდი და გავაცანი ჩემი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ არაფერი გაუთვალისწინებიათ.

ჩვენ ვიბრძოდით ხელისუფლების შესაცვლელად, შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ ვითარების ცვლილება არ იგრძნობა. **ნაციონალური რეჟიმისთვის მიუღებელი ვიყავით, მაგრამ ამ ხელისუფლებისთვისაც მიუღებლები აღმოვჩნდით.**

როგორც კი ეს ხელისუფლება მოვიდა, ვთხოვეთ, სარფის ტერიტორია მოეწესრიგებინათ, ვინაიდან საქართველოს მხარეს ეკლესია კაზინოებისა და სასტუმროების რეკლამებითაა აჭრელებული, მაგრამ ხელისუფლებისგან მივიღეთ პასუხი, რომ ამ ფირმებთან გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები და ვერ გავაუქმებთო. ამდენი წელი გავიდა და არაფერი შეცვლილა. როგორც ჩანს, ეს ხელშეკრულებებიც გააგრძელეს. **უნდა იაქტიუროს ეკლესიამ, მრევლმა, ხალხმა; წესიერ ქვეყანაში ყველა ერთსულოვანი უნდა იყოს, როდესაც საქმე ქვეყნის იმიჯს, მომავალსა და ღირსებას ეხება.**

მაგალითისთვის სოფლის მეურნეობა ავიღოთ. ამ დარგის განვითარება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის. შარშან შეკრება გვქონდა და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრიც მივიწვიეთ, რათა გაეცა პასუხი ჩვენს კითხვებზე, გაგვეცნო მისთვის ჩვენი იდეები, მაგრამ არ მოვიდა, მეორე დღეს დარეკა, მოგვიბოდიშა და გვითხრა, ჩვენ ვზრუნავთ სოფლის მეურნეობის განვითარებაზეო, თუმცა ამ მიმართულებით ვერანაირ ზრუნვას ვერ ვხედავთ. ზრუნვა მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებათ.

**გაზაფხულზე აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიდის და თურქეთის ჩაის პლანტაციებში სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს, ვინაიდან თავის გადარჩენის ერთადერთ გზას ამაში ხედავს.** დიდმა ფრანგმა მოაზროვნემ და განმანათლებელმა **ჟან ჟაკ რუსომ** ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თქვა, როდესაც ქვეყნიდან მოსახლეობა სხვა სახელმწიფოებში გაედინება ლუკმაპურის საშოვნელად, შეუძლებელია ამ ქვეყნის წარმატებაზე ლაპარაკიო.

მთავრობამ ბათუმის ბულვარის მესამე ზოლის აღსადგენად ათი მილიონი ლარი გამოყო, როდესაც საქართველოში ჩაის განვითარებისთვის მხოლოდ სამ მილიონ-ნახევარია გათვალისწინებული. დასკვნა თავად გამოიტანეთ...

**— თანამოაზრე პოლიტიკურ პარტიებს გაერთიანებისკენ მოუწოდებთ, ვინ მიგაჩნიათ ნათელ წერტილად ქართულ პოლიტიკაში, ვისთან ითანამშრომლებდით?**

— ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვინც ფიქრობს, რომ საქართველო ჭეშმარიტად დამოუკიდებელი უნდა იყოს და ითანამშრომლოს ყველა სახელმწიფოსთან თუ ორგანიზაციასთან, იქნება ეს რუსეთი, ამერიკა თუ ნატო. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება. ეს შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, გვაქვს ამის სურვილი თუ არა. **ნამდვილი პოლიტიკოსისთვის უპირველესი საკუთარი ქვეყნის ინტერესები უნდა იყოს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იფიქროს სხვა სახელმწიფოებთან მეგობრობაზე, დღეს კი ჩვენ თავს გვახვევენ სხვა სახელმწიფოებთან მეგობრობას, თითქოს ამ სახელმწიფოებს არაფერი უნდოდეთ ჩვენგან, სინამდვილეში, ყველაფერი წაიღეს — მატერიალურიც და სულიერიც.**

**— თურქეთს გულისხმობთ?**

— არამხოლოდ თურქეთს, ყველას... სამწუხაროდ, საქართველოს ღუპავს ფსევდოპატრიოტიზმი, რომელსაც ძალიან ბევრია ამოფარებული. ქვეყანას ღუპავს ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის გულგრილობაც.

ამიტომ დროა, ყველაფერს ფარდა აეხადოს. მივმართავ მოსახლეობას: არჩევნებში ყურადღება უნდა მივაქციოთ კანდიდატის ბიოგრაფიას. მხოლოდ არჩევნების წინ გაიგებს ხოლმე ხალხი, ვინ არის სიაში ან რამდენიმე წელი გავა და მერე ვიგებთ, ვინ არიან ჩვენი დეპუტატები. პარტიის ლიდერს ისე შეჰყავს სიაში ადამიანები, რომ მოსახლეობის აზრს საერთოდ არ ითვალისწინებს. ჩემი მიზანია, გამოვავლინოთ ეს ადამიანები და არ დავუშვათ მათი მოხვედრა პარტიულ სიებსა და საკანონმდებლო ორგანოებში.

არაერთ პარტიას მივმართეთ, მაგრამ აჭარის რეგიონში ჩვენთვის პარტიების კარი დახშული აღმოჩნდა. ხელს გვიშლიან ის ადამიანები, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყვნენ, შემდეგ კი „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდნენ და მომავალში კიდევ სხვა პარტიებში იქნებიან. ეს უნდა დასრულდეს. თუ მოსახლეობა ერთსულოვანი არ იქნება და ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, არაფერი შეიცვლება. **გამოსავალი, ქვეყნის გადარჩენა და ღირსეული მომავალი მხოლოდ და მხოლოდ მოაზროვნე, მართალი, ქვეყნის გულშემატკივარი ადამიანების მხარდაჭერაშია.**

ესაუბრა **შორენა ციჭქარაშვილი**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მსიამოვნებს, ახლა ასეთ ლამაზსა და მშვიდს რომ ვუყურებ ბელარუსის დედაქალაქს. ომის შემდეგ პირველად ჩამოვედი მინსკში, მომწონს და ვამაყობ, რომ დღეს ეს ხალხი ასე ცხოვრობს და, რაც მთავარია, ასეთი დიდი პატივით მიგვიღეს. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავიდან ჩამოვედი, გულისცემა ამიჩქარდა, ომის დღეები გამახსენდა... მინსკი გმირი ქალაქია, გმირების ქალაქი“.

# ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება

## ბელარუსის დედაქალაქმა დიდი სამამულო ომის ვეტერანები განსაკუთრებული პატივით მიიღო

2016 წლის 27-29 აპრილს ბელარუსის დედაქალაქ მინსკში დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმი გაიმართა, სახელწოდებით „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“.
საერთაშორისო ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ: პოლიტოლოგთა ცენტრი „სევერ-იუგი“ (რუსეთის ფედერაცია), განვითარების ფონდი „ევრაზიის კვლევის ინსტიტუტი“ და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ბელარუსის ვეტერანთა გაერთიანება“; მხარდამჭერი ორგანიზაციები: ბელარუსის ინფორმაციის, საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და კულტურის სამინისტროები, აგრეთვე, მინსკის საქალაქო და საოლქო კომიტეტები.
სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ფორუმი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უკვე მეექვსედ გაიმართა.
ბელარუსი შემთხვევით არ შეურჩევიათ. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბელორუსიის (ასე ერქვა იმხანად — ე. ნ.) ფრონტზე საბჭოთა ჯარების შეტევით ოპერაციას, რომელიც 1944 წლის 23 ივნისიდან 29 აგვისტომდე მიმდინარეობდა, დიდი მხედართმთავრის — პეტრე ბაგრატიონის სახელი ეწოდა. ოპერაცია „ბაგრატიონი“, რომელშიც საბჭოთა კავშირის მხრიდან 1,2 მლნ ადამიანი მონაწილეობდა, უდიდესი იყო კაცობრიობის ისტორიაში.
1945 წლის 1 მაისს სტალინმა მინსკს გმირი ქალაქის წოდება მიანიჭა.
სტუმრებს გმირი ქალაქი შესაბამისი პატივით დაუხვდა. საზეიმოდ მორთულ მინსკში ომის ვეტერანებს ჟურნალისტები, ფორუმის ორგანიზატორები და მთავრობის წარმომადგენლები სასტუმრო „ვიქტორია-ოლიმპში“ დახვდნენ.
აღსანიშნავია, რომ იქ შეკრებილი ბევრი ვეტერანი ბელორუსიის გათავისუფლებისთვის იბრძოდა, მათ შორის, საქართველოდან ჩასულები, რომლებიც ომის შემდეგ პირველად ესტუმრნენ ამ ქვეყანას.



«იცით, გააფთრებული ბრძოლისას რამდენჯერ ჯიბეში ყუმბარები ჩამიდვია. ვფიქრობდი, თუ მოვკვდები, რამდენიმე ფაშისტს გავიყოლებ, ყუმბარებით სავსე ჯიბეებით ჩავუვარდები ტანკს-მეთქი. ამას არავინ მაძალებდა»

საზეიმო ღონისძიება დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად აგებული ტაძრიდან დაიწყო. 11 საათისთვის კი მინსკის მთავარ მოედანზე საპატიო ყარაულისა და შინაგანი ჯარების წარმომადგენლების თანხლებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩასულმა ვეტერანებმა, ჟურნალისტებმა და ფორუმის ორგანიზატორებმა მარადიულ ცეცხლთან ყვავილები მიიტანეს.

მოგვიანებით ღონისძიების მონაწილეებმა სასტუმრო „ოლიმპის“ დარბაზში გადაინაცვლეს და დაესწრნენ კონფერენციას, რომელზეც პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, ისტორიკოსები და ომის ვეტერანები სიტყვით გამოვიდნენ. კონფერენციის მონაწილეებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — **ვლადიმერ პუტინისა** და ბელარუსის პრეზიდენტის — **ალექსანდრე ლუკაშენკოს** მისასალმებელი სიტყვა წაუკითხეს.

გვესაუბრებიან მინსკში გამართული ფორუმის მონაწილე დიდი სამამულო ომის ქართველი და უცხოელი ვეტერანები.

### „59 გერმანელი სნაიპერი მყავს „მოხსნილი“

**ტარას იჩქიტიძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:**

— იმ წლების გახსენება სიხარულსა და სიამაყეს მგვრის.



დიდი სამამულო ომი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, ალბათ, სიამაყით მოსაგონარია, თუმცა გულდასაწყვეტია, რომ გამარჯვების 71-ე წლისთავზე ამის აღიარება ბევრს არ სურს, უფრო მეტიც — ისტორიის ამ მონაკვეთის, ამ წლების დამახინჯება ან, სულაც, წაშლა უნდათ.

მრავალშვილიან ღარიბ ოჯახში დავიბადე. სოფელ ღორეშიდან ვარ წარმოშობით. ოთხ ძმას შორის მე ყველაზე უმცროსი ვიყავი. როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, უფროსი ძმები სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყვნენ, სამშობლოს წინაშე ვალს ფსკოვში იხდიდნენ და, ბუნებრივია, პირდაპირ ფრონტზე აღმოჩნდნენ. ერთი ძმა ტანკისტი იყო, ომი რომ დაიწყო, მძიმე სატანკო ბატალიონში მოხვდა. წერილებს გვწერდა. მოგვიანებით წერილები შეწყდა... იმხანად მე-9 კლასში ვიყავი...

1942 წლის 4 მაისს, სკოლის დასრულებამდე 25 დღით ადრე, ფრონტზე გავიპარე. თბილისში ნამყოფი არ ვიყავი, მაგრამ იქამდე მივაღწიე, საიდანაც შეიძლებოდა ფრონტზე წასვლა. ერთი ქალბატონი მოვიდა და მითხრა, სანამ სკოლას არ დაასრულებ, შენი ომში გაშვება არ შეიძლებაო. უკან დამაბრუნეს, მაგრამ იმავე საღამოს შინიდან კვლავ გავიპარე. ჩემი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა — არც მშობლებმა და არც სკოლამ.

თბილისში რომ ჩამოვედი, ნავთლუღის სადგურში მივედი, იქიდან კი სამხედრო ნაწილში წაგვიყვანეს. 38 დღე და ღამე მატარებლით ვიარე და კუნძულ სახალინზე აღმოვჩნდი.

ვფიქრობდი, როცა დავბინავდები, მშობლებს წერილს მივწერ, გავაგებინებ, სად ვარ-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა. ქალაქ კუიბიშევში ჩამიყვანეს და იქ სამხედრო ნაწილების დაკომპლექტება დაიწყეს. ჩამრიცხეს სამოქალაქო ომის გმირის — შჩორსის სახელობის 45-ე დივიზიაში. ეშელონებში ჩაგვსვეს და სტალინგრადისკენ გაგვიშვეს. მატარებელში რომ ჩავსხედით, თვითონ შჩორსის ცოლ-შვილმა დაგვლოცა და წარმატება გვისურვა.

საბრძოლო ნათლობა სტალინგრადში მივიღე. 45-ე დივიზია 62-ე არმიის რიგებში იბრძოდა. 62-ე არმიამ გაათავისუფლა სტალინგრადი. არმიას სარდალი **ვასილ ივანეს ძე ჩუიკოვი** ხელმძღვანელობდა, ძალიან ძლიერი პიროვნება იყო, საბჭოთა კავშირის ორგაზის გმირი. სტალინგრადიდან ბერლინამდე მის არმიაში ვიყავი. სულ წინა ხაზზე ვიბრძოდი. სამჯერ დამჭრეს. პირველად 1943 წლის 14 იანვარს სტალინგრადში დავიჭერი. ჰოსპიტალში მოვხვდი. აი, სწორედ მაშინ მოვახერხე მშობლებისთვის პირველი წერილის მიწერა, თითქმის წელიწადი იყო გასული. სახლში ამ შინაარსის წერილი გავგზავნე: „ფრონზე ვარ, სტალინგრადს ვიცავ. ამჟამად ჰოსპიტალში ვმკურნალობ“. დედა ახალგაზრდა ქალი იყო, სულ რაღაც, 54 წლის. წერილი რომ წაუკითხავს, სიხარულისგან გული წასვლია. ფრონტზე წერილი მომივიდა: „შვილო, გელოდე, გელოდე და არ ვიცი, შევძლებ თუ არა შენს დახვედრას“. ფრონტიდან დაბრუნებულმა შევიტყვე, რომ დედაჩემი წერილის მიღებიდან რამდენიმე დღეში გარდაცვლილა.

ჩვენს დივიზიას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბელორუსიის გათავისუფლებაში.

**— 71 წლის შემდეგ იმ ქალაქში ჩამოხვედით, რომლის გათავისუფლებაშიც დიდი წვლილი შეიტანეთ. ვხედავ, როგორი პატივით გეპყრობიან და გეფერებიან...**

— მსიამოვნებს, ახლა ასეთ ლამაზსა და მშვიდს რომ ვუყურებ ბელარუსის დედაქალაქს. ომის შემდეგ პირველად ჩამოვედი მინსკში, მომწონს და ვამაყობ, რომ დღეს ეს ხალხი ასე ცხოვრობს და, რაც მთავარია, ასეთი დიდი პატივით მიგვიღეს. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავიდან ჩამოვედი, გულისცემა ამიჩქარდა, ომის დღეები გამახსენდა... მინსკი გმირი ქალაქია, გმირების ქალაქი.

სასიამოვნოა, როდესაც აფასებენ იმას, რაც დღეს აქვთ, და იციან, რომ ეს ჩვენი, ომის ვეტერანების, დამსახურებაა.

ბელორუსიის შემდეგ უკრაინა გავათავისუფლეთ სრულად.

**— რას იტყვით სტალინზე? დღეს ბევრი მას არასახარბიელოდ მოიხსენიებს...**

— გერმანელებს კბილებამდე შეიარაღებული უძლიერესი არმია ჰყავდა. ყველანაირად მოწესრიგებულები იყვნენ. მეომრებს თან ჰქონდათ კბილის ჯაგრისი, საპარსი, ფეხსაცმლის გასაპრიალებელი კრემი, გარმონი, საღამოობით რომ ემღერათ, მიწურებში ელექტროლეიბებზე იწვნენ; საბჭოთა ჯარისკაცს კი არაფერი ებადა.

ომის წინ საბჭოთა კავშირს თითქმის არაფერი ჰქონდა, მაგრამ ძალიან მოკლე დროში სტალინმა უმძლავრესი სამხედრო ტექნიკა შექმნა. ჩვენი თვითმფრინავები ყველაფერს ანადგურებდნენ. „კატიუშა“ 1943 წლის იანვარში უკვე 16 ჭურვს ისროდა, გერმანელების საარტილერიო დანადგარი კი — ერთს. უძლიერესი ტანკები გვყავდა, ჯარისკაცებიც გამოვიბრძმედეთ.

სტალინგრადში ყინვა 42 გრადუსამდე ადიოდა. დაჭრილები გვყავდა, სიარულს ძლივს ვახერხებდით, მაგრამ ბერლინამდე მაინც ჩავედით. **სნაიპერი ვიყავი. 59 გერმანელი სნაიპერი მყავს „მოხსნილი“.**

**— ბატონო ტარას, თქვით, რომ თქვენი ძმაც ომში იყო, მას ხომ არ შეხვედრიხართ?**

— ჩემი ძმის ბატალიონს შევხვდი, მაგრამ ძმას ვერ დაველოდე, რომ მენახა... ეს მოხდა გერმანიაში. იქ რომ შევედით, იქაურობას ▶



# „გული მწყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში სათანადო დაფასება არ გვაქვს და, საერთოდ, სათანადოდ არ აფასებენ იმას, რაც სამამულო ომში ხალხმა გადაიტანა. ისტორიის დამახინჯება ცუდია მომავალი თაობებისთვის“.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფაშისტების ნარჩენებისგან ვწმენდდით, ბერლინამდე 11 კილომეტრი იყო დარჩენილი...

ტყეში ვიყავი, აპრილი იყო. დავინახე ტანკი, რომელზეც ტანკისტი რაღაცას ამაგრებდა. ტანკს ეწერა „139-ე მძიმე სატანკო ბრიგადა“. ვიცოდი, რომ ჩემი ძმა ამ ბრიგადაში იყო. ჯარისკაცს ჩემი ძმის სახელი და გვარი ვუთხარი, ვკითხე, ხომ არ იცნობ-მეთქი. მომიტრიალდა და მითხრა: „ტი კაცო?“ ანუ ქართველი ხარო? ვუპასუხე, ქართველი ვარ და ამ ბრიგადაში ჩემი ძმა არის-მეთქი. მითხრა, დავითი ხომ არ ჰქვიაო. ძალიან გაუხარდა, გაიქცა ჩემი ძმის მოსაძებნად, მაგრამ ჩემი ბრიგადა მიდიოდა და ძალიან ვჩქარობდი. რუსი გაბრაზდა, თუ მისი ძმა ხარ, დამელოდე და მოვძებნიო. ჩემს ძმას ვერ დაველოდე...

ომიდან სამივე ძმა დავბრუნდით. დავითმა მიამბო, თანამებრძოლმა მითხრა, აქ შენი ძმა იყო, მაგრამ არ დავუჯერეო. ვუთხარი, მცირეწლოვანია და ომში არაფერი ესაქმება-მეთქი, არადა, თურმე მართლა ომში ყოფილხარო.

ძმები კი დავბრუნდით, მაგრამ მშობლები აღარ დაგვხვდნენ ცოცხლები... მინდოდა, მშობლებს ვენახეთ, როგორი დავბრუნდით ომიდან და როგორი ცხოვრება მოიტანა ჩვენმა თავდადებამ. დღეს ხშირად მეკითხებიან, — ვინ გაძალებდათ, დაგეძახათ — „სტალინისათვის! სამშობლოსათვის!“-ო. არავინ გვაძალებდა, ეს ჩვენგან მოდიოდა. **იცით, გააფთრებული ბრძოლისას რამდენჯერ ჯიბეში ყუმბარები ჩამიდვია. ვფიქრობდი, თუ მოვკვდები, რამდენიმე ფაშისტს გავიყოლებ, ყუმბარებით სავსე ჯიბეებით ჩავუვარდები ტანკს-მეთქი. ამას არავინ მაძალებდა.**

„როდესაც მატარებლის ბაქანზე შევდექი, ვთქვი: „მშვიდობით, სამტრედია, შეიძლება ველარ განახოთ. დავიღუპებით, მაგრამ ჩვენს მიწაზე ფაშისტებს არ შემოვუშვებთ“.



**შოთა ბუაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:**

— 1943 წლის 1 იანვარს წამიყვანეს ჯარში. წარმოშობით ხონელი ვარ, როდესაც მატარებლის ბაქანზე შევდექი, ვთქვი: „მშვიდობით, სამტრედია, შეიძლება ველარ განახოთ. დავიღუპებით, მაგრამ ჩვენს მიწაზე ფაშისტებს არ შემოვუშვებთ“. ასეთი იყო იმჟამინდელი სულისკვეთება. ეს სულისკვეთება კი სტალინმა შთაგვაგონა, სწორედ მან შთაუნერგა ხალხს რწმენა, რომ, თუ ფაშისტებს გავანადგურებდით, გამარჯვება და ბედნიერი მომავალი ჩვენი იქნებოდა.

**— ბატონო შოთა, დღეს ხშირად მოისმენთ ასეთ ფრაზას: „ქართველები სხვის ომში იბრძოდნენო“...**

— ამაზე ცრუ ისტორიკოსები და ფსევდომეცნიერები საუბრობენ, ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდებოდა იმხანად. საბჭოთა კავშირი მასში შემავალი ყველა ხალხის სამშობლო იყო, უძლიერესი ქვეყანა და ჩვენ სამშობლოსთვის ვიბრძოდით. ჩვენ ის თაობა ვართ, რომელიც კომკავშირულ ორგანიზაციებში ვიზრდებოდით და სამშობლოს სიყვარული სისხლში გვქონდა გამჯდარი. მზად ვიყავით, გამარჯვებისთვის, უკეთესი მომავლისთვის, სამშობლოსთვის დავღუპულიყავით. ჩვენ არ დავუშვებდით ფაშიზმს საბჭოთა მიწა-წყალზე. **ახალგაზრდები ტანკის ქვეშ წვებოდნენ, ამბრაზურას სხეულით ეფარებოდნენ და ასეთი თავდადებით მივაღწიეთ გამარჯვებას. დღეს არიან ასეთი ახალგაზრდები ან ლიდერები? ვინ გაწირავს თავს სააკაშვილისთვის, მარგველაშვილისთვის, კვირიკაშვილისთვის?..**

ომის დროს ორი მთავარი სიტყვა არსებობდა — „სამშობლო“ და „სტალინი“. სტალინის სახელით სამშობლოსთვის ვიბრძოდით. მან შექმნა სრულიად ახალი სახელმწიფო, რომლის მსგავსი დედამიწაზე არ ყოფილა, და გაიმარჯვა ისეთ ომში, რომლის მსგავსიც ისტორიას არ ახსოვს.

**ვამაყობ, რომ დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ და დიდი ბელადის, უძლიერესი მთავარსარდლის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გამარჯვებას მივაღწიეთ.**

დანაშაულია, როდესაც საუბრობენ დიდ სამამულო ომზე და სტალინს არ ახსენებენ. გული მტკივა ახალგაზრდობაზე, რომლებმაც ეს არ იციან და არც უნდათ, ისწავლონ. სტალინი აკონტროლებდა ყველაფერს, რაც ფრონტზე ხდებოდა; უფრო მეტიც, იცოდა, რა ხდებოდა ხელოვნებაში, კულტურაში, მწერლობაში. 1941 წელს გერმანელები მოსკოვს მოადგნენ, მაგრამ მოსკოვში ჭადრაკის ჩემპიონატი ჩატარდა. სტალინი მოვლენა იყო.

ტარას იჩქიტიძემ უკვე ისაუბრა, როგორ პირობებში იყვნენ გერმანელი ჯარისკაცები და როგორი პირობები გვქონდა ჩვენ. **40 გრადუს ყინვაში ტყვიამფრქვევების ჩასაყენებლად ნაჯახით ვთხრიდით მიწას.**

**დღეს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს არანაირი შეღავათი არ გვაქვს. დამსახურებისთვის მონიჭებული მედლების გულზე დაკიდების გვერიდება, — სხვის ომში იბრძოდითო, გვეუბნებიან. დიდი სამამულო ომის ვეტერანებს ისე უპატივცემულოდ არსად ექცევიან, როგორც საქართველოში.**

ხედავთ, როგორ გვექცევიან ბელარუსში, რამხელა დღესასწაული მოგვიწყეს, როგორი პატივით დაგვიხვდნენ? ბედნიერი ვარ, ვიღაცას რომ ვახსოვართ, გვეფერებიან და ჩვენს თავდადებას აფასებენ. თვალი ცრემლით მევსება. ჟურნალისტები მოწიწებით გვაჩერებენ და შეკითხვებს გვისვამენ. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები თავს გვიხრიან.

საქართველოს დიდი სამამულო ომის 170 გმირი ჰყავს, ჩვენ ამ ომში დიდი მსხვერპლი გავიღეთ.



**«დღეს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს არანაირი შეღავათი არ გვაქვს. დამსახურებისთვის მონიჭებული მედლების გულზე დაკიდების გვერიდება, — სხვის ომში იბრძოდითო, გვეუბნებიან. დიდი სამამულო ომის ვეტერანებს ისე უპატივცემულოდ არსად ექცევიან, როგორც საქართველოში»**

გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე მოსკოვშიც ვიყავი და კურსკშიც. **საოცარი ხალხი არიან რუსები, როგორი სიხარულით გვხვდებიან და როგორი სინანულით. გული სწყდებათ, რომ ორ ქვეყანას შორის ასეთი დაძაბული ვითარებაა. გვეფერებიან, გვკოცნიან, სურათების გადაღება სურთ ჩვენთან ერთად. ეს საქართველოში არ ხდება.**



**„ომის მძიმე დღეები ერების ერთობამ, ძმურმა დამოკიდებულებამ და ერთგულებამ გადაგვატანინა“**

**ლილი ზერეკიძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:**

— ლენინგრადელი ვარ. ლენინგრადის ბლოკადაში 900 დღე ვიყავი. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი, რა გადავიტანეთ და რა დღეები გამოვიარეთ. ძალიან ცუდია, როდესაც ცხოვრობ გარემოში, სადაც ისტორიას აბუჩად იგდებენ და არ აფასებენ.

1962 წლიდან საქართველოში ვცხოვრობ. შვილები ქართველები მყავს. **გული მწყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში სათანადო დაფასება არ გვაქვს და, საერთოდ, სათანადოდ არ აფასებენ იმას, რაც სამამულო ომში ხალხმა გადაიტანა. ისტორიის დამახინჯება ცუდია მომავალი თაობებისთვის.**

დღეს აქ, ბელარუსში, ვარ და ვამაყობ იმით, რაც გამოვიარე, რაც ვნახე და გადავიტანე. ომის მძიმე დღეები ერების ერთობამ, ძმურმა დამოკიდებულებამ და ერთგულებამ გადაგვატანინა.

მადლობელი ვარ ჩვენი დაფასებისა და იმ პატივისთვის, რომლითაც მიგვიღეს და დაგვხვდნენ. მადლობელი ვარ იმ ქართველებისაც, რომლებსაც გავახსენდით და მინსკში ამ ბრწყინვალე ფორუმზე ჩამოგვიყვანეს.



**„ცხირმოუხოცავი ბავშვები ვიყავით, მაგრამ ძალიან, ძალიან დიდი გული გვქონდა, რადგან ჩვენი მთავარსარდალი სტალინი იყო“**

**სერგო მირზოიანი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:**

— ომში 16 წლისა წავედი. 1927 წელს ვარ დაბადებული, ჩემი წლოვანების ომში აღარ მიყავდათ. სახლიდან სტალინის სიყვარულის გამო გავიქეცი. თბილისში საავიაციო ქარხანაში მოწაფედ მოვეწყვე, ვფიქრობდი, იქიდან უფრო ადვილად მოვახერხებდი ომში წასვლას.

**დიახ, სტალინის გამო წავედი. სწორედ მან შთაგვაგონა სამშობლოს სიყვარული და ფაშიზმის სიძულვილი, მისმა სიძლიერემ და გამბედაობამ გადამადგმევინა ნაბიჯი, რომ სახლიდან გავქცეულიყავი და ომში წავსულიყავი. საჭირო რომ იყოს, დღესაც ასე მოვიქცევი.**

მაოცებენ ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ სხვის ომში ვიბრძოდით. თუ ეს სხვისი ომი იყო, 300 ათასი ქართველი სულელი იყო და სხვის ომში გაწირა თავი? რომ იტყვიან, ცხვირმოუხოცავი ბავშვები ვიყავით, მაგრამ ძალიან, ძალიან დიდი გული გვქონდა, რადგან ჩვენი მთავარსარდალი სტალინი იყო. საბჭოთა კავშირი სტალინის მიერ დამყარებულმა დისციპლინამ გადაარჩინა. დიდი სამამულო ომი სტალინმა მოგვაგებინა. უმნიშვნელო ოპერაციაც კი სტალინის გარეშე არ იგეგმებოდა, ყველაფრის საქმის კურსში იყო, ყველაფერს ასწრებდა.

უდიდესი ბრძოლები გადავიტანეთ ბელორუსიის გასათავისუფლებლად. 16 წლისა და რვა თვის ვიყავი, მეკავშირე გახლდით, ჩემი უფროსიც ახალგაზრდა იყო, გვარად **ჩერნიახოვსკი**, მოგვიანებით დაიღუპა. 36 წლისა ორგზის გმირი იყო, ამაყობდა, სტალინის გენერალი ვარო.

ახლა აქ ვზივარ და მსიამოვნებს. რამხელა სიხარულია, როდესაც წლების შემდეგ ჩამოდიხარ ქალაქში, რომლის გასათავისუფლებლად თავს არ ზოგავდი.

მერამდენე წელიწადია, რაც გამარჯვების დღე აღინიშნება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა პატივია ეს ჩვენთვის. ასეთ დღეებში ვგრძნობთ, რა გავაკეთეთ სამშობლოსთვის. **უღრმესი მადლობა ფორუმის ორგანიზატორებსა და იმ ქართველებს, რომლებმაც აქ ჩამოგვიყვანეს!**

ჩვენი ქვეყნის გარდა, ყველგან ვგრძნობთ, რომ ადამიანები ვართ.

**სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, ღრმად მოხუცი ესტონელი, სამამულო ომის გმირი ვალენტინ ვილენსო მოგვიახლოვდა:**



— როცა მითხრეს, ამ მაგიდასთან ქართველები სხედანო, ძალიან გამიხარდა და თქვენთან მოსვლა გადავწყვიტე. ჩემს ბატალიონში ბევრი ქართველი იბრძოდა. ძალიან მიყვარს ქართველი ერი, მამაცები და გამბედავები არიან. **ხშირად მეკითხებიან, რას ნიშნავს შენთვის გამარჯვების დღეო და ყოველთვის ვუპასუხებ: გინახავთ ფილმი „გარღვევა“? ეს ფილმი ჩემზეა. დიახ, ეს ფილმი ჩემზეა, ჩვენზე. ამბავი, რომელიც ფილმშია მოთხრობილი, მართლა მოხდა და ეს ჩვენს ბატალიონს შეემთხვა.**

ახალგაზრდებმა არ იციან, რა გამოვიარეთ იმ წლებში და სულ ჰგონიათ, რომ ფანტაზიის ნაყოფია, რასაც ომისდროინდელ ფილმებში უყურებენ, მაგრამ ეს ასე არ არის. დიდი სამამულო ომი ჩვენი ცხოვრების ნაწილია. ომში 18 წლისა წავედი და დავკაცდი. ჩემს თაობას ახალგაზრდობის წლები არ გაუვლია, ბავშვობიდან კაცობაში გადავედით. ბევრი გმირულად დაიღუპა, ბევრიც გმირებად დავუბრუნდით ოჯახებს.

**ემოციითა და მოგონებებით დატვირთული დღე საზეიმო ვახშმით დასრულდა. გორის ვ. სუხიშვილის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტების ფოლკლორულმა ანსამბლმა „გორულამ“ რამდენიმე სიმღერა შეასრულა, მათ შორის სტალინის საყვარელი სიმღერა „გაფრინდი, შავო მერცხალო“, რომელმაც დარბაზში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა ქართველმა მომღერლებმა სამამულო ომისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ფორუმი დაამშვენეს.**

„ამაღლებული განწყობა გვაქვს. უკვე მეორედ ვესწრებით სამამულო ომის გამარჯვებისადმი მიძღვნილ მსგავს ღონისძიებას და, სიმართლე გითხრათ, თითქოს გავიზარდეთ, ბევრი რამ ვისწავლეთ. ვუყურებთ მოხუც ვეტერანებს და გვინდება, რომ მსგავსი გმირობა ჩავიდინოთ, ასეთი პატივითა და სიყვარულით ვიცხოვროთ. მათ თვალებში იმდენი სევდა და იმხელა სიამაყეა. ბედნიერია ქვეყანა, რომელმაც ასეთი დიდი ომი ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა. ვამაყობთ, თითქოს სიმაღლეშიც კი ვიზრდებით, როდესაც „გაფრინდი, შავო მერცხალო“-ს ვმღერით და ტაშს გვიკრავენ. სტალინი, ხომ ქართველი იყო,“ — განაცხადა ჩვენთან საუბარში ანსამბლ „გორულას“ ხელმძღვანელმა **გირშელ ბუცხრიკიძემ.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთში ყოველწლიურად ათასობით ბავშვს ართმევენ მშობლებს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, იმ მოტივითაც, თუ მცირეშემოსავლიანი მშობლები შვილს ფუფუნებაში ვერ აცხოვრებენ; თუ მშობელი დაუშლის შვილს სკოლაში გამრყვნელ გაკვეთილზე დასწრებას; თუ მშობელი ასწავლის შვილს შრომისმოყვარეობას; თუ ცდილობს, აღზარდოს შვილი საზოგადოებაში მიღებული რწმენის, ტრადიციების მიხედვით; მშობლებს არ აქვთ უფლება, განსაზღვრონ შვილების სექსუალური ორიენტაცია. მშობლებს უკვე არაფრის უფლება აღარ აქვთ, ირღვევა ღმრთის მიერ დადგენილი ოჯახური იერარქია.**

# ჰომოსექსუალიზმი და იუვენალური იუსტიცია ოჯახისა და ეკლესიის წინააღმდეგ...

**დემოკრატია ხალხის მმართველობას, უფრო ზუსტად, ქვეყნის მართვაში უმრავლესობის თვალსაზრისის დომინირებას გულისხმობს და, აქედან გამომდინარე, ასეთ პოლიტიკურ წყობას, გნებავთ, სისტემას, გარკვეულწილად, შეიძლება, უმრავლესობის დიქტატურაც კი ვუწოდოთ, ვინაიდან ეს „უმრავლესობის დიქტატურა", ანუ დემოკრატია, ავად თუ კარგად, ქრისტიანულ მორალს ემყარებოდა. თანამედროვე საზოგადოებამ უმრავლესობის ასეთი „ძალადობა" უმცირესობაზე გამართლებულად მიიჩნია, რადგან, სწორედ ათი მცნებიდან გამომდინარე, მორალურ-ეთიკურობით განირჩევა ადამიანი პირუტყვისგან.**




ასე ცხოვრებას მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდა კაცობრიობა უხსოვარი დროიდან, განსაკუთრებით ქრისტეშობის შემდეგ, ვიდრე დღემდე, მაგრამ სწორედ დღეს, ვითომ კულტურისა და პროგრესის 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, კაცობრიობას ისეთი ვერაგი მტერი გამოუჩნდა, რომლის მსგავსი გერმანული ფაშიზმის შემდეგ არა ჰყოლია, და ამ მტერს სოდომის ცოდვის დაკანონება, ერთი და იმავე სქესის ადამიანების ქორწინება ჰქვია.

სხვათა შორის, ფაშიზმისა და ლგბტ-თა მოძრაობის მშობელი „განათლებული" ევროპაა, საიდანაც ჰომოსექსუალიზმმა პურიტანულ ამერიკაშიც შეაღწია და გასული წლის ზაფხულში ერთნაირსქესიანთა ქორწინება ამერიკის ყველა შტატში დაკანონდა და, აბა, აშშ-ის სატელიტი ევროკავშირი რაღა საკითხავია: **ევროპის უმრავლეს ქვეყანაში — დე იურედ, ხოლოდ დანარჩენებში დე ფაქტოდ არის აღიარებული ჰომოსექსუალური ქორწინებები, პლუს ლგბტ-პედერასტებისთვის განსაკუთრებული პრივილეგიები, რომელმაც ზემოხსენებული კლასიკური განმარტება დემოკრატიისა თავდაყირა დააყენა და ახლა, დემოკრატია კი არა, დემოტრაკია მეფობს ამერიკა-ევროპაში, რაც ულმერთო სატანისტი უმცირესობის დიქტატურაა მორწმუნე უმრავლესობაზე.** ახლა ამერიკის შეერთებული შტატებია ლგბტ-პედერასტების მექა. ის აშშ, რომელშიც სულ რაღაც 35-40 წლის წინათ მამათმავლობისთვის ციხეში სვამდნენ, ახლა კი შეიძლება ჰომოსექსუალიზმის კრიტიკისთვის დაგაპატიმრონ.

ჰომოსექსუალებმა შემდეგი ეტაპები განვლეს საკანონმდებლო სივრცეში:

**1.** თავდაპირველად ითხოვდნენ იმ კანონების გაუქმებას, რომელთა მიხედვითაც ისჯებოდნენ, ანუ მაღწიეს ჰომოსექსუალიზმის დეკრიმინალიზაციას;

**2.** მეორე ეტაპზე დაიწყეს ბრძოლა თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად და მიაღწიეს კიდეც ამას;

**3.** მესამე ეტაპზე მიაღწიეს უმცირესობის სტატუსის მოპოვებას, რამაც მათ მისცა პრივილეგიები;

4. დაიწყეს ბრძოლა უმრავლესობის კრიმინალიზაციისთვის, ანუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მათთვის, ვინც არ ეთანხმება ჰომოსექსუალიზმს და საჯაროდ გამოთქვამს აზრს პედერასტიის წინააღმდეგ. ნებისმიერი საჯარო ნეგატიური გამოსვლა (მაგ., იმის თქმა, რომ ჰომოსექსუალები რისკ-ჯგუფის წარმომადგენლები არიან, ან რომ ჰომოსექსუალიზმი ცოდვაა და ა. შ.) განხილული იქნება, როგორც კრიმინალური დანაშაული.

**ჰომოსექსუალიზმის მთავარი სამიზნე ოჯახი და ეკლესიაა.** ამაში მას ეხმარება იუვენალური იუსტიცია. **იუვენალური იუსტიცია** მშობლებისგან მოითხოვს თავიანთი შვილებისთვის სრული თავისუფლების მინიჭებას. დასავლეთში **ყოველწლიურად ასიათასობით ბავშვს ართმევენ მშობლებს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, იმ მოტივითაც, თუ მცირეშემოსავლიანი მშობლები შვილს ფუფუნებაში ვერ აცხოვრებენ; თუ მშობელი დაუშლის შვილს გამრყვნელ გაკვეთილზე დასწრებას სკოლაში; თუ მშობელი ასწავლის შვილს შრომისმოყვარეობას; თუ ცდილობს, აღზარდოს შვილი საზოგადოებაში მიღებული რწმენის, ტრადიციების მიხედვით; მშობლებს არ აქვთ უფლება, განსაზღვრონ შვილების სექსუალური ორიენტაცია, მშობლებს უკვე არაფრის უფლება აღარ აქვთ. ირღვევა ღმრთის მიერ დადგენილი ოჯახური იერარქია.**

**მომავალ 17 მაისს ლგბტ-პედერასტები გეიაღლუმის ჩატარებას აპირებენ, რათა, ბოლოს და ბოლოს, უპატაკონ ოკეანისგაღმელ სპონსორებს, რომ თბილისის თავზე პედერასტების დროშა ფრიალებს. ისინი იმედოვნებენ, რომ ამერიკის «შნირი» საქართველოს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ არათუ ხელს შეუშლის, არამედ პოლიციის კორდონით უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოდ ჩავლას რუსთაველის გამზირზე, რაც სრულიად საქართველოს ვირტუალური გაუპატიურება იქნება!**

ჰომოსექსუალები ხელში იგდებენ საინფორმაციო სივრცეს, აკანონებენ თავიანთ ცოდვას, როგორც ცხოვრების ნორმას. მუსიკის, კინოს, მხატვრობის, საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით მიმდინარეობს ე.წ. გეიკულტურის პროპაგანდა.

**ევროკავშირში შესვლის მსურველებს მათი კანონებისა და „ღირებულებების" მიღება მოეთხოვებათ. ჩვენ თვალწინ ხდება ოჯახის ნგრევის საერთაშორისო პროგრამის რეალიზება.**

ჰომოსექსუალურ წყვილს, ბუნებრივია, შეუძლებელია, ჰყავდეს შთამომავლობა. **ჰომოსექსუალიზმს ადამიანის მოდგმის გადაგვარებამდე მივყავართ. ღმერთმა ადამიანის მოდგმის გასაგრძელებლად შექმნა კაცი და ქალი. მათ კავშირს, ქორწინებას, ემყარება კაცობრიობის გამრავლება, რეგენერაცია. ერთნაირსქესიანთა ქორწინებები კი ემსახურება არა რეგენერაციას, არამედ დეგენერაციას, დემოგრაფიულ კატასტროფას, გენოციდსა და გადაგვარებას.**

როგორც აღვნიშნეთ, ჰომოსექსუალისტებისთვის ორი სტრუქტურის დანგრევაა მნიშვნელოვანი — ოჯახისა და ეკლესიის. **ბრიტანული კომპანია CAN ELSEN-ი, რომელმაც 41 ქვეყანაში აწარმოა გამოკითხვა, მივიდა დასკვნამდე, რომ დღევანდელი ტენდენციების პირობებში ქორწინების ინსტიტუტი მხოლოდ 2050 წლამდე თუ გასტანს.**

ამერიკის „ეკლესიების" 90% ამბობს, რომ ეს გადაგვარების ადეპტები — ჰომოსექსუალები უნდა გვიყვარდეს, და ცნებაში „გვიყვარდეს" ავითარებენ აზრს, რომ ისინი ისეთებად უნდა მივიღოთ, როგორებიც არიან, და რომ მათ უნდა მივცეთ ყველაფრის კეთების უფლება, ყოველივე იმისა, რაც მათ მოეპრიანებათ.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ლენინის ინიციატივით დაიწყო სექსუალური რევოლუცია (იმდროინდელი ცნობილი ლოზუნგია: „კომსომოლკა კომსომოლცუ ნე ოტკაჟეტ") და გაუქმდა ჰომოსექსუალიზმის სისხლის სამართლებრივი დევნა, მაგრამ სტალინმა, დაინახა რა ჰომოსექსუალიზმის ასეთი თავისუფლების დამანგრეველი შედეგები სახელწიფოსთვის (და პირველ რიგში — ჯარისთვის), 1934 წელს სათანადო ნორმები შეიტანა სასხლის სამართლის კოდექსში.

ეს — ისე, ცნობისთვის, მცირე ლირიული გადახვევა...

**საქართველოს პარლამენტი მალე შეიტანს ცვლილებებს კონსტიტუციაში, რომელშიც ჩაიწერება, რომ ოჯახი არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ერთობა და ამიტომ საქართველოში ვერასოდეს დაკანონდება ერთნაირსქესიანთა ქორწინება, — დამამშვიდებს მავანი, მაგრამ ასე რომ არ არის?!**

საქართველოში უკვე მოქმედებს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც ჩვენმა პარლამენტმა შარშან, ვნების კვირაში(?!) ზარ-ზეიმით დაამტკიცა. კანონი, რომლის საფუძველზეც ცდილობენ საქართველოში იუვენალური იუსტიციის ამოქმედებას.

თუმცა რაღას ცდილობენ?! **ამას წინათ, ისევ ვნების კვირაში(?!), ორი მოსმენით მიიღეს იუვენალური იუსტიციის კანონის ქართული ვარიანტი, ერთი შეხედვით, უწყინარი დასახელებისა: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც შინაარსით იუვენალური კანონია, რომელმაც დაღუპა ერთ დროს ქრისტიანული მორალისა და კულტურის ევროპა.**

მაგრამ, როგორც იტყვიან, თვალი დაუდგეს ევროპას და ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ...

ქართველ ლგბტ-პედერასტებს „მზისა და ვარდების მხარის" თბილისში გეიაღლუმის ჩატარების პირველი მცდელობა 2012 წლის 17 მაისს ჰქონდათ, რომლის ჩაშლაშიც, სხვებთან ერთად, თქვენი მონა-მორჩილიც აქტიურად მონაწილეობდა.

2014 წლის 17 მაისს კი მეორედ შეეცადნენ გეიაღლუმის ჩატარებას. ეს აქცია უკვე ათიათასობით ქართველმა და არაქართველმაც „ტაბურეტკიან" მღვდლებთან ერთად ჩავუშალეთ ლგბტ-პედერასტებს, რომელთა დასაცავად მეორე დღეს პარლამენტის შენობასთან თბილისში აკრედიტებული დასავლეთის დიპლომატიური კორპუსი გამოვიდა.

ამის შემდეგ ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა „რატომღაც" სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდისა და ტრადიციების დაცვის დღედ. რაღას გაბედავდნენ — დღემდე გაყურსულები არიან ლგბტ-სექტანტები, მაგრამ...

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, სწორედ **მომავალ 17 მაისს აპირებენ ლგბტ-პედერასტები გეიაღლუმის ჩატარებას, რათა, ბოლოს და ბოლოს, უპატაკონ ოკეანისგაღმელ სპონსორებს, რომ თბილისის თავზე პედერასტების დროშა ფრიალებს. ისინი იმედოვნებენ, რომ ამერიკის „შნირი" საქართველოს ხელისუფლება წინასაარჩევნოდ არათუ ხელს შეუშლის, არამედ პოლიციის კორდონით უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოდ ჩავლას რუსთაველის გამზირზე, რაც სრულიად საქართველოს ვირტუალური გაუპატიურება იქნება!**

ამიტომ ნუ გვექნება ქართველ საზოგადოებას ჩვენი ცვედანი ხელისუფლების იმედი. მით უმეტეს იმ პარლამენტისა, რომელმაც, როგორც უკვე ვთქვით, გასულ ვნების კვირაში 2 მოსმენით მიიღო იუვენალური იუსტიციის კანონი, და ნურც იმ სატყუარას წამოვეგებით, რომ ვითომ მართლა სურთ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა — არჩევნებამდე „ვერ მოასწრებენ" და არჩევნების შემდეგ, თუ ისევ ნეოლიბერალური უმრავლესობით იქნება პარლამენტი წარმოდგენილი, მომავალ ვნების კვირაში კვლავ ავნებენ საქართველოს და არ არის გამორიცხული, ერთნაირსქესიანთა ქორწინებაც დაგვიკანონონ.

ზემოთ დასავლელ პედერასტთა მიერ განვლილი ეტაპებზე ვთქვი და, მათი გათვალისწინებით, **ჩვენი პედერასტები მეორე ეტაპზე იმყოფებიან — თანასწორობის აღიარებას ელტვიან, რომელსაც, თუ მიაღწიეს, დომინოს პრინციპით მოჰყვება ჯერ პრივილეგიების დაკანონება მათთვის და შემდეგ ჩვენ, ნორმალურ მოქალაქეებს, აქეთ დაგვიწყებენ დევნას, როგორც დევნიან ნორმალურ ამერიკელებსა და ევროპელებს იქ, დასავლეთში. იუვენალური კანონის ძალით, ქართველი ბავშვების გაშვილება ევროპა-ამერიკის ერთნაირსქესიანთა „ოჯახებში" წინ ვეღარაფერი დაუდგება.**

**დავით მხეიძე**

„თუ რამესთვის იბრძოდა იმ პერიოდში — „ოცნებასთან“ დასაახლოებლად. საპარლამენტო არჩევნების წინ შექმნა რაღაც „ქართული აკადემია“ და ასე მოიპოვა ნდობა სააკაშვილთან დაპირისპირებული ძალების, გაიკვალა გზა ბიძინა ივანიშვილისკენ. ისიც, ეს ალალი კაცი, ენდო მოხუც ადამიანს,— კაი კაციაო, ეუბნებოდნენ. გაიყვანა კიდეც პარლამენტში „ოცნების“ სიით. ახლა გამოაბრძანებენ. ამიტომაა, რომ, როგორც მაოხრებელი გზირი, წამლავს გარემოს. უნივერსიტეტის რექტორობა სურდა, არ აირჩიეს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობა უნდოდა, არ აირჩიეს, და ეძებს ახლა სათავისო ნავსაყუდელს, რადგან მოქმედი პარლამენტის ვადის გასვლის შემდეგ აღარავის გაახსენდება“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების წყალქვეშა დინებები


ელიზბარ ჯაველიძე

**მეორე დღესვე ქართული პრესა სკანდალური სათაურებით აჭრელდა: „ჩხუბი, გინება და გაწევ-გამოწევა მეცნიერებათა აკადემიაში“ „არააკადემიური ვნებათაღელვა“ „გიორგი კვესიტაძე: „სტუდენტებს ეკითხებიან უნივერსიტეტის ბედ-იღბალს, 90 აკადემიკოსს კი არავინ არაფერს ეკითხება“ „ივანე კილურაძემ ელიზბარ ჯაველიძეს „მოსყიდული“ უწოდა და ა.შ.**


გიორგი კვესიტაძე

**«სიახლე», რომლის დაკანონება სურს ბატონ ვანოს, დამღუპველია და არც ერთი ქვეყნის არც ერთ მეცნიერებათა აკადემიაში არ არის, სხვათა შორის, ისევე, როგორც მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტობის და ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატების ასაკობრივი შეზღუდვის პრინციპი, რომელიც ახალ კანონპროექტშია ჩადებული**

მანამდე კი იყო დღე პირველი — 2016 წლის 4 მაისი, ოთხშაბათი. ნაშუადღევს, 2 საათზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, რომელიც ფართო საზოგადოებრიობისთვის ღია იყო, მუშაობას შეუდგა. დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა, რომლის შინაარსი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: **საქართველოს პარლამენტის წევრის — ივანე კილურაძის მიერ მეცნიერებათა აკადემიისთვის გვერდის ავლით უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი კანონპროექტის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.**

კრებაზე საკითხის განხილვამდე ისეთი პროცესები განვითარდა, რომ აკადემიკოსთა ეს საფიხვნო დაძაბულად უნდა წარმართულიყო. ამ ფონზე უადგილო გამოჩნდა შეკითხვა, რომელიც ბატონ კილურაძეს კრების დასაწყისშივე დაუსვეს — მზად არის თუ არა, კანონპროექტში ჩაწერილი ზოგიერთი პრინციპული საკითხის კონსესუსის საფუძველზე კორექტირებისთვის.

ამაოდ დაშვრნენ, რადგან პასუხად „დიპლომატიური“ დუმილი მიიღეს.

**აკადემიკოსებმა ასეთი რეაქცია ურთიერთპატივისცემის, კოლეგიური დამოკიდებულების იგნორირებად ჩათვალეს. კანონპროექტის ავტორს ისიც უკიჟინეს, რომ მან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კონსულტაციების ჩატარებაც ზედმეტად მიიჩნია. უსაყვედურეს, რომ საერთოდ უგულებელყოფს აკადემიურ თავყრილობებს, არ მონაწილეობს აკადემიაში მოქმედი კომისიების მუშაობაში, „კარგა ხანია, დისტანცირებულია აკადემიას და მასში მიმდინარე რეალურ პროცესებს“, დაცილებულია სინამდვილეს და ამიტომაც უკრიტიკოდ არ მიიღეს მისი ავტორობით შექმნილი კანონპროექტი. მიიჩნიეს, რომ იგი „ლახავს მეცნიერების ეროვნული აკადემიის ინტერესებს და აკადემიის წევრების აღშფოთებას იწვევს“.**

ხომ არ სარგებლობს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე სამსახურეობრივი მდგომარეობით საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად?

ესეც იკითხეს.

ბატონმა ივანე კილურაძემ კრების დამთავრებისთანავე გაზეთ „რეზონანსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ეს „ბრალდება“ ფაქტობრივად დაადასტურა. შეკითხვას — აკადემიის არაერთმა წევრმა აკადემიის პრეზიდენტის — გიორგი კვესიტაძისა და ვიცეპრეზიდენტის — როინ მეტრეველისადმი პირად ანგარიშსწორებაში დაგადანაშაულათო, ასე უპასუხა: **„არც აკადემიის პრეზიდენტისა და არც ვიცეპრეზიდენტის მეგობარი არ ვყოფილვარ. არც ერთისთვის ხმა არ მიმიცია. პრეზიდენტის არჩევნებისას თამაზ გამყრელიძეს მივეცი ხმა... მათი ძმაკაცი არ ვარ, მაგრამ არც მტერი ვარ... საერთოდ, არავის მტერი არ ვარ. მათ შეუძლიათ მტრობა, მაგალითად, ბატონ ჯაველიძეს. მან, კვესიტაძის დავალებით, ჩემზე მდარეხარისხოვანი პასკვილების მთელი სერია შექმნა. არც ერთი არ წამიკითხავს, მაგრამ ვიცი, რაც ეწერა. წეროს და იკითხოს. კიდევ მე ვარ მათი მტერი? ხმაც არ ამომიღია. ისე ვერ დავხურდავდები, რომ მათთან პოლემიკა გავმართო“.**

ალბათ, დამეთანხმებით, რომ „მტერი არ ვარ“ სულაც არ ნიშნავს მეგობრობის დამტკიცებას და სიყვარულის ახსნას.

**— „ისე ვერ დახურდავება“ ხომ არ იყო იმის მიზეზი, ბატონო გიორგი, რომ კონსესუსის წესით აკადემიის საერთო კრებაზე შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა ვერ მოხერხდა? — ამ შეკითხვით ვიწყებ საუბარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძესთან:**

— ჯერ იმას გეტყვით, რომ კანონპროექტში არის პუნქტები, რომლებსაც ვეთანხმებით, რომლებზეც შეიძლება მსჯელობა, მაგრამ არის ისეთები, რომლებიც მიუღებელია. მაგალითად, დაგისახელებთ სტიპენდიატების ინსტიტუტის შემოღებას. რაც აკადემიის წევრების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს 110-დან 70-მდე. სტიპენდიატების წინააღმდეგი არ ვართ, ოღონდ იმ აუცილებელი პირობით, რომ წევრ-კორესპონდენტების ინსტიტუტი დარჩეს, მაგრამ ბატონი ვანო ამას კატეგორიულად არ ეთანხმება. **გაუგებარია, რატომ სურს პროექტის ავტორს აკადემიის დაშლა და წევრკორთა ინსტიტუტის მოსპობა.**

**— რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ გააუქმა.**

— როცა ჩვენ აღდგენის შესახებ წინადადება შევიტანეთ, პარლამენტის კომიტეტის ხუთმა წევრმა თავი შეიკავა, ორმა მხარი დაგვიჭირა, ორი წინააღმდეგი წავიდა — კომიტეტის თავმჯდომარე **ივანე კილურაძე** და მისი მოადგილე **ნუკრი ქანთარია.** ჩვენი წინადადება დაიბლოკა. ასე დარჩა ძალაში ნაციონალების გადაწყვეტილება.

ასეთი **„სიახლე“, რომლის დაკანონება სურს ბატონ ვანოს, დამღუპველია და არც ერთი ქვეყნის არც ერთ მეცნიერებათა აკადემიაში არ არის, სხვათა შორის, ისევე, როგორც მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტობის და ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატების ასაკობრივი შეზღუდვის პრინციპი, რომელიც ახალ კანონპროექტშია ჩადებული.**

**— კრებაზე ეს „ნოვაცია“ შეაფასეს, როგორც ასაკობრივი დისკრიმინაცია...**

— ასეცაა. სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ახალარჩეული პრეზიდენტი 77 წლის არის, აზერბაიჯანისა — 81 წლის ხდება. ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველაზე ცნობილი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა **ბორის პატონმა** 96 წელს გადააბიჯა.საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტები, მსოფლიოში ცნობილი და დიდი გამოცდილების მქონე მეცნიერები, აკადემიკოსები: **ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, ალბერტ თავხელიძე, თამაზ გამყრელიძე,** რომლებმაც ჩვენს აკადემიას და, საზოგადოდ, ქვეყანას დიდი სახელი და ავტორიტეტი შესძინეს, პრეზიდენტად მოღვაწეობისას 70 წელიწადზე მნიშვნელოვნად მეტის ბრძანდებოდნენ. ასაკობრივი დისკრიმინაცია მიუღებელია.

ჩვენ, აკადემია ვიღებთ პასუხისმგებლობას ქვეყნის ტექნოლოგიურ მოდერნიზაციაზე ყველა დარგში. არა მგონია, რომ ბატონმა ვანომ ეს არ იცოდეს, მაგრამ სხვა პრინციპით მოქმედებს, სხვა რამ აწუხებს...

**ჩვენ შორის ვითარება დაიძაბა მას შემდეგ, რაც ჩემი პრინციპული პოზიცია მთელ რიგ საკითხზე პირადად გავაცანი, ხოლო კულმინაციას მიაღწია მაშინ, როცა ვიცეპრეზიდენტად წარვადგინე ბატონი როინ მეტრეველი, ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთა შორის გამორჩეული და ყველაზე მეტი გამოცდილების მქონე მოღვაწე.**

ახალ ვიცეპრეზიდენტად მის მიერ წარდგენილი კანდიდატურის ხილვა სურს პროექტის ავტორს, ერთის და არა რამდენიმესი, რადგან ამდენი მხარდამჭერი არ ჰყავს და არც ჰყოლია.

**ახლა აკადემიის ბედი წყდება და ამ გართულებულ სიტუაციაში ემოციების მოთოკვა, ღირსების შენარჩუნება და გონების მობილიზება ყველას ერთნაირად გვევალება.**

**P.S. ბლიცინტერვიუში, რომელიც „საქართველო და მსოფლიომ“ აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს ჩამოართვა, ბატონმა ელიზბარმა თქვა, რომ ივანე კილურაძის განცხადება, თითქოს იგი (კილურაძე) ნაცხელისუფლებას ებრძოდა, სიცრუეა. ერთი-ორჯერ გამოვიდა უნივერსიტეტში და სულ ეგ იყოო.**

**— თუ რამესთვის იბრძოდა იმ პერიოდში — „ოცნებასთან“ დასაახლოებლად. საპარლამენტო არჩევნების წინ შექმნა რაღაც „ქართული აკადემია“ და ასე მოიპოვა ნდობა სააკაშვილთან დაპირისპირებული ძალების, გაიკვალა გზა ბიძინა ივანიშვილისკენ. ისიც, ეს ალალი კაცი, ენდო მოხუც ადამიანს,— კაი კაციაო, ეუბნებოდნენ. გაიყვანა კიდეც პარლამენტში „ოცნების“ სიით. ახლა გამოაბრძანებენ. ამიტომაა, რომ, როგორც მაოხრებელი გზირი, წამლავს გარემოს. უნივერსიტეტის რექტორობა სურდა, არ აირჩიეს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობა უნდოდა, არ აირჩიეს, და ეძებს ახლა სათავისო ნავსაყუდელს, რადგან მოქმედი პარლამენტის ვადის გასვლის შემდეგ აღარავის გაახსენდება.**

ოთხი წელიწადია, გადაეკიდა აკადემიის ხელმძღვანელობას და არც ერთი კანონი, რომელიც კი შეიტანა აკადემიამ, პარლამენტს არ მიაღებინა.

მე კი განსაკუთრებით იმიტომ მემტერება, რომ მოურიდებლად ვამხილე, რამდენიმე წერილი დავუწერე და სრულად წარმოვაჩინე ის სიყალბე, რომელსაც იგი სჩადიოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ყოფნისას. **ხათუნა გოგორიშვილი, არჩევნების ყველაზე აქტიური გამყალბებელი, მისი გამოზრდილი ნასტუდენტარია.** კილურაძის მიერ გაყალბებული არჩევნების მსხვერპლი მე ვარ პირადად. როგორც ამბობენ, **ასეთი გაყალბების საფასურად თავის დროზე საკმაო რაოდენობის ვალუტაც აიღო, რომელიც საზღვარზე გადასვლისას ჩამოართვეს: ნიფხვიდან ამოაცალეს დოლარები.**

**— ბატონმა ვანომ ბრძანა, რომ ელიზბარ ჯაველიძე აკადემიაში მოგონილ თანამდებობაზეა დანიშნული და უკეთესი იქნებოდა, თუ იმ ფულს, რომელსაც იგი ხელფასად იღებს, აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოში მომუშავეებს გაუნაწილებენო.**

— არის თუ არა „მოგონილი“ ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი კომისია, მკითხველმა განსაჯოს. ეს ერთი. მეორე — ფართო საზოგადოება ინფორმირებულია, რომელ საკითხებზე, რომელ პრობლემებზე და როგორი ინტენსივობით ვმუშაობთ. ბატონ ვანოს არ ესმის, ან არ უნდა გაიგოს, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ჩვენს ეროვნულობას ემსახურება. ხოლო ჩემი ხელფასი, როგორც ამ საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის, 600 ლარია. ესაა და ეს.

**ცნობისთვის: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით, შეიქმნა აკადემიკოსთა ხუთკაციანი კომისია, რომელიც კრებაზე გამოთქმული მოსაზრებებისა და წინადადებების საფუძველზე შეიმუშავებს პარლამენტისთვის წარსადგენ პასუხს და აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ გაგზავნის დანიშნულებისამებრ.**

**არმაზ სანებლიძე**

## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნებისმიერი უცხოური ტელეკომპანიის წარმომადგენელს სრული უფლება აქვს, „შოკირებული“ იყოს, რითაც სურს და, როგორი ემოციაც უნდა, ისეთი გამოხატოს, მაგრამ ვერ ვხვდები, ჩვენთვის, ქართველებისთვის, რატომ უნდა იყოს ვინმე უცხოელის „შოკირებულობა“ არგუმენტი იმისა, რომ „ცუდად ვიქცევით“?! როდის უნდა დავასრულოთ ასეთი მართლა გოიმობა და ბნელობა, როდესაც ვინმე „ევროპიელის“ მიერ გამოხატული თვალსაზრისი ჩვენი ამა თუ იმ ჩვევის, ქცევისა და მოქმედების შესახებ ერთადერთ და გადამწყვეტ ჭეშმარიტებად მიიჩნევა?!**

**კომუნისტების პერიოდში წითელ კვერცხებს გვიკრძალავდნენო. აი, ასე იტყუებიან თანამედროვე ქართველი „ლიბერასტები“, როცა საკუთარი თავის „ანტიბოლშევიკებად“ და ძალიან დემოკრატებად წარმოჩენა სურთ ხოლმე. მათი მხრიდან ასეთი გამოსვლების დროს საქმე ორმაგ უტიფრობასთან გვაქვს: პირველი უტიფრობა არის ის, რომ ლეგენდა, თითქოს კომუნისტები იჭერდნენ იმას, ვინც სააღდგომოდ კვერცხებს წითლად შეღებავდა, მტკნარი ტყუილია; მეორე — უფრო დიდი უტიფრობა კი სწორედ ის არის, რომ ეს „ანტიბოლშევიკები“ სულაც არ ჩამოუვარდებიან „ბოლშევიკებს“ მართლმადიდებელი რელიგიის მიმდევრთა დევნაში. მართალია, დღეს უკვე ოცდამეერთე საუკუნეა და ეს დევნა, მადლობა ღმერთს, არა ფიზიკურ განადგურებაში, არამედ მძიმე სიტყვიერ დაცინვასა და გაქილიკებაში გამოიხატება ხოლმე, მაგრამ ვინ იცის, ციმბირი მათ განკარგულებაში რომ იყოს, შესაძლოა, არც მათგან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანთა შორეულ „ლაგერებში“ გადასახლებაზე დაეხიათ უკან პატივცემულ „ლიბერასტებს“.**

# სადღესასწაულო ლიბერასტული «ჭეშმარიტებანი»



**თურმე დაჩოქება ლოცვისას არ შეიძლება! დაჩოქება შეიძლება მხოლოდ მინეტის კეთებისას და ისიც მაშინ, როდესაც ქალს მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა უჭირავს და ქმარი ჰყავს! ეს არის ქალის თავისუფლება, გამოსულობა, მაგრობა, მრავალფეროვნება და ა. შ. ხოლო ლოცვისას დაჩოქება არის სიბნელე, ჩამორჩენილობა, ხეპრეობა და ყველაფერი ცუდი**

ფაქტია, რომ უკვე ყოველი სააღდგომო დღესასწაულის დღეებში ჩვენს ლიბერასტებს, წითელი კვერცხების ნაცვლად, მუდამ მზად აქვთ ფრაზები, რომლებითაც ისინი მართლაც შესაშურ კონკურენციას უწევენ ათეისტ საბჭოთა მოღვაწეებს. სწორედ ამიტომ ასეთ ლიბერასტულ სააღდგომო ფრაზებს პირობითად **„წითელი ფრაზები“** ვუწოდეთ.

ყველაზე ცნობილი **„წითელი ფრაზა“**, მოგეხსენებათ, არის **ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლის** მეცნიერული ახსნა და ხშირ-ხშირი გამეორება იმისა, რომ „ბრძენმა“ ლიბერასტებმა თურმე იციან თეთრი ფოსფორის არსებობა, რომელიც ჟანგბადთან ე.წ. დაგვიანებულ რეაქციაში შედის და რამდენიმეწუთიანი დაყოვნებით თვითაალდება ხოლმე. ეს თემა ყოველწლიურად მორწმუნეთა და არამორწმუნეთა შორის ცხარე კამათის საბაბია და ალალად ვიტყვი, მორწმუნეებისა უფრო მიკვირს, რადგან, მიუხედავად იმისა, მართლა თეთრი ფოსფორით გაჟღენთილი სანთლები შეაქვს თუ არა მართლმადიდებელ პატრიარქს ეკვდერში, თუკი შენ ცეცხლის ზებუნებრიობისა და ღვთიურობისა გწამს, უნდა გწამდეს და სულაც არ არის აუცილებელი, ამ საკითხზე ვინმეს არგუმენტირებულად ან არაარგუმენტირებულად ეკამათო. ერთ სიტყვით, რწმენა რწმენაა და, არა მგონია, მას ცოდნით განსაკუთრებული განმტკიცება სჭირდებოდეს.

თუმცა **პატივცემული ლიბერალები მაინც ახერხებენ ხოლმე, მათთვის „ტრადიციულ“ სააღდგომო თემებში გარკვეული „მრავალფეროვნება“ შეიტანონ.** მაგალითად, წლევანდელი აღდგომის დღეებში უკვე ტრადიციად ქცეული წითელი **ფრაზა — „რა სიბნელე და ჩამორჩენილობაა ეს სასაფლაოებზე ღვინის სმა და ქეიფი? როდის უნდა დასრულდეს ეს უკულტურობა და ამაზრზენობა საქართველოში?“ — გაამრავალფეროვნეს იმით, რომ წინაპართა საფლავებზე გასული ქართველების შესახებ ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს რეპორტაჟი ატვირთეს სოციალურ ქსელებში.**

თურმე ნუ იტყვით და, უცხოელი ჟურნალისტი „შოკირებული“ ყოფილა სასაფლაოებზე ჭამა-სმის შემყურე და ტელემაყურებელს ემოციურად გადასცემდა თავის შთაბეჭდილებებს ამ „უცნაური ხალხის“, ანუ ქართველების „მავნე ჩვევის“ შესახებ.

რა თქმა უნდა, **ნებისმიერი უცხოური ტელეკომპანიის წარმომადგენელს სრული უფლება აქვს, „შოკირებული“ იყოს, რითაც სურს და, როგორი ემოციაც უნდა, ისეთი გამოხატოს, მაგრამ ვერ ვხვდები, ჩვენთვის, ქართველებისთვის, რატომ უნდა იყოს ვინმე უცხოელის „შოკირებულობა“ არგუმენტი, რომ „ცუდად ვიქცევით“?**

**გაუგებარია, ქართველმა ლიბერასტებმა რატომ მიიჩნიეს ეს წყალგაუვალ „არგუმენტად“ იმისა, რომ ქართველებმა მამა-პაპის საფლავებზე რამდენიმე ჭიქა ღვინის დალევას თავი უნდა დაანებონ?!**

საზოგადოდ, **როდის უნდა დავასრულოთ ასეთი მართლა გოიმობა და ბნელობა, როდესაც ვინმე „ევროპიელის“ მიერ გამოხატული თვალსაზრისი ჩვენი ამა თუ იმ ჩვევის, ქცევისა და მოქმედების შესახებ ერთადერთ და გადამწყვეტ ჭეშმარიტებად მიიჩნევა?**

ისიც ხომ სრულიად არასწორი თვალსაზრისია, თითქოს ევროპაში ყველა ისე ფიქრობდეს, როგორც ერთი კონკრეტული ევროპელი, რომელსაც მოცემულ კონკრეტულ მომენტში შევხვდით ან მოვუსმინეთ. აკი, ისიც არაერთხელ გვინახავს, როცა რაიმე კონკრეტული ფაქტი ერთ ევროპელს სასტიკად არ მოსწონებია, ხოლო მეორე ევროპელი იმავე ფაქტით აღფრთოვანებულა.

ადამიანები ერთფეროვნები და ერთგვაროვნები არ არიან. აი, წინამდებარე სტრიქონების ავტორსაც, მიუხედავად იმისა, რომ კითხვისას შეიძლება სხვა შთაბეჭდილება დაგრჩენოდათ, სინამდვილეში სულაც არ მოსწონს სასაფლაოზე ქეიფი, დროსტარება და შემდეგ მთვრალი ხალხის ბორიალი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ, ვინც ასე იქცევა, თავს მათი ლანძღვისა და თათხვის უფლება მივცე.

ახლობლის საფლავზე ვინ დალევს, ვინ შეჭამს, ვინ სადღეგრძელოს იტყვის და ვინ კიდევ დავლურს დაუვლის, მხოლოდ მისი საქმეა და სხვისი არავისი!

ყოველ შემთხვევაში, ჩვენც შეგვიძლია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა გარკვეული წეს-ჩვეულებებითა თუ ადათ-წესებით შოკირების ბევრი ფაქტი ჩამოვთვალოთ, რომელთაც ისინი, სხვათა შორის, განუხრელად იცავენ.

ისიც სათქმელია, რომ **რომელიმე ერის გარკვეული ჩვეულების ტელეეთერით გაშუქებისას კულტურულმა ადამიანმა თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი ემოციების გამომჟღავნებისგან, რაც უნდა „შოკისმომგვრელად“ მიიჩნევდეს მის მიერ ამა თუ იმ ქვეყანაში ნანახს.**

თორემ **ისიც საკითხავია, რა უფრო შოკისმომგვრელია — მამის ან პაპის საფლავზე ღვინის მსმელი ადამიანის ნახვა თუ ქუჩაში უკანალში ამოკვეხებული ტანგატრუსით მოსიარულე მამაკაცების წყვილი, რომელიც არც გამვლელებს ერიდება და იქვე, ქუჩაშივე უთათუნებს ხელებს პარტნიორს შიშველ დუნდულებზე?!**

**მაგრამ, აბა, მიდი და ტელეეთერში საჯაროდ განაცხადე, ევროპის ამა და ამ ქვეყანაში ასეთი მოტანტალე მამამაკაცები ვნახე და შოკირებული ვარო! წამსვე სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევას, ჰომოფობიასა და ათას უბედურებას დაგაბრალებენ...**

მაგრამ რაღა არის სალაპარკო, როდესაც ძალიან „პრადვინუტებმა“ არათუ სასაფლაოზე „მიუღებელი ქცევა“, არამედ ლოცვისას დაჩოქებაც კი გაუქილიკეს ადამიანს და ისე ლანძღეს და თათხეს, გეგონება, ასეთი „ულირსი“ საქციელი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვდეს.

მიზეზად დასახელდა ის, რომ, ვინაიდან ეს ადამიანი ქვეყნის პრემიერმინისტრია, უფრო „ღირსეულად“ უნდა მოიქცეს და არ „იფორთხოს“ ლოცვის დროს. არადა, **როდესაც ხატის წინ დაიჩოქა, გიორგი კვირიკაშვილი ტაძარში იმყოფებოდა და არა სამუშაო ადგილზე. ტაძარში კი, მოგეხსენებათ, ადამიანები სალოცავად მიდიან და ხშირად იჩოქებენ კიდეც!**

ყველაზე საოცარი მაინც ის არის, რომ **ამ „წითელი ფრაზებისა“ და „წითელი მოსაზრებების“ ავტორები სწორედ ის ადამიანები გახლავან, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს „ეს შენ გეხება“ კამპანიას და ძალიან ხშირად გვაგდებენ ნამუსზე „სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევის“ გამო.**

**ეს ის ხალხია, რომელიც მაღალი თანამდებობის პირთა უზნეო საქციელის ამსახველი ფარული ვიდეომასალის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების გამო გვამუნათებდა, — რა თქვენი საქმეა, ვინ რას გააკეთებს, ვინ ვისთან დაწვება, ეს ხომ მათი პირადი ცხოვრებაა და პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვსო.**

**ეს ის ხალხია, რომლებიც „ციციკორეებს“ გვიწოდებს მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახური ღალატი დავგმეთ და საჯაროდ განვაცხადეთ, რომ ასეთი უზნეო ადამიანები ქვეყანას არ უნდა მართავდნენ.**

ახლა კი რა გამოდის? **თურმე დაჩოქება ლოცვისას არ შეიძლება! დაჩოქება შეიძლება მხოლოდ მინეტის კეთებისას და ისიც მაშინ, როდესაც ქალს მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა უჭირავს და ქმარი ჰყავს! ეს არის ქალის თავისუფლება, გამოსულობა, მაგრობა, მრავალფეროვნება და ა. შ. ხოლო ლოცვისას დაჩოქება არის სიბნელე, ჩამორჩენილობა ხეპრეობა და ყველაფერი ცუდი.**

ამასთანავე, **მინეტი არის „პირადი ცხოვრება“ და მასში ჩარევისა და ასეთ საქციელზე აზრის გამოთქმის უფლება არავის აქვს, რადგან ეს იქნება „ციციკორეობა“, „ჭორიკნობა“, „გაუთლელობა“. ასეთ დროს აქტიურად უნდა გვახსოვდეს სახარებისეული შეგონება — „არ განიკითხო“ ანდა „პირველი ქვა უცოდველმა ისროლოს“...**

**ხოლო ლოცვა სულაც არ არის ადამიანის „პირადი საქმე“, ამიტომ თავისუფლად შეგვიძლია მლოცველი ადამიანი კიდეც განვიკითხოთ, ქვებიც დავუშინოთ, კიდეც დავცინოთ, კიდეც გავთათხოთ, კიდეც გავათახსიროთ და კიდეც გადავუაროთ.**

ჰო, რა თქმა უნდა, არც ის არის ადამიანის „პირადი საქმე“, ის წინაპრის საფლავზე ღვინოს დალევს თუ წამოწვება და დაიძინებს. **ასეთ შემთხვევაში „ბი-ბი-სი“-ს კორესპონდენტი არც „ციციკორეა“ და არც არავის განიკითხავს, იგი, უბრალოდ, „შოკირებულია“ და რა ქნას?!**

აი, ასეთ სტანდარტებს ამკვიდრებენ პატივცემული „ლიბერასტები“ ჩვენს ქვეყანაში და, სამწუხაროდ, არაერთი ქართველიც ზოგჯერ ბრმად და გაუაზრებლად აჰყვება ხოლმე მათ ყოვლად უაზრო ენის ტლიკინს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ამ „თავისუფლებითა“ და „განსხვავებული აზრით“ შეფუთული ბოროტებიდან გამორკვეულა ადამიანი და უთქვამს, რამ დამაბრმავა, რატომ ვერ მივხვდი თავის დროზე, ვის გავლენაში ვექცეოდი და რა არის მათი რეალური მიზანიო, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი „გამორკვევები“ დაგვიანებულია ხოლმე. ასეთ ადამიანებს თავიანთი სულელური აზრებისა და საქციელის გამო უკვე ან დანგრეული აქვთ თავიანთი პირადი ცხოვრება, ან იმდენი რამ აქვთ გაფუჭებული, რომ მისი გამოსწორება უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს...

ამიტომ მგონია, **დროულად უნდა დავფიქრდეთ, როდესაც უაპელაციოდ ვიჯერებთ ყველაფერს, რასაც „დემოკრატიის“, „თავისუფლების“, „განსხვავებული აზრისა“ და სხვა მიმზიდველი შეფუთვით გვაწვდიან.**

მე არც ერთ უკიდურესობას არ ვემხრობი, მაგრამ, თუკი მაინცდამაინც მკვეთრი არჩევანის გაკეთება გსურთ, მაშინ დამიჯერეთ, ღირს დაფიქრებად: რა უფრო მეტი დადებითის მომცემია ადამიანისთვის — წითელი კვერცხების თუნდაც „ბრმა რწმენა“ თუ „წითელი ფრაზების“ მიზანმიმართული, ბოროტი მიზნებით რახარუხი...

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელი გულითა და სულით, მთელი მონდომებით ვატარებთ გამოკვლევებს, დავსდევთ ქართველ ხალხს, ვღვრით ოფლს, გამოვკითხავთ, მერე ვაქვეყნებთ შედეგებს და უცებ ეს უნამუსო ქართველი ხალხი გამოდის და ურცხვად იტყუება — მაგათ ჩვენთვის არაფერი უკითხავთო. აბა, არ გვეტკინება გული და არ მოგვბეზრდება ასე სიცოცხლე?“ — შესჩივლეს „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ გულაჩუყებულმა წარმომადგენლებმა ჩვენს ცრემლმომდგარ კორესპონდენტს.**

# გაიძვერა ხალხი და მოტყუებული ლიდერები

**ქართველი ერის ჩამორჩენილობაზე, ბნელობასა და ქაჯობაზე, უკვე დიდი ხანია, საუბრობენ ჩვენი „პრადვინუტი ელიტის“ წარმომადგენლები. ახალი ამბავი არ არის, რომ კულტურულ, ზრდილობიან და, არასოდეს არაფერი რომ არ ეშლებათ, ეგეთ ევროპელებთან შედარებით, ჩვენ, ქართველები, ძალიან უკულტუროები და რეტროგრადი უზრდელები ვართ. მაგრამ, როგორც ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა შენიშნა, გამოიკვლია და დაამტკიცა, თურმე ქართველები ყველაფერ ცუდთან და საშინელთან ერთად, მატყუარებიც და გაიძვერებიც ვყოფილვართ.**

ქართველი ხალხის ეს თვისება პირველად მაშინ შევნიშნეთ, როდესაც „ენ-დი-აი-სა“ და „აი-რა-ის“ ბნელ წარმომადგენლებს გადავეყარეთ შემთხვევით. საქმე ის არის, რომ ჩვენმა კორესპონდენტმა მტკვარზე არსებული ერთ-ერთი ხიდის მოაჯირზე მოსეირნე ორი ადამიანი დაინახა. მან სასწაულით შეძლო მოაჯირიდან ორივეს ჩამოთრევა და ჰკითხა, რატომ აპირებდნენ ხიდიდან გადახტომას. „ქართველი ხალხის უმადურობისა და მატყუარობის გამო!“ — უპასუხა ორივემ ერთნაირად. მოგვიანებით გაირკვა, რომ ერთი მათგანი „ენ-დი-აის“ წარმომადგენელი იყო საქართველოში, ხოლო მეორე — „აი-რა-ის“.

„თავს მოვიკლავთ, აბა, რას ვიზამთ? მთელი გულითა და სულით, მთელი მონდომებით ვატარებთ გამოკვლევებს, დავსდევთ ქართველ ხალხს, ვღვრით ოფლს, გამოვკითხავთ, მერე ვაქვეყნებთ შედეგებს და უცებ ეს უნამუსო ქართველი ხალხი გამოდის და ურცხვად იტყუება, — მაგათ ჩვენთვის არაფერი უკითხავთო. აბა, არ გვეტკინება გული და არ მოგვბეზრდება ასე სიცოცხლე?“ — შესჩივლეს „ენ-დი-აისა“ და „აი-რა-ის“ გულაჩუყებულმა წარმომადგენლებმა ჩვენს ცრემლმომდგარ კორესპონდენტს.

ამ შემთხვევის შემდეგ ჩვენი გულჩათხრობილი კორესპონდენტი სულ ჩაფიქრებული დადიოდა და ერთ დღესაც მიხვდა, რომ ქართველი ხალხი არამხოლოდ ევროპელებსა და ამერიკელებს, არამედ საკუთარ ლიდერებსაც კი ატყუებს! წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებიან პოლიტიკური ლიდერები ასეთი მატყუარა და გაიძვერა ხალხის ხელში.

ასეთი ფიქრები ჩვენს დაღონებულ კორესპონდენტს გაუჩინა სამი ქართველი პოლიტიკური ლიდერის იმ განცხადებებმა, რომლებიც მათ ამ დღეებში გააკეთეს და რომლებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ ლიდერებს მომავალში ხალხისგან უდიდესი იმედგაცრუება და გულდაწყვეტა ელოდებათ!

*** პაატა ბურჭულაძე: ხალხი ითხოვს, რომ პოლიტიკაში მოვიდე!**

*** ირაკლი ალასანია: მე წავედი ხელისუფლებიდან, მაგრამ ხალხი ითხოვს, რომ დავბრუნდე!**

*** გიორგი ვაშაძე: მიფიქრია, რომ დავტოვო პოლიტიკა, მაგრამ ხალხი ითხოვს, რომ დავრჩე!**

მიაქცევდით ყურადღებას, რომ სამივე ამ ლიდერის განცხადებაში ფიგურირებს სწორედ ხალხი! სხვათა შორის, ხალხი ასევე ფიგურირებს „ოცნების“, „ნაციონალების“, ლეიბორისტების, რესპუბლიკელების და სხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერების გამოსვლებშიც.

ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებიან ეს საწყალი ლიდერები, როდესაც უნამუსო და გაიძვერა ქართველი ხალხი მათ ზურგს შეაქცევს. აი, ასეთი უმადური და გაიძვერაა ხალხი — ჯერ გეტყვიან: „მოდი“, „დაბრუნდი“, „დარჩიო“ და მერე სულ ფეხებზე დაგიკიდებენ!




**ვცადეთ სიტუაციის შემობრუნება და ხალხში ხმა გავავრცელეთ, — ახლა ტრიბუნაზე თვით ბიძინა ივანიშვილიც ავაო! მაგრამ ხალხმა, — ერთი მაგისი მილიარდერი კარგიც და კეთილებიც, სადაც უნდა, იქ ათრეულა, შიმშილით კუჭი გვიხმებაო, — მოაგვძახა და ნაგვის ურნაში ქექვა განაგრძო... აი, ასეთი უმადური და გაიძვერაა ქართველი ხალხი და რა ქნან, ბატონო, ამ ბიძინამ და სხვა პოლიტიკოსებმა, რა გააკეთონ?!**

სხვათა შორის, შესაბამისი ექსპერიმენტი უკვე ჩაატარა ჩვენმა გამჭრიახმა კორესპონდენტმა და ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე დადგა ტრიბუნა წარწერით **„ქართველი ხალხის რჩეული“.** ექსპერიმენტში მონაწილე პაატა ბურჭულაძეს, ირაკლი ალასანიასა და გიორგი ვაშაძეს ვთხოვეთ, ეჭიდავათ ამ ტრიბუნის დასაკავებლად, ჩვენ კი უნდა დავკვირვებოდით, რა რეაქცია ექნებოდა მოედანზე სპეციალურად მოყვანილ ქართველ ხალხს.

როგორც კი ექსპერიმენტის დაწყების ნიშანი მივეცით და ხალხის რჩეულები ერთმანეთს შეეჭიდნენ, ხალხში ვიღაცამ დაიყვირა: „პური ვიპოვეო“ და ყველა იქით მიტრიალდა. აღმოჩნდა, რომ მას მოედანზე პირამდე სავსე ნაგვის ურნაში კაი ერთი „ბუხანკა“ ობიანი პური აღმოუჩენია. ამის დანახვაზე ხალხმა იხუვლა ნაგვის ურნისკენ და დიდი და პატარა თავით გადაეშვა შიგ. ზოგს მცირეწლოვანი ბავშვიც მოჰყავდა, — სამი დღეა, არაფერი მიჭმევია და იქნებ რამე შეახვედროთო, — იხვეწებოდა; ზოგს გული უსუსტდებოდა შიმშილისგან და სხვებს სთხოვდა, თუ რამე იპოვოთ, ცოტა მომიფურჩხნეთო!

ამ უნამუსო და უმადურმა ხალხმა ამაგდარი ლიდერები, აი, ასე დაიკიდა ფეხებზე და ნაგვის ურნაში ორი ლუკმის პოვნის იმედით ზურგი შეაქცია მათ. არ დაგიმალავთ, ვცადეთ სიტუაციის შემობრუნება და ხალხში ხმა გავავრცელეთ, — ახლა ტრიბუნაზე თვით ბიძინა ივანიშვილიც ავა-თქო, მაგრამ ხალხმა, — ერთი მაგისი მილიარდერი კარგიც და კეთილებიც, სადაც უნდა იქ ათრეულა, შიმშილით კუჭი გვიხმებაო, — მოგვაძახა და ნაგვის ურნაში ქექვა განაგრძო...

აი, ასეთი უმადური და გაიძვერაა ქართველი ხალხი და რა ქნან, ბატონო, ამ ბიძინამ და სხვა პოლიტიკოსებმა, რა გააკეთონ?!

**უმა დურია**

**საქართველოში რუსული ხვრელების ამომვსები „ბრიგადა“ იქმნება, რომელსაც რუსულად განწყობილი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოფიქრალი ადამიანის იდენტიფიცირებაც კი შეუძლია.**

# რუსული ხვრელების ამოსავსები ეფექტიანი გზა მიგნებულია!

პროექტი რადიკალ-ლიბერალური კანტორის ხელმძღვანელ **თამარ ჩერგოლეიშვილის** იდეაა და მას ამერიკის საელჩოსთვის წარსადგენად ამზადებენ. პროექტის ამოქმედებისთანავე ქვეყნის მასშტაბით ამერიკისდროშიანი ახალგაზრდები გამოჩნდებიან, რომლებიც ქუჩაში გამვლელებს ინგლისურად ჰკითხავენ რამეს. თუ აღმოჩნდა, რომ მან პასუხი რუსულად დაუბრუნა, დააკავებენ, გადაიყვანენ ამერიკის საელჩოში და იანკელის წინაშე წარადგენენ. სპეციალურად შექმნილი კომისია კი იმსჯელებს სასჯელის განსაზღვრაზე.

ჩვენმა წყარომ არც ამჯერად დაგვტოვა საინტერესო დოკუმენტის გარეშე. წარმოგიდგენთ პროექტის შავ ვერსიას, რომელიც **ხათუნა გოგორიშვილს** პატარა შადრევნიდან წყლის დალევისას კაბის უკანა მხრიდან ჩამოუვარდა:

**„შეიქმნას ადამიანთა რამდენიმე ათასიანი ჯგუფი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით გაიშლება და პრორუსულად მოაზროვნე ადამიანების იდენტიფიცირებას მოახდენს, დააკავებს და დასჯის.**

პატივცემულო ელჩო, წარმოგიდგენთ დაკავების, იდენტიფიცირებისა და დასჯის ჩვენეულ მეთოდებს, რომელიც, სურვილისამებრ, რედაქტირებას ექვემდებარება:

**1. იდენტიფიცირება მოხდეს ეშმაკური კითხვების დასმით და შესაძლოა, დასცდეთ რუსული სიტყვები, მაგალითად: „კაროჩე“, „ვსიო“, „დავაი“, „იზვინი“, „სპასიბა“, „ვზაიმნა“, „იდი ნა..უი“, და ა.შ. აღნიშნული სიტყვები აღქმულ იქნას, როგორც რუსული პროპაგანდის შემადგენელი ნაწილი და მისი წარმომთქმელი დაკავებულ იქნეს სახეში მჟავის შესხმით, რათა წინააღმდეგობა ვერ გასწიოს, ვინაიდან მსგავსი ლექსიკის მქონე ადამიანები უმეტესწილად ე.წ შავ სამყაროს წარმოადგენენ და შესაძლოა, მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ რუსულ ქურდულ სამყაროსთან;**

2. პრორუსული განწყობის იდენტიფიცირება შესაძლებელია მუსიკალური გემოვნების მიხედვით, თუ აღმოჩნდა, რომ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს მოწონს „ჩორნი ბუმერი“, „ჩორნიე გლაზა“, „ბელიე როზი“ და მსგავსი ჰიტები, დაკავებულ იქნას ყურებში შემოლაწუნებისა და შეგინების მეთოდით, შემდეგ გადაყვანილ იქნას ამერიკის საელჩოს სარდაფში და მიესაჯოს ჯონ ლენონის, „აეროსმიტის“ და ფრედი მერკურის იძულებით მოსმენა;

**3. უნდა აილაგმოს რუსული ლიტერატურა, სპეციალური ჯგუფი უზრუნველყოფს ყველა იმ საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას, რომლებშიც ინახება ანტონ ჩეხოვის, ალექსანდრე პუშკინის, სერგეი ესენინისა და სხვა რუსი პოეტებისა თუ მწერლების წიგნები, მოხდეს მათი განადგურება, ხოლო მის მფლობელებს იძულებით მოუწევთ შექსპირის სონეტების დაზეპირება და ღრმა მოხუცებულობამდე ზღვის პირას ერნესტ ჰემინგუეის კითხვა;**

**4.** ყველა საცხოვრებლის კართან დადგება თითო ადამიანი, რომელიც ყურს დაუგდებს, ხომ არ გამოდის სახლიდან „ვრემიას“, „პოლე ჩუდესის“ ან რუსული სიმღერების ხმა. ასეთის არსებობის შემთხვევაში ჩვენი წარმომადგენელი ძალის გამოყენებით შეანგრევს კარს, ტელევიზორს ჯერ გამორთავს, შემდეგ დემონსტრაციულად დააშარდავს და ფანჯრიდან გადააგდებს;

**5. ყველა დაწესებულებას, რომლებზეც სპეციალური ბრიგადა რუსულ წარწერას შენიშნავს, განგებ, დივერსიულად გაუფუჭებენ კანალიზაციის გაყვანილობას და იქ მომუშავეებს ფეკალიების სუნში დაახრჩობენ;**

**6.** ყველა, ვისაც რუსული სახელი ერქმევა, მოძიებულ იქნება რეესტრში და მათ თვითნებურად გადაერქმევა სახელები. მაგალითად, თუ ადამიანს ჰქვია ნატაშა, ის გახდება ნატალი; თუ კაწია — გახდება ქეითი და ა.შ.;

**7. ცეცხლითა და მახვილით განადგურდება რუსული წარმოების ყველა პროდუქტი, რომელიც კი აქამდე შემოსულა საქართველოში;**

**8.** კიდევ ერთი რისკჯგუფი სილამაზის სალონებია, რომელთა მონიტორინგზეც ასევე იმუშავებს სპეციალური ჯგუფი და ყველა რუსულად მოსაუბრე ან მოაზროვნე სტილისტი დროულად იქნება გამოვლენილი. სტილისტებისთვის შესაფერისი სასჯელის მოფიქრებაზე ამ წუთებში მუშაობს სპეციალური ჯგუფი **ნიკა გვარამიას, სოფო ნიჟარაძის, ანრი ჯოხაძისა** და **ნინა წკრიალაშვილის** შემადგენლობით.

ეს არის ჩვენი პროექტის პუნქტები და იმედს გამოვთქვამთ, თქვენი მხარდაჭერაც გვექნება. პატივისცემითა და სიყვარულით თამარ ჩერგოლეიშვილი“, — ნათქვამია სკანდალური პროექტის შავ ვერსიაში.

**გრიგოლ ინგაძე**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თოდუას კლინიკა ხელმძღვანელისა და დამფუძნებლის განსაკუთრებული მონდომების წყალობით იმითაა გამორჩეული, რომ არასოდეს კმაყოფილდება იმ სიახლეთა დანერგვით, რომლებიც გარკვეულ პერიოდში პროგრესულად ითვლება — ერთი პროექტის დასრულებისთანავე იწყება ახლის განხორციელებაზე ზრუნვა. ეს ეხება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, ისე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას. რადიოლოგიის მიმართულებით დაცულია 70-მდე დისერტაცია, გამოცემულია 15 მონოგრაფია, ქართველი ექიმი-რადიოლოგები დარგში მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოებულნი არიან 16 სახელმწიფო და ეროვნული პრემიით.

# საქართველოს რადიოლოგთა კონგრესმა ქვეყნის დღევანდელი სახე წარმოაჩინა

**7-8 მაისს სასტუმრო „ივერიის“ („რადისონის“) საკონფერენციო დარბაზში გაიმართა რადიოლოგთა ასოციაციის IV კონგრესი, რომელიც თავისი მნიშვნელობით, მოწვეულ მეცნიერთა დონით, მონაწილე ქვეყნების სიმრავლით, წაკითხული მოხსენებების თემატური მრავალფეროვნებითა და აქტუალობით გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და წარმოგვიდგა, როგორც საერთაშორისო რანგის ღონისძიება, როგორც მსოფლიოში რადიოლოგიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი.**




ასე შეაფასეს იგი ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ავსტრიის, გერმანიის, რუსეთის, არაბეთის გაერთიანებული საამიროების, ირანის, ლატვიის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების ასოციაციათა პრეზიდენტებმა და მთავარმა რადიოლოგებმა, ამ დარგთან დაკავშირებული უდიდესი ფირმების წარმომადგენლებმა.

— კონგრესის მიზანი იყო რადიოლოგიის დარგში დღევანდელ ეტაპზე მიღწეული შედეგების წარმოჩენა და ურთიერთგაზიარება, — ამბობს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ონკოლოგიის დარგში — **მაკა მაღლაკელიძე**, — ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ჩვენს ინსტიტუტს გააჩნია, შესაშურია ბევრი ევროპული ქვეყნისთვისაც კი, ამიტომ, ცხადია, თოდუას კლინიკის გამოცდილება კონგრესის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

რადიოლოგია ახალგაზრდა მეცნიერებაა, რომელმაც განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ მედიცინის ნებისმიერი დარგის ეფექტიანი მუშაობა წარმოუდგენელია რადიოლოგიური მხარდაჭერის გარეშე. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა კონგრესის 10 სექციაში წარმოდგენილი მოხსენებებით.

ამ ზოგად დებულებას ონკოლოგები ნეიროვიზუალიზაციის შესაძლებლობების გაფართოებით გვისაბუთებენ, რომელიც კარგად წარმოჩნდა კონგრესზე. მაგალითად, ექიმ-კლინიცისტს ამჟამად შესაძლებლობა აქვს, არა მხოლოდ ნახოს, ვთქვათ, სად მდებარეობს თავის ტვინის სიმსივნე, არამედ ისიც, რა მიმართულებაშია იგი ნერვულ ბოჭკოებთან, არის თუ არა ოპერაბელური და ა.შ. ამ ყველაფრის დადგენა შესაძლებელია სპეციალური პროგრამებით, რომლებიც დამატებითი ვიზუალიზაციის შესაძლებლობას აძლევს კლინიცისტს, სწორად რომ დაგეგმოს მკურნალობა, გააანალიზოს, იქნება თუ არა გვერდითი მოვლენები, მოხერხდება თუ არა სიმსივნის ამოღება შემდგომი დაზიანებების გარეშე და ა.შ.

კონგრესის მონაწილეთა საერთო აზრით, ჩვენი ქვეყნის რადიოლოგთა ეს შეკრება იყო ევროპაში მოწყობილი ამ სახის ღონისძიებების დონეზე უფრო მაღალი და თავისი დატვირთულობით, აკადემიური შემოქმედებითა და ნოვაციებით გამორჩეული.

უნიკალური იყო ისიც, რომ აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** წინადადებით, კონგრესზე ახალგაზრდების სექცია ცალკე მუშაობდა. სამედიცინო პროფილის მქონე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა და რეზიდენტებმა წაიკითხეს მოხსენებები, რომლებიც ძირითადად ეფუძნებოდა თეორიულ ანალიზს და არა კლინიკურ გამოცდილებას, თუმცა იყო გარკვეული გამონაკლისებიც.

თვალში საცემი იყო, რომ კონგრესის დარბაზებში, სადაც პლენარული თუ სექციური სხდომები მიმდინარეობდა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდულ სექციაში, ტევა არ იყო.

ბატონმა ფრიდონმა ბოლომდე უერთგულა ახალ თაობას თუნდაც იმით, რომ სამეცნიერო დარგში დირექტორის მოადგილესთან, ბატონ **გია სვანიძესთან**

ერთად, თავად უხელმძღვანელა ახალგაზრდულ სექციას.

თოდუას კლინიკა, ხელმძღვანელისა და დამფუძნებლის განსაკუთრებული მონდომების წყალობით, იმითაა გამორჩეული, რომ არასოდეს კმაყოფილდება იმ სიახლეთა დანერგვით, რომლებიც გარკვეულ პერიოდში პროგრესულად ითვლება — ერთი პროექტის დასრულებისთანავე იწყება ახლის განხორციელებაზე ზრუნვა. ეს ეხება როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას (კლინიკაში კონსოლიდირებულია უახლესი აპარატურა), ისე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემას. რადიოლოგიის მიმართულებით დაცულია 70-მდე დისერტაცია, გამოცემულია 15 მონოგრაფია, ქართველი ექიმი-რადიოლოგები დარგში მიღწეული წარმატებებისთვის დაჯილდოებულნი არიან 16 სახელმწიფო და ეროვნული პრემიით, სამეცნიერო ჯილდოებით.

**ინტერვიუს ბატონ ფრიდონ თოდუასთან გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.**

# «ვეფხისტყაოსანი» მსოფლიოში 504-ჯერ გამოიცა

**პოლიგრაფიულმა ფირმა „სეზანმა“ თბილისის მერიისა და საკრებულოს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ამა წლის 6 მაისს გამართა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა მეორე შევსებული და შესწორებული ბიბლიოგრაფიული კატალოგის პრეზენტაცია.**



**ბოლო 7 წელიწადში, მას შემდეგ, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა, რუსულ ენაზე პოემა 10-ჯერ დაიბეჭდა**

ეს უნიკალური გამოცემა, რომლის ავტორ-შემდგენლები არიან ბიბლიოფილები **მამუკა ჩხეიძე** და **ლევან თაქთაქიშვილი,** უეჭველად წაადგება როგორც რუსთველოლოგიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერებს, ასევე სტუდენტებსა და ყველა მკითხველს, რომლებსაც „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა სანუკვარ წიგნად, წიგნ-სიმბოლოდ მიაჩნია.

გამოცემის წინათქმიდან ვიგებთ, რომ კატალოგში 2016 წლის 1 იანვრისთვის მსოფლიო მასშტაბით დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ 503 გამოცემაა თავმოყრილი. მათგან 150 ქართულენოვანია.

სტატისტიკასაც შეუძლია სიამოვნების მონიჭება.

მაგრამ უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ, ამასთანავე, მას შემდეგ, რაც კატალოგი დასაბეჭდად ჩაუშვეს, სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში, ცხადია, კორეულ ენაზე, გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ 504-ე გამოცემა.

„ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს იპყრობს.

**ბოლო 7 წელიწადში, მას შემდეგ, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა, რუსულ ენაზე პოემა 10-ჯერ დაიბეჭდა და (მიაქციეთ ყურადღება!) ამ შედევრმა „გამოკითხვის შედეგად შეინარჩუნა სკოლის მოსწავლეთათვის აუცილებლად წასაკითხი ნაწარმოების სტატუსი“ (მ. ჩხეიძე, ლ. თაქთაქიშვილი).**

მაგრამ აქვე ავტორები გულდაწყვეტით გვაუწყებენ, რომ დღემდე პოემა ინდოეთში არ გამოუციათ. არადა, უნდა გასჩენოდათ ინტერესი, რადგან ხომ ცნობილია, რომ ძირითადი მოვლენები სწორედ ინდოეთში ვითარდება.

ასეა.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ „დღემდე „ვეფხისტყაოსანი“ ვერც ბერძნულ ენაზე გადაიტანეს. თავი იქნებ იმით ვინუგეშოთ, რომ თითქოს შეგნებულად ერიდებიან ჰომეროსის ქვეყანაში მის ამეტყველებას, „ილიადაზე“ უფრო მეტად რომ არ გაიბრწყინოს“ (მ. ჩხეიძე, ლ. თაქთაქიშვილი).

თამამი ვარაუდია...

„საქართველო და მსოფლიო“ დაუკავშირდა საგამომცემლო ჯგუფის რედაქტორ **ელზა ნაბახტეველს.** ამ ჯგუფის ხელმძღვანელი (კატალოგის გამოცემის იდეის ავტორიც) ცნობილი ჟურნალისტი **მანანა კარტოზიაა**, რომელიც ერთ დროს გამოსცემდა და რედაქტორობდა პოპულარულ „დილის გაზეთს“.

— „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფიის პირველი საძიებელი 2009 წელს დაიბეჭდა. მაშინ, აგრეთვე, გამოიცა ცალკე წიგნი „ვეფხისტყაოსანზე“, რომელშიც შევიდა მასალები პოემაში ნახსენები ფლორისა და ფაუნის შესახებ, აღწერა იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების, რომლებშიც ნაწარმოების გმირები მოგზაურობენ და, საერთოდ, რომლებშიც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტები ვითარდება. ორიგინალური დასურათება **ქეთი მატაბელმა** გააკეთა. გამოიცა **ავთანდილ არაბულის** წიგნი „რას მოგვითხრობს „ვეფხისტყაოსანი“. ეს ყველაფერი ხუთტომეულში გაერთიანდა. ამ საქმეს, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2015“-ს სათავეში ედგა მანანა კარტოზია.

„იუნესკოს“ გადაწყვეტილებით, 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად არის გამოცხადებული, მოგეხსენებათ, და ჩვენი „რუსთაველიანა“, მგონი, კარგად ჩაეწერა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ციკლში.

წიგნი, რომელიც ხელთ გაქვთ, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემაა.

საძიებლების გამოცემა უმადური საქმეა, რა თქმა უნდა, ფრიად სასარგებლოა მეცნიერებისთვის, მაგრამ, როგორც კი დამთავრდება წიგნზე მუშაობა, მაშინვე „ძველდება“, რადგან უკვე ახალი გამოცემები გამოდის სტამბებიდან. „ვეფხისტყაოსნის“ კორეულ ენაზე დაბეჭდვა სეულში, რომელიც რიგით 504-ეა, ჩვენს ბიბლიოგრაფიაში ვერ შევიდა, რადგან ამ დროს წიგნი უკვე დაბეჭდილი იყო.

**ამჟამად მანანა კარტოზიას საგამომცემლო ჯგუფი მუშაობს ეთნოფორებისგან მოსმენილი და ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშების გამოცემაზე და, როგორც გვპირდებიან, ამ წიგნსაც რამდენიმე კვირაში ვიხილავთ.**

**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო

# თურქეთის პრემიერმინისტრმა თანამდებობა დატოვა

**თურქი პოლიტიკოსის ახმედ დავითოღლუს განცხადებით, იგი მმართველი პარტიასა და პრემიერმინისტრის პოსტს ტოვებს. მან თანამდებობის დატოვების შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ მიიღო.**

„პრეზიდენტთან კონსულტაციების შემდეგ დავასკვენი, რომ პარტიის ლიდერისა და პრემიერმინისტრის შეცვლა უმჯობესი იქნება“, — განაცხადა დავუთოღლუმ და დასძინა, რომ ხელისუფლების შეცვლა „მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს, რათა პარტიამ ერთიანობა შეინარჩუნოს“.

მანამდე სააგენტო „როიტერი“ წერდა, რომ თურქეთის პრემიერმინისტრი პოსტს დატოვებდა. როგორც სააგენტო აღნიშნავდა, თურქეთის პრემიერმინისტრსა და პრეზიდენტს შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა ევროკავშირთან გარიგებაზე, რომელიც არალეგალი მიგრანტების ნაკადს ეხება.

ამასთანავე, სააგენტოს ინფორმაციით, თურქეთის პრემიერი პრეზიდენტ ერდოღანის გეგმას, რომელიც პარლამენტის უფლებამოსილების შემცირებასა და პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას ითვალისწინებს, მხარს არ უჭერს.



**სასამართლომ შეაჩერა მარეგულირებელი კომისიის აქტის მოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ტექნომაქსი“ ჯერ გაფრთხილებული არ არის, აქტის კანონიერება სასამართლოს მიერ დადასტურებული არ არის. შესაბამისად, არ გვევალება მაუწყებლობის ტრანზიტის შეწყვეტა, მაგრამ მარეგულირებელმა კომისიამ კომპანია მაინც დააჯარიმა“.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ზარალას» მფარველები ამ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ

**საქართველოში მონოპოლისტური კომპანიების არსებობა ახალი ამბავი არ არის. მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ანტიმონოპოლიური სამსახური გააუქმა, ქვეყანაში ელიტური ბიზნესები და ბიზნესმენები გაჩნდნენ, რომლებიც ქვეყანას მძიმე ტვირთად აწევს. სიმძიმე იმაში გამოიხატება, რომ ვერ ხერხდება ფასების რეგულირება, რადგან მონოპოლისტები ამის საშუალებას არ იძლევიან და ფასებს წამლებზე, საწვავზე, კომუნიკაციებზე ერთი კონკრეტული ფირმა და პიროვნება ადგენს.**
**მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე და მერეც ასეთი მონოპოლიური კომპანიების არსებობის წინააღმდეგი იყო, დღემდე არაფერი შეცვლილა. ქვეყანაში კვლავაც არსებობენ ფავორიტი კომპანიები და ბიზნესმენები.**
**უკვე რამდენიმე თვეა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომლის თავმჯდომარეც ვახტანგ აბაშიძეა, „სილქნეტის“ დაკვეთით, რომლის მეპატრონეც არის ყოფილი „მხედრიონელი“ „ზარალა“, ახლა უკვე ბიზნესმენი გიორგი რამიშვილი, შპს „ტექნომაქსს“ ედავება. „სილქნეტი“ და „ტექნომაქსი“ ერთმანეთის მსგავსი კომპანიებია, ორივე სატელევიზიო მაუწყებლობის ტრანზიტს ახორციელებს.**
**რას ედავება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ბაზარზე ახალშემოსულ „ტექნომაქსს“ და ვის დაკვეთას ასრულებს ვახტანგ აბაშიძე? — ამ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად შპს „ტექნომაქსის“ ადვოკატ ნინო სოსელიას მივმართეთ.**


ვახტანგ აბაშიძე


გიორგი რამიშვილი „ზარალა“

**«საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უსამართლოდ იქცევა — თავის უფლება-მოვალეობებს აჭარბებს და «ტექნომაქსს» მიზანმიმართულად დევნის»**

— შპს „ტექნომაქსი“ არის ბრიტანული კომპანია, რომელიც ბრიტანეთშივე, ვირჯინიის კუნძულებზეა დაფუძნებული და სათავო ოფისიც იქ მდებარეობს. კომპანია საქართველოში მოღვაწეობს და მაუწყებლობის ტრანზიტს ახორციელებს. „აი-პი-ტვ“ მომსახურების მიწოდებით, ანუ ინტერნეტის საშუალებით ხდება უცხოური და ქართული არხების გადაცემა, მონტაჟდება სპეციალური „აი-პი“ მოდემი და შესაბამისად, მომხმარებელი იღებს იმავე ტიპის მომსახურებას, როგორსაც საკაბელო ტელევიზიები და „სილქტივი“ იძლევა. „ტექნომაქსის“ მომსახურება „სილქტივის“ მომსახურებას ჰგავს, შესაბამისად, მის კონკურენტად ითვლება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში „ტექნომაქსმა“ 2015 წლის ივლისში გაიარა ავტორიზაცია და მაუწყებლობის ტრანზიტის განხორციელების ნებართვაც მოიპოვა. გარდა იმისა, რომ აღნიშნული კომისია მაუწყებლობის ტრანზიტის ნებართვას იძლევა, საჭიროა, იმ არხების ნებართვაც, რომელთა ტრანზიტსაც ახორციელებ.

**— ეს კომერციული გარიგებაა კომპანიასა და არხებს შორის?**

— ამას ამ წუთას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, რის საფუძველზე ხდება არხების ტრანზიტი, კომუნიკაციების კომისიის გადასაწყვეტი არ არის.

**ყველა ქართულმა არხმა გადაწყვიტა, რომ უსასყიდლოდ მოგვცეს საშუალება, განვახორციელოთ მათი მაუწყებლობა. რაც შეეხება უცხოურ არხებს, არსებობს კომპანიები, რომლებიც პაკეტებად ფლობს არხების ჩვენების უფლებას, და ჩვენ ასეთი კომპანიებისგან შევიძინეთ ათეულობით პაკეტი და უცხოური არხების ტრანზიტის უფლება მოვიპოვეთ.**

მაუწყებლობის ტრანზიტის უფლების შეძენისა და ნებართვის მოპოვების შემდეგ შესაბამისი დოკუმენტაცია წარვადგინეთ კომუნიკაციის ეროვნულ კომისიაში, რომელიც მან ცნობად მიიღო, მაგრამ მოხდა ასეთი რამ: **„სილქტივმ“, რომელიც ფლობს მაუწყებლობის ტრანზიტის უფლებას სრულიად საქართველოში, განაცხადა, რომ მისი უფლება ირღვევა, რადგან მას აქვს მაუწყებლობის ექსკლუზიური უფლება და „ტექნომაქსს“ მისთვის არ მიუმართავს, რაც კომპანიას ზიანს აყენებს.**

საქმე ის არის, რომ **საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიას არ შეუმოწმებია „სილქტივის“ დოკუმენტაცია და არ დაუდასტურებია, რომ ეს კომპანია მართლაც ფლობს მაუწყებლობის ექსკლუზიურ უფლებას. არსებობს მხოლოდ ელექტრონული მიმოწერა, რომელიც იურიდიულ დოკუმენტად ვერ ჩაითვლება, თუმცა კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მათი განცხადების საფუძველზე მაინც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და „ტექნომაქსის“ მიერ წარდგენილი ხელშეკრულებების გადამოწმება, ხელშეკრულებების, რომლებიც სერიოზულ კომპანიებთან იყო დადებული და არის აბსოლუტურად გამართული დოკუმენტები.** ჩვენ ინგლისურენოვანი ხელშეკრულებები მაშინვე ვთარგმნეთ და ყველანაირი იურიდიული წესის დაცვით გამართული და კანონთან შესაბამისი დოკუმენტები წარვადგინეთ, მაგრამ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ეს მასალა საკმარისად არ ჩათვალა და მოითხოვა მაუწყებლობისა და ტრანზიტის დაუყოვნებლივ შეჩერება.

**„ტექნომაქსის“ ადვოკატებმა გავასაჩივრეთ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება სასამართლოში, მოვითხოვეთ, რომ, ვიდრე სასამართლო საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, შეაჩეროს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება და მოგვცეს მომსახურებისა და მაუწყებლობის საშუალება. სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა და ეროვნული კომისიის მიერ გაცემული აქტი შეაჩერა.**

ამის შემდეგ მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო რამ, რაც ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ ჩაიდინა და რაც, ვფიქრობ, სერიოზული დარღვევაა. **როდესაც ავტორიზებულ პირს აფრთხილებენ, იმ შემთხვევაში, თუ კვლავ გრძელდება სამართალდარღვევა და ეს არ წყდება გარკვეული დროის განმავლობაში, მარეგულირებელ კომისიას აქვს უფლება, ჯარიმა გამოიყენოს. როგორც მოგახსენეთ, სასამართლომ შეაჩერა მარეგულირებელი კომისიის აქტის მოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ტექნომაქსი“ ჯერ გაფრთხილებული არ არის, აქტის კანონიერება სასამართლოს მიერ დადასტურებული არ არის. შესაბამისად, არ გვევალება მაუწყებლობის ტრანზიტის შეწყვეტა, მაგრამ მარეგულირებელმა კომისიამ კომპანია მაინც დააჯარიმა.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ მისი უფლებამოსილება უფრო ფართოა, ვიდრე სასამართლოსი. მათ ჩაატარეს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოება და ახალი კვლევის შედეგად ჯარიმა შეგვიფარდეს, თანაც დაგვევალა მაუწყებლობის შეწყვეტა. ჩვენ აღნიშნული აქტის შეჩერებაც მოვითხოვეთ და გადაწყვეტილებას რადენიმე დღეში ველოდებით. ლოგიკურად, სასამართლომ მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილება უნდა შეაჩეროს.

**— იკვეთება თუ არა ვინმეს პირადი ინტერესები?**

— იურისტი ვარ და უდანაშაულობის პრეზუმფციას ვიცავ, ამიტომ, სანამ არ დადასტურდება, რომ ვინმეს ინტერესი იკვეთება, ამაზე ვერ ვისაუბრებ. ვხედავ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უსამართლოდ იქცევა — თავის უფლება-მოვალეობებს აჭარბებს და „ტექნომაქსს“ მიზანმიმართულად დევნის, მაგრამ რა მოტივი აქვს ამისთვის, ნამდვილად ვერ გეტყვით.

**ცნობისთვის:** საქართველოს ინტერნეტბაზარზე ორი პროვაიდერი დომინირებს. ერთია სააქციო საზოგადოება **„სილქნეტი“,** რომელიც ბაზარზე რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდა და ამ ხნის განმავლობაში მთავარ მოთამაშედ გადაქცევა მოახერხა. მას ქვეყანაში ყველაზე მეტი აბონენტი ჰყავს — 76%. **„კავკასუს ონლაინი“** კი არის შედეგი 2006 წელს განხორციელებული შერწყმისა, როდესაც „კავკასუს ნეთვორქი“, „ჯორჯია ონლაინი“ და „სანეტი“ გაერთიანდნენ. მას ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურების ბაზრის უდიდესი წილი უკავია — 76%.

საქართველოში ინტერნეტიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი 2010 წელს 80,2 მილიონი ლარია. აქედან „სილქნეტის“ შემოსავალმა 2010 წელს 10 თვის განმავლობაში, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, 25,9 მილიონი ლარი შეადგინა. მთელი წლის განმავლობაში „კავკასუს ონლაინის“ შემოსავალი 32,1 მილიონი ლარი იყო, დანარჩენი თანხა კი 28 პატარა პროვაიდერზე ნაწილდებოდა.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის ანგარიში თითოეული პროვაიდერის შემოსავლის შესახებ ინფორმაციას არ შეიცავს. „სილქ როუდ გრუპის“ ისტორია შფოთიან 90-იანებში იწყება, როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ **გიორგი რამიშვილმა** რეგიონში საქონლის გადამზიდავი პატარა ფირმა დააფუძნა. დღეს „სილქ როუდ გრუპი“ ბენზინისა და ნავთობპროდუქტების გადამზიდავი და ამ პროდუქტებით მოვაჭრე წამყვანი ფირმაა ცენტრალურ აზიაში. მას ინტერესები აქვს ვაჭრობის, უძრავი ქონების, საბანკო და ტელეკომუნიკაციების ბიზნესებში.

„სილქნეტი“ სააკაშვილის რეჟიმის ხელში პოლიტიკური ოპოზიციისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი იარაღი იყო, ისევე, როგორც სხვა ბიზნესკომპანიები. ამ ყველაფრის შესახებ ქართულ მედიაში არაერთი ინფორმაცია გამოქვეყნებულა.

„ზარალა“, „სილქნეტის“ მფლობელი, იგივე გიორგი რამიშვილი, საქართველოში ერთ-ერთი მდიდარი ადამიანია. მის შესახებ ელექტრონულ მედიაში უამრავი ინფორმაცია მოიძებნება. ნავთობი, გაზი, სარკინიგზო გადაზიდვები, სატელეფონო და ინტერნეტსერვისი, საბანკო სექტორი, მშენებლობა, გაყინული ხორცი და ქათამი, ბრინჯი, შაქარი, სამშენებლო მასალები — ეს იმ ბიზნესების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც „ზარალა“ ფლობს საქართველოში. ყოფილ „მხედრიონელს“ მისივე მეგობარი, ასევე, ყოფილი „მხედრიონელი“ ნიკა რურუა მფარველობდა „ნაციონალურ მოძრაობაში“, თუმცა „ზარალა“ არც სააკაშვილისგან უჩიოდა უყურადღებობას.

გიორგი რამიშვილის სახელი კომპანია „სილქ როუდ გრუპს“ უკავშირდება, რომელიც 1998 წელს დაფუძნდა. „სილქ როუდ გრუპის“ შემადგენლობაში შედის „სილქნეტი“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“, „რადისონ ბლუ ივერია“ (თბილისში), „რადისონი“ (ბათუმში), „ბი თი ეი ბანკი“, წინანდლის კომპლექსი და საინვესტიციო კომპანია „დი ესი“.

2014 წელს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროში კორუფციის საკმაოდ მსხვილი საქმე გახსნა და სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავა. უწყების ინფორმაციით, მოქმედ თანამდებობის პირებს ბრალად ედებათ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვა.

2013 წლის 26 დეკემბერს თავდაცვის სამინისტრომ სს „სილქნეტთან“ გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შესყიდვის, ქსელური აპარატურის შეძენა-მონტაჟისა და მომსახურების პირობით. „ზარალას“ კომპანია, არც მეტი, არც ნაკლები, თავდაცვის სამინისტროს ტენდერში მონაწილეობს და თანაც იგებს.

„სილქნეტს“ მწვანე შუქი ირაკლი ალასანიამ აუნთო. სად „სილქნეტი“ და სად ალასანიაო? — იკითხავს მავანი. „სილქნეტის“ მეპატრონე გიორგი რამიშვილს, იმავე „ზარალას“, ქართველი საზოგადოება 1990-იანი წლებიდან იცნობს, როგორც „ვერის საძმოსა“ და, ამასთანავე, „მხედრიონის“ წევრს. „ზარალას“ სისასტიკის კონკრეტული ფაქტებით გაჯერებულია ქართული მედია. მას სხვადასხვა დანაშაულში სდებდნენ ბრალს და ამის გამო არაერთხელ დაიჭირეს კიდეც, მაგრამ ციხეს ყოველთვის თავს აღწევდა. ასევე ცნობილია, რომ 1990-იან წლებში ირაკლი ალასანია მსგავსი საძმოს, „კულინარიელების“, წევრი იყო და „ზარალასა“ და ირაკლი ალასანიას გზები, შესაძლოა, სწორედ 1990-იან წლებში გადაიკვეთა.

როგორც ჩანს, „ზარალას“ მფარველები ამ ხელისუფლებაშიც გამოუჩნდნენ. ის ყველა სხვა კომპანიის ჩაძირვას ცდილობს, რაშიც მას დახმარებას სახელმწიფო უწყება — საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისია უწევს. საინტერესოა, რა აქვს საერთო პოეტ ირაკლი აბაშიძის შვილს — ვახტანგ აბაშიძეს „ზარალასთან“?!

**«საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიას არ შეუმოწმებია «სილქტივის» დოკუმენტაცია და არ დაუდასტურებია, რომ ეს კომპანია მართლაც ფლობს მაუწყებლობის ექსკლუზიურ უფლებას»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აბრამსის“ კორპუსის წინა ნაწილი დაცულია მრავალფენიანი ჯავშნით, მაგრამ ისეთი ნაწილები, როგორიცაა ლუკი და დაკვირვების ხელსაწყოები, ნაკლები სიმტკიცის ჯავშნითაა დაფარული. „არმატა“ კი დაფარულია მაღალი სიმტკიცის ჯავშნით, რომელიც მას ამჟამად არსებული ყუმბარებისგან თავის დაცვის საშუალებას აძლევს, თვითონ „არმატას“ კი შეუძლია ნებისმიერი თანამედროვე ტანკის ჯავშანი გახვრიტოს.**

# დატოვებენ თუ არა ამერიკელები «აბრამსებს» საქართველოში





## «აბრამსი» (M1A2)

„აბრამსი“, რომლითაც აშშ-ის არმია 1981 წელს შეიარაღდა, 9880 ერთეულია გამოშვებული.

* ეკიპაჟი — 4 კაცი
* კორპუსის სიგრძე — 7925 მმ
* სიგრძე ქვემეხთან ერთად — 9766 მმ
* კორპუსის სიგანე — 3653 მმ
* მასა — დაახლოებით 50 ტ
* ჯავშანი: ფოლადის, კომბინირებული, ყუმბარსაწინააღმდეგო.
* შეიარაღება:

ქვემეხები: 105 მმ-იანი M68A3, 120 მმ-იანი M256
შორს მხედველი და საზენიტო (პერისკოპული) სამიზნეები
ტყვიამფრქვევები: 1X12,7 მმ-იანი M2HB
2X7,62 მმ-იანი M240

* საბრძოლო მასალები:

ყუმბარა — 55: ვაზნები ტყვიამფრქვევისთვის — 1000 ერთ. 7,62 მმ-იანი

* ძრავის სიმძლავრე — 1500 ცხ. ძ.
* სიჩქარე (მაქსიმალური) — 72 კმ/სთ

## «არმატა» (T-14)

ეს არის უახლესი რუსული ტანკი მუხლუხებიან უნივერსალურ პლატფორმაზე, რომელიც 2015 წლის 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზე წარმოადგინა რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ და იმავე წელს დაიწყო მისი წარმოება.

* ეკიპაჟი — 3 კაცი
* სიგრძე (ქვემეხთან ერთად) — 10800 მმ
* სიგანე — 3900 მმ
* მასა — 48 ტ
* ჯავშანი: ტანკი დაფარულია კომბინირებული მრავალფენიანი ჯავშნით
* შეიარაღება:

ქვემეხები: 125 მმ-იანი 2A82-1M; 152 მმ-იანი 2A83
ტყვიამფრქვევი: 1X12,7 მმ-იანი „კორდი“, 1-7,62 მმ კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევი.

* საბრძოლო მასალა: 45 ყუმბარა. ვაზნები ტყვიამფრქვევებისთვის — 2000 ც.
* ძრავის სიმძლავრე — 1500 ცხ. ძ.
* სიჩქარე (მაქსიმალური) — 80 კმ/სთ.

**ქართულ-ამერიკული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი — 2016“ 11 მაისს დაიწყება და 26 მაისამდე გასტანს. ამ სწავლებაში, რომელიც ვაზიანის პოლიგონზე გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს 1300 სამხედრო: 650 — ამერიკელი, 500 — ქართველი და 150 — ბრიტანელი.**

**სამხედროები გამოიყენებენ ამერიკულ ტანკებს — MIA2 „აბრამსსა“ (8 ერთეული) და ქვეითთა საბრძოლო მანქანებს — „ბრედლის“ (7 ერთეული), აგრეთვე, ამერიკულ თვითმფრინავ C130-ს. ეს სამხედრო ტექნიკა ვარნიდან (ბულგარეთი) შავი ზღვის გავლით ჯერ ფოთში, იქიდან კი თბილისში, ვაზიანის ბაზაზე გადაიტანეს. გავრცელებული ინფორმაციით, ტექნიკა ამერიკელებმა შეიძლება, საქართველოს დაუტოვონ.**

**როგორია „აბრამსის“ — აშშ-ის ძირითადი და ბრძოლებში გამოცდილი (ომი სპარსეთის ყურეში 1991 წელს, ერაყში — 2003-2011 წლებში, ავღანეთში 2001-2014 წელს, იემენში — 2015 წელს) საბრძოლო მანქანის ტექნიკური მახასიათებლები და სჯობს თუ არა ის ახალ რუსულ ტანკ „არმატას“?**

### ეკიპაჟის დაცულობა

„არმატას“ ეკიპაჟი თავსდება დაჯავშნილ კაფსულაში, რომელიც დამატებით დამცავ ზღუდეს ქმნის და ბრძოლისას ეკიპაჟის წევრებს შორის კომუნიკაციას ამაღლებს.

ამ მხრივ „აბრამსი“ ჩამორჩება „არმატას“, თუმცა ამერიკულ ტანკში ყუმბარები ლაგდება კორპუსის უკანა ნაწილში და, საბრძოლო მანქანის აფეთქების შემთხვევაში, ეკიპაჟს გადარჩენის მეტი შანსი აქვს.

### ჯავშანი

„აბრამსის“ კორპუსის წინა ნაწილი დაცულია მრავალფენიანი ჯავშნით, მაგრამ ისეთი ნაწილები, როგორიცაა ლუკი და დაკვირვების ხელსაწყოები, ნაკლები სიმტკიცის ჯავშნითაა დაფარული. „არმატა“ კი დაფარულია მაღალი სიმტკიცის ჯავშნით, რომელიც მას ამჟამად არსებული ყუმბარებისგან თავის დაცვის საშუალებას აძლევს, თვითონ „არმატას“ კი შეუძლია ნებისმიერი თანამედროვე ტანკის ჯავშანი გახვრიტოს.

### რადიოსალოკაციო სისტემები

ამერიკული „აბრამსი“, რომელიც აქამდე ყველაზე თანამედროვე საბრძოლო მანქანად ითვლებოდა, აღჭურვილია მძლავრი რადიოსალოკაციო სისტემებით: რადიოსადგურით, სალაპარაკო მოწყობილობით, 6 პერისკოპით, ელექტრონული ბალისტიკური გამომთვლელით. აგრეთვე, მასობრივი განადგურების იარაღისგან თავდაცვისა და ცეცხლის მართვის თანამედროვე სისტემებით.

„არმატას“ ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ აღჭურვილია უმძლავრესი რადიოსალოკაციო სისტემით, რომელიც ტანკს საშუალებას აძლევს, არა მხოლოდ თავი დაიცვას და იყოს თითქმის შეუმჩნეველი მოწინააღმდეგისთვის, არამედ აღმოაჩინოს და თვალი ადევნოს 40-მდე სახმელეთო და 25 საჰაერო სამიზნეს 100 კმ-ის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ გამოცდისას „არმატამ“ მასზე დამიზნებული ყველა ჭურვი და რაკეტა გაანადგურა. ამას გარდა, „არმატა“, ისევე, როგორც „აბრამსი“, აღჭურვილია მასობრივი იარაღისგან თავდაცვისა და ცეცხლის მართვის თანამედროვე სისტემებით.

### სვლის რეზერვი და სიჩქარე

თუ ამერიკული და რუსული ტანკების ისეთ მაჩვენებლებს შევადარებთ, როგორც არის სვლის რეზერვი (მანძილი, რომელსაც გაივლის საბრძოლო მანქანა სავსე ავზით, საწვავის დაუმატებლად), ამ მხრივ, რუსულ ტანკს აქვს უპირატესობა. „არმატას“ სვლის რეზერვი 500 კმ-ია, „აბრამსის“ — 480.

რუსულ ტანკს შეუძლია საათში 80 კმ სიჩქარე განავითაროს (სწორ გზაზე), ამერიკული ტანკის მაქსიმალური სიჩქარე კი საათში 72 კმ-ია.

სპეციალისტთა აზრით, „არმატას“, რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლის მიხედვით, უპირატესობა აქვს „აბრამსთან“ შედარებით, მაგრამ ჯერ ბრძოლებში გამოცდილი არ არის და, რა თქმა უნდა, დასახვეწი იქნება, თუმცა, რუსული ტანკი ძალიან მძლავრი საბრძოლო მანქანაა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

# აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს გაფართოების საპასუხოდ რუსეთი 3 დივიზიას ქმნის

**აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში დამატებით 4 ბატალიონის განლაგებაზე მსჯელობენ. მიზეზი, როგორც პენტაგონის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რუსეთის მიერ მოულოდნელად ჩატარებული სამხედრო სწავლებების სიხშირეა.**



ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსარდალი კერტის სკაპაროტი



სერგეი შოიგუ

აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს კიდევ 4 ბატალიონის განლაგებას მხარი დაუჭირა პოლონეთის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **იაროსლავ კაჩინსკიმ**, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების განხორციელების შემდეგ პოლონეთი აღარ იქნება „ნატოს მეორეხარისხოვანი წევრი“. ეს ყველაფერი მოხდა ესტონეთში, რუსეთის საზღვართან, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 2 მაისს დაწყებული სწავლების — „სფრინგ სტორმის“ ფონზე, რომელშიც 11 სახელმწიფოს 6 ათასი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს და რომელიც 19 მაისამდე გაგრძელდება.

**თუ პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში ნატოს კიდევ ოთხ ბატალიონს გადაისვრიან, აღმოსავლეთ ევროპაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა 4 ათასს მიაღწევს. 2 ბატალიონი აშშ-ის იქნება, თითო-თითო კი — გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, რუსეთის საზღვართან კიდევ ოთხი ბატალიონის განლაგება-შენახვა 3,4 მლრდ დოლარი დაჯდება.**

აღმოსავლეთ ევროპაში ახალი ბატალიონების განლაგების შესახებ განცხადებას მოჰყვა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ახალი მთავარსარდლის, ამერიკელი გენერლის — **კერტის სკაპაროტის** მოწოდება, რომ ალიანსის წევრები ყოველთვის მზად უნდა იყვნენ რუსეთთან დასაპირისპირებლად.

**სამხედრო ექსპერტთა აზრით, აშშ-სა და ნატოს ახალი სამხედრო ქვედანაყოფების განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში ძალთა თანაფარდობაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს, რადგან, კონფლიქტის შემთხვევაში, რუსეთი საიმედოდ არის დაცული ატომური იარაღით.**

აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის საზღვართან დამატებით 4 ბატალიონის განლაგების შესახებ აშშ-სა და ნატოს გადაწყვეტილების საპასუხოდ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ** განაცხადა, რომ რუსეთის საზღვართან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძალების გასანეიტრალებლად 3 ახალი დივიზია შეიქმნება.

„რუსეთის საზღვრებთან ნატოს ძალების გაძლიერების გამო თავდაცვის სამინისტრო იღებს საწინააღმდეგო ზომებს. წლის ბოლომდე დასავლეთის სამხედრო ოლქში 2 დივიზია ჩამოყალიბდება, სამხრეთის ოლქში — ერთი. შენობა-ნაგებობები მოწინავე სამშენებლო ტექნოლოგიებით აშენდება, ეს იქნება მოდულური კონსტრუქციებით შექმნილი ბანაკი, რომლის დაშლასა და სხვა ადგილას გადატანას დიდი დრო არ დასჭირდება. თითოეულ ახალ დივიზიაში 10 000 კაცი იმსახურებს“, — განაცხადა სერგე შოიგუმ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

51 წლის ლონდონელ ქალს, კიმ უესტს, უკვე 2 წელიწადია, თავის შვილთან, 32 წლის ბენ ფორდთან, სექსუალური ურთიერთობა აქვს. ქალს მიაჩნია, რომ „ისინი ერთმანეთისთვის არიან შექმნილი“. არადა, ბენი ერთი კვირის იყო, დედამ რომ გააშვილა. 51 წლის ქალი და მისი 32 წლის ვაჟი ამბობენ, რომ მათი სექსუალური ცხოვრება „დაუჯერებელი“ და „გონების დამბინდველია“.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ბრიტანეთის კულტურის მინისტრი სექსსკანდალის ცენტრში აღმოჩნდა

**ბრიტანეთში ოპოზიცია და საზოგადოებრივი აქტივისტები ცდილობენ, გაარკვიონ, რატომ დამალა 4 დიდმა გაზეთმა ინფორმაცია კულტურისა და სპორტის მინისტრის — ჯონ უიტინგდეილისა და მისი თანამშრომლის რომანის შესახებ.**



ტელეარხ „ბი-ბი-სის“ პროგრამა „პანორამაში“ ითქვა, რომ 4-მა ბრიტანელმა გაზეთმა „ფიფლმა“, „მეილ ან სანდეიმ“, „სანმა“ და „ინდეფენდენტმა“ ჩაატარა გამოძიება უიტინგდეილისა და ესკორტ-სააგენტოს თანამშრომლის რომანის შესახებ, მაგრამ რედაქციებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ისტორიის გასაჯაროება არ იყო საზოგადოების ინტერესებში.

ამ ამბავმა ყურადღება იმიტომ მიიპყრო, რომ დიდი ბრიტანეთის კულტურისა და სპორტის მინისტრის უფლება-მოვალეობაში შედის პრესასთან ურთიერთობის რეგულირება — სწორედ ის კურატორობს ახალი სამართლებრივი ბაზის შექმნას, რომელმაც ბრიტანული პრესის მუშაობა უნდა დაარეგულიროს. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ლორდ ლევესონის კომისიის მოხსენების გათვალისწინებით, რომელმაც გაზეთ „ნიუს ოფ ზე ვორდის“ ჟურნალისტების მხრიდან ბრიტანელთა პირად ცხოვრებაში შეჭრის შემთხვევები გამოიძია. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ სრულიად შესაძლო იყო, გაზეთებს მინისტრის მაკომპრომეტირებელი მასალები მასზე ზემოქმედების ბერკეტად გამოეყენებინათ.

ჯონ უიტინგდეილი გამოცდილი პოლიტიკოსია. 1982 წელს იყო კონსერვატიული პარტიის აქტივისტი, 1988 წელს კი იმჟამინდელი პრემიერმინისტრის — მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკური მდივანის სტატუსი მოიპოვა. 1992 წლიდან პარლამენტის დეპუტატია და 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კულტურის, სპორტისა და მასობრივი ინფორმაციის კომიტეტს თემთა პალატაში.

გაირკვა, რომ კულტურის მინისტრად დანიშვნამდე ერთი წლით ადრე უიტინგდეილს, იმხანად კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ესკორტ-სააგენტოს თანამშრომელ ქალთან.

მინისტრი ამტკიცებს, რომ ქალი ინტერნეტის მეშვეობით გაიცნო და წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ის სექსინდუსტრიის სფეროში მუშაობდა, მასთან კავშირი კი 2014 წელს — მინისტრის პოსტის დაკავებამდე გაწყვიტა. მიუხედავად ამისა, უიტინგდეილს ამ ინტიმური კავშირის შესახებ არ უცნობებია ბრიტანეთის პრემიერმინისტრის აპარატისთვის 2015 წლის მაისში, როდესაც მას კულტურის მინისტრის პოსტი შესთავაზეს. ამის გამო ლეიბორისტული პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები უიტინგდეილისთვის პრესასთან ურთიერთობის დარეგულირების უფლებამოსილების ჩამორთმევას ითხოვენ, რადგან გაზეთებს მაკომპრომეტებელი ინფორმაცია დამოკლეს მახვილივით ჰქონდათ დაკიდებული მინისტრის თავზე და გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვეღარ მიიღებდა ლორდი ლევესონის კომისიის მოხსენებაში აღნიშნულ ფაქტებზე.

ბედის ირონიაა, რომ ის აქტივისტები, რომლებიც მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოთხოვნით გამოდიოდნენ, ახლა თავს ესხმიან პრესას იმის გამო, რომ მან უარი თქვა მინისტრის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცის გამოქვეყნებაზე.




## დედა-შვილი დაქორწინებას აპირებს

**ქალი, რომელმაც მოძებნა 30 წლის წინათ მიტოვებული ვაჟი, ამბობს, რომ მათ (დედა-შვილს) ძალიან უყვართ ერთმანეთი და შვილის გაჩენასაც აპირებენ, — იუწყება „მეილ ონლაინი“.**

51 წლის ლონდონელ ქალს, **კიმ უესტს,** უკვე 2 წელიწადია, თავის შვილთან, 32 წლის **ბენ ფორდთან,** სექსუალური ურთიერთობა აქვს. ქალს მიაჩნია, რომ „ისინი ერთმანეთისთვის არიან შექმნილი“.

არადა, ბენი ერთი კვირის იყო, დედამ რომ გააშვილა.

51 წლის ქალი და მისი 32 წლის ვაჟი ამბობენ, რომ მათი სექსუალური ცხოვრება „დაუჯერებელი“ და „გონების დამბინდველია“.

„ეს არ არის ინცესტი. ჩვენ პარკში ლობიოს მარცვლებივით ვართ და ერთად უნდა ვიყოთ. ვიცი, ადამიანები იტყვიან, საზიზღრები ვართ, რომ გრძნობებს უნდა ვაკონტროლებდეთ, მაგრამ, როდესაც ასეთი ყოვლისმშთანთქმელი სიყვარულისგან იტანჯები და მზად ხარ, ამ სიყვარულისთვის ყველაფერი გასცე, მის დასაცავად უნდა იბრძოლო. ასეთი შანსი მხოლოდ ერთხელ გეძლევა და მე და ბენს არ გვსურს, ის ხელიდან გავუშვათ“, — ამბობს კიმ უესტი.

ორი წლით ადრე, ვიდრე დედა-შვილი ერთმანეთს შეხვდებოდა, ბენმა ცოლად შეირთო გოგონა ვიქტორია. დედასთან შეხვედრის შემდეგ კი განქორწინდა და დედასთან ერთად აშშ-ში გაემგზავრა.

## ბრიტანეთის პარლამენტის წევრს ცოლის გაუპატიურებაში ადანაშაულებენ

**საგრაფო ლანკაშირის პოლიციის განცხადებით, ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატის (როჩდეილიდან) — საიმონ დანჩუკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.**



საიმონ დანჩუკს ბრალი ედება 2006 წელს ცოლის გაუპატიურებაში. 2016 წლის იანვარში დეპუტატი საიმონ დანჩუკი მისმა პირველმა ცოლმა **სონია როსინგტონმა**, რომელზეც 10 წლის განმავლობაში იყო დაქორწინებული, სექსუალურ ძალადობასა და ნარკოტიკების მოხმარებაში დაადანაშაულა. მანამდე კი ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელ დეპუტატს იმაშიც დასდეს ბრალი, რომ 17 წლის გოგონას, რომელიც დანჩუკის ოფისში მუშაობის დაწყებას აპირებდა, ეს-ემ-ესებს სწერდა და სექსუალურ ურთიერთობაზე მის დათანხმებას ცდილობდა.

დანჩუკმა თავი იმით იმართლა, რომ ეს-ემ-ეს-ების გაგზავნის მომენტში მთვრალი იყო. აღსანიშნავია, რომ დანჩუკი თავის დროზე პედოფილიის წინააღმდეგ მებრძოლად ასაღებდა თავს.

ამ პარლამენტარმა სახელი გაითქვა, როგორც ალკოჰოლიკმა, ნარკომანმა და სექსუალური თავგადასავლების მოყვარულმა. მას ყოფილმა ცოლმა „სექსუალური მტაცებელი“ უწოდა.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინმა მოსკოვთან დაწყებული ბრძოლები 1945 წლის 30 აპრილს ბერლინის შტურმით დაამთავრა, რომლის ნანგრევებშიც იწვოდა მსოფლიოზე გაბატონებით ფრთაშესხმული, შემდეგ კი სტალინთან ბრძოლაში თავლაფდასხმული ჰიტლერის ნეშტი.**

# სტალინის სტრატეგიისა და ტაქტიკის დიადი გამარჯვება მოსკოვის მისადგომებთან

**„ყველა გზას მოსკოვში მივყავართ" — ასე შეიცვალა ცნობილი გამოთქმა „ყველა გზას რომში მივყავართ", როდესაც კრემლში სტალინი ნახევარლმერთად იჯდა კაცობრიობის მხსნელად.**

1812 წელს პარიზში ერთ-ერთ წვეულებაზე **ნაპოლეონ ბონაპარტემ** რუსეთის სამხედრო ატაშეს ჰკითხა: „რომელია უმოკლესი გზა მოსკოვამდე?"

ატაშემ მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა: „მოსკოვში ბევრი გზა მიდის. მაგალითად, კარლ მეთორმეტე პოლტავის მხრიდან მიადგა მოსკოვს".

**ჰიტლერმა** კი ზუსტად იცოდა მოსკოვში მისასვლელი ყველა გზა და შეკითხვის დასმა არ სჭირდებოდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, არც ის იკითხა, როგორ ბრუნდებოდნენ მოსკოვში „ჩასულები" უკან.

1941 წელს ჰიტლერმა თავის დირექტივაში ჩაწერა: **„გრანდიოზული ნაგებობების შემწეობით იქ, სადაც დღეს ქალაქი მოსკოვია, ჩვენ უნდა შევქმნათ ზღვა, რომლითაც სამუდამოდ მოვწყვეტთ ცივილიზაციას რუსი ხალხის დედაქალაქს"** (ამონარიდი ნიურნბერგის პროცესის მასალებიდან. ტ.1. გვ. 495)

1941 წლის 3 ოქტომბერს სვასტიკიანმა ტანკებმა შეანგრიეს ქალაქ ორიოლის ზღუდეები, 6 ოქტომბერს დაეცა ბრიანსკი, 12 ოქტომბერს — კალუგა. ვიაზმასთან ოთხი არმია ე.წ. ტომარაში მოექცა. მოსკოვი დაუცველი დარჩა.

დაიწყო კატასტროფული დღეები არა მხოლოდ მოსკოვისთვის, არამედ მსოფლიოსთვის. ბერლინი ზეიმობდა აღმოსავლეთში მიღწეულ უდიდეს გამარჯვებას.

მოსკოვში გაჩერდა ტრანსპორტი, არ მუშაობდა მაღაზიები — პროდუქტები უფასოდ დაურიგეს მოსკოვის მოსახლეობას. საბჭოეთის დედაქალაქის მისადგომებს მოადგა გერმანელთა რჩეული 80 დივიზია, მათ შორის, 14 სატანკო და 9 მოტორიზებული.

1941 წლის 15 ოქტომბერი. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება №1, რომელშიც აღნიშნული იყო:

„მოჟაისკის თავდაცვის ხაზზე შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის გამო, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:

**1. დაევალოს ვ. მოლოტოვს, გამოუცხადოს უცხო ქვეყნების დიპლომატიურ მისიებს მათი ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ ქალაქ კუიბიშევში. ამხ. ლ. კაგანოვიჩმა უზრუნველყოს მისიებისთვის სარკინიგზო შემადგენლობების დროული მიწოდება. ამხ. ლ. ბერიამ უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება;**

2. დღესვე ევაკუირებული იქნას უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აგრეთვე, მთელი მთავრობის შემადგენლობა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მოლოტოვის მეთაურობით (ამხანაგი სტალინი ევაკუირებული იქნება ხვალ ან ცოტა მოგვიანებით, მდგომარეობიდან გამომდინარე);

3. დაუყოვნებლივ ევაკუირებული იქნას თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საზღვაო სამინისტრო ქალაქ კუიბიშევში. გენერალური შტაბის ჯგუფი გადაყვანილი იქნეს არზამასში;

4. იმ შემთხვევაში, თუ მოწინაალმდეგემ შემოაღწია ქალაქის კარიბჭეში, დაევალოს ამხანაგ ლ. ბერიასა და ამხანაგ ა. შჩერბაკოვს, განახორციელონ საწყობებისა და დაწესებულებების აფეთქება, რომელთა ევაკუაციაც მტრის ხელში ჩავარდნამდე ვერ მოესწრება. აგრეთვე, გაანადგურონ მთელი ელექტრომოწყობილობა მეტროპოლიტენში და საკანალიზაციო სისტემები.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე
ი. სტალინი".

**1941 წლის 16 ოქტომბერს სტალინმა განაცხადა: „არავითარი ჩემი ევაკუაცია. ვრჩები მოსკოვში, გამარჯვებამდე"** (ა. რიბინი, „სტალინთან ერთად", 1992წ., გვ. 25).

სტალინი უშუალოდ ჩაერთო მოსკოვის დაცვაში. 16 ოქტომბერს, საღამოს, ის გაემართა წინა ხაზზე მებრძოლ **ა. ბელობოროდოვის** დივიზიაში, რათა ჯარისკაცებთან ერთად გასცნობოდა საბრძოლო პოზიციებს, გასაუბრებოდა და გაემხნევებინა მეომრები. მივიდა სოფელ ლენინოში, მოინახულა დაჭრილები და მათგან მოისმინა, რომ ისინი მოსკოვისთვის სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლებდნენ.

გამთენიისას უკან დაბრუნებული სტალინი კიდევ დიდხანს დაჰყურებდა მოსკოვის სტრატეგიულ რუკას და აღნიშვნებს აკეთებდა მასზე.

ათას ვარიანტში საუკეთესოს არჩევდა:

„მოსკოვის დაცემა, არა იმიტომ, რომ უკან დასახევი არ გვაქვს, საერთოდ, მიუღებელია, — ჯიუტად ამტკიცებდა სტალინი, — მოსკოვის დაცემა ნიშნავს, ფრთები შეისხას იაპონიის მილიტარიზმმა და მეორე ფრონტი გაგვიხსნას აღმოსავლეთიდან. ეს კი მეტისმეტად სახიფათო და დამღუპველია. ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ ორ ფრონტზე, რესურსი არ გვეყოფა. გაცილებით ადვილია, დავიცვათ მოსკოვი, ვიდრე ვიბრძოლოთ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე".



სტალინი მავზოლეუმის ტრიბუნაზე. 1941 წლის 7 ნოემბერი

**1941 წლის 22 ივნისიდან 1941 წლის დასრულებამდე 49-ჯერ სცადეს გერმანელებმა მოსკოვის დაბომბვა. ამ ოპერაციებში მონაწილეობდა 3700 ბომბდამშენი. მოსკოვის საჰაერო სივრცე მხოლოდ 142 თვითმფრინავმა გადალახა, ხოლო მოსკოვისთვის საჰაერო ბრძოლებს მტრის 478 თვითმფრინავი შეეწირა**



ბარიკადები მოსკოვის ქუჩებში. 1941 წლის ნოემბერი

სტალინმა ჯადოსნური სვლები გააკეთა. სხვადასხვა არხითა და საშუალებით დაადგინა, რომ იაპონია ვერ რისკავდა მეორე ფრონტის გახსნას აღმოსავლეთში. სტალინმა ბრძანება გასცა, მოსკოვის ომის თეატრის ავანსცენაზე გამოეყვანათ გამობრძმედილი და გაკაჟებული ციმბირელები და ყაზახები. ვერავინ აღწერს იმ თავგანწირვასა და ბრძოლის ჟინს, რომელიც ცეცხლმოკიდებულ მოსკოვში სტალინის ყოფნამ გამოიწვია მის მიერ მოხმობილ დამხმარე ძალებში.

20 ოქტომბერს მოსკოვი გადაიქცა სამხედრო ქალაქად. გზები გადაკეტილი იყო ტანკსაწინააღმდეგო ღობურებით. ქუჩაში გამოჩნდნენ პანიკიორები, დივერსანტები და პროვოკატორები, რომლებიც ხალხში ხმას ავრცელებდნენ, რომ მოსკოვი დაეცა, რომ სტალინი ქალაქიდან გაიქცა. გაიცა ყველა რჯულის მოღალატის ადგილზე ლიკვიდაციის განკარგულება. რამდენიმე საათში ქალაქში წესრიგი აღდგა. მოსკოვის დიდი თეატრის ცნობილი ტენორი **სერგეი ლემეშევი**, როდესაც სხვა მსახიობებთან ერთად კუიბიშევში გასამგზავრებლად ვაგონში ადიოდა, უცებ თავის ამხანაგებს მოსწყდა და ქუჩაში ყვირილით გამოვარდა: „რატომ უნდა წავიდე მე კუიბიშევში, როდესაც სტალინი მოსკოვშია და მასთან ერთად რატომ არ უნდა დავიცვა ჩემი მოსკოვი?!"

ლემეშევს უამრავი თანამზრახველი გამოუჩნდა და ცოტა ხანში პუშკინის ქუჩაზე მდებარე დიდი თეატრის ფილიალში გაიმართა გრანდიოზული კონცერტი, ხოლო 22 ნოემბერს — პეტრე ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი".

როდესაც ამის შესახებ რადიოთი თუ თავიანთი მეთაურებისაგან სანგრებში ჩაწოლილმა თუ ტყეში გასულმა პარტიზანებმა შეიტყვეს, ყველას გამარჯვების იმედი ჩაესახა.

1941 წლის 5 ნოემბერს მოსკოვთან ახლოს მისულმა გერმანელმა ოფიცერმა **ალბერტ ნეიმგენმა,** რომელმაც შორიდან თვალი მოჰკრა კრემლის კურანტებს, დედას წერილი მისწერა:

„ძვირფასო დედა, ახლა მოვდივარ ჩვენი დივიზიის შტაბიდან, სადაც მოიტანეს ბრძანება მოსკოვზე უკანასკნელი შეტევის დაწყების შესახებ. მე ვნახე უშველებელი ზარბაზნები, რომლებიც საღამოს ცეცხლს გაუხსნიან კრემლს. მე ის დივიზიებიც ვნახე, რომლებიც პირველი შევლენ წითელ მოედანზე და მოინახულებენ ლენინის საფლავს. ეს ომის დამთავრებაა, დედა. მოსკოვი ჩვენია, რუსეთი ჩვენია, ჩვენია ევროპა. ხვალ წერილს მოსკოვიდან მოგწერ და აღგიწერ, როგორია ეს წყეული აზიური ქალაქი".

მაგრამ ასე არ მოხდა.

6 ნოემბერს მოსკოვის მეტროპოლიტენის ყველაზე ღრმა სადგურის — „მაიაკოვსკაიას" დარბაზში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა მიტინგი, რომელზეც, როგორც წესი, სიტყვით იოსებ სტალინი გამოვიდა:

**„... გერმანელ დამპყრობლებს გადაუწყვეტიათ, აწარმოონ გამანადგურებელი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რა გაეწყობა, რაკი გერმანელებს გამანადგურებელი ომი სურთ, ისინი მიიღებენ ამ ომს!"**

7 ნოემბერს, დილით, გაიმართა სამხედრო აღლუმი, რომელიც მკაცრად გასაიდუმლოებულად მომზადდა. ამ აღლუმის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდნენ თვით მისმა მონაწილეებმაც კი.

მოსკოვის ჯარების სარდალმა **პაველ არტემიევმა,** როდესაც სამხედრო აღლუმის ჩატარების შესახებ შეიტყო, აღელვებულმა ჰკითხა სტალინს:

— მოსკოვის საჰაერო სივრცეში მტრის თვითმფრინავი რომ შემოიჭრას და დაბომბოს წითელი მოედანი?"

— მტრის ვერც ერთი თვითმფრინავი მოსკოვის საჰაერო სივრცეს ვერ დაარღვევს და, თუ ტრიბუნა მაინც დაბომბა, დაზარალებულე- ▶

**დღეს მსოფლიოს აკანკალებს ჯიჰადის ქამრის ხსენებაზე, და „დემოკრატებს“ ვურჩევ, ნუ მიიყვანენ საქრისტიანოს იმ ზღვრამდე, რომ ჯიჰადის ქამარი ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა შეცვალოს. აი, მაშინ კი იქნება საკითხავი, — დედამიწის რომელ კუთხეში მიადგება დიდ მწვერვალს ნოეს კიდობანი.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დღეს ევროპა გვამუნათებს იმის გამო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვილაცას ახსოვს სტალინის სახელი. არადა, მონობიდან დახსნილი ევროპის სახელით საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა 1945 წლის 9 მაისის სადღესასწაულო დღეებში დეპეშა გაუგზავნა სტალინს: «თუ დღეს ევროპა თავისუფალია — ეს სტალინისა და სტალინგრადის დამსახურებაა»

◀ბი იქაურობას სასწრაფოდ მოაცილეთ, ხოლო აღლუმი არ შეაჩეროთ, — დატოვა ანდერძი სტალინმა, შემდეგ კი მავზოლეუმის ტრიბუნიდან ჯარებს მიმართა:

**„ამხანაგებო, წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, პარტიზანებო! თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ძალას, რომელსაც ძალუძს, მოსპოს გერმანელ დამპყრობთა მძარცველი ურდოები. თქვენ შემოგყურებენ ევროპის დამონებული ხალხები, რომლებიც გერმანელ დამპყრობთა უღელქვეშ მოექცნენ, როგორც თავის განმათავისუფლებლებს. თქვენ წილად გხვდათ დიადი განმათავისუფლებელი მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი! ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახეები! დაე, გფარავდეთ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!**

**გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისთვის!**

**სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“**

**1941 წლის 22 ივნისიდან 1941 წლის დასრულებამდე 49-ჯერ სცადეს გერმანელებმა მოსკოვის დაბომბვა. ამ ოპერაციებში მონაწილეობდა 3700 ბომბდამშენი. მოსკოვის საჰაერო სივრცე მხოლოდ 142 თვითმფრინავმა გადალახა, ხოლო მოსკოვისთვის საჰაერო ბრძოლებს მტრის 478 თვითმფრინავი შეეწირა.**

მოსკოვისთვის ბრძოლის მთავარ ლოზუნგად იქცა პოლიტხელ **ვასილ კლოჩკოს** სიტყვები: **„რუსეთი დიდია, მაგრამ უკან დასახევი ადგილი არ გვაქვს — უკან მოსკოვია“.**

ლეგენდარული 316-ე მსროლელი დივიზია, რომელსაც გენერალ-მაიორი **ივანე პანფილოვი** მეთაურობდა, სამუდამოდ ჩაიწერა მოსკოვის ისტორიაში. სწორედ ამ დივიზიის მებრძოლებმა გაანადგურეს გერმანელთა საუკეთესო მე-2 სატანკო და 29-ე მოტორიზებული დივიზიები. აგრეთვე, მე-11 და 110-ე ქვეითთა დივიზიები, ,იტლერის რჩეული არმიიდან.

სტალინის მიერ შემონახული რეზერვის შესახებ საბჭოთა კავშირის ბევრმა მაღალი რანგის პარტიულმა თუ სამხედრო ხელმძღვანელმა არ იცოდა, და, რა თქმა უნდა, არ იცოდა არც გერმანიის სამხედრო დაზვერვამ. სწორედ ახალ-ახალი დივიზიებისა და არმიების გამოჩენა აგდებდა „შოკში“ ჰიტლერს, რომელსაც ჩაუფლავდა მოსკოვისთვის ბრძოლის სტრატეგიაც და ტაქტიკაც. ის მხოლოდ ისტერიკულად გაჰკიოდა: „მომატყუეს!“.

როდესაც ჰიტლერის თაყვანისმცემლები აანალიზებენ მოსკოვის ბრძოლებს, ამბობენ, ჰიტლერმა იმიტომ ვერ შეძლო საბჭოეთის დედაქალაქის აღება, რომ მის მისადგომებთან მთავარი მოწინააღმდეგე „გენერალი ტალახი“ დახვდა და ხელი შეუშალა გერმანელთა სამხედრო ტექნიკას ოპერაციების შესრულებაშიო.

**საკითხავია, როგორი გზებით მოდიოდნენ მეტნაკლებად კეთილმოწყობილ მოსკოვის მისადგომებამდე ვერმახტის ტანკები და რატომ აღმოჩნდა ასე გაუვალი მოასფალტებული მოსკოვის ქუჩები, რომლებშიც მათ დახვდა „გენერალი ტალახი“, ან იმ 3700 თვითმფრინავსაც ტალახი უშლიდა ხელს, მოსკოვში რომ ვერ შეაღწიეს?!**

ჰიტლერის თაყვანისმცემელთა ამ თვალსაზრისის გასაბათილებლად საკმარისია, გაცნობა ერთი კურიოზული წერილის შინაარსისა, რომელიც მარშალმა **ჟუკოვმა** მთავარსარდალ სტალინს გაუგზავნა:

„14 დეკემბერი 1941 წელი.

ამხანაგ სტალინს!

ფელდმარშალი გუდერიანის ტყვედ ჩავარდნილი არმიის ნაწილები, ყინვით შეწუხებულები, თხოვნით მოგვმართავენ, დავრთოთ ნება, ჩაიცვან საპარადო ტანსაცმელი, რომელიც მათ წამოღებული აქვთ თავიანთი გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე ჩასაცმელად.

ჟუკოვი“.

როგორც ამ მოკლე წერილიდან ჩანს, **მოსკოვის მისადგომებთან ჰიტლერელთა განადგურებაში „გენერალი ზამთარი“ და „გენერალი ტალახი“ არაფერ შუაშია. აქ ნათლად იკვეთება ვერმახტის მიერ სტალინისა და სტალინური რუსეთის შესაძლებლობების არასწორი შეფასება — ფაშისტებს ეგონათ, რომ საბჭოთა კავშირს 1941 წლის 7 ნოემბრამდე მოუღებდნენ ბოლოს.**

მოსკოვის დაცვის ეპოპეა სამხედრო ხელოვნების ნათელი მაგალითია. სწორედ აქ გამოჩნდა სტალინის სამხედრო ეშმაკობა მოწინააღმდეგის მოტყუებისა, რომელსაც ძნელად თუ მოეძებნება ანალოგი მსოფლიოს ომების ისტორიაში.

**სტალინმა მოსკოვთან დაწყებული ბრძოლები 1945 წლის 30 აპრილს ბერლინის შტურმით დაამთავრა, რომლის ნანგრევებშიც იწვოდა მსოფლიოზე გაბატონებით ფრთაშესხმული, შემდეგ კი სტალინთან ბრძოლაში თავლაფდასხმული ჰიტლერის ნეშტი.**

ჟუკოვს, მის მიერ გაგზავნილ ცნობაზე 1 მაისის გამთენიისას ჰიტლერის თვითმკვლელობის შესახებ, სტალინმა უპასუხა: **„დაიგრალსა და პადლეც?! თუ მეტი მნიშვნელოვანი არაფერი მოხდა ბერლინში, ნუ გამაღვიძებ, ხვალ ხომ დიდი ზეიმი გვაქვს — 1 მაისი“.**

სტალინის სახელზე დედამიწის ყველა კუთხიდან მოდიოდა წერილები. ხალხი სიხარულს ვერ მალავდა. გათავისუფლებული ევროპა ყველა დიდი ქალაქის ყველა დიდ გზაჯვარედინზე სტალინის ბიუსტის დასადგმელად ემზადებოდა. მთელი ევროპა მოიცვა გამარჯვების სახელობის პარკებმა და იქ აღმართულმა განმათავისუფლებელი რუსი ჯარისკაცის ძეგლებმა. საბჭოეთში მშვიდობა მყარდებოდა. **მილიტარისტული იაპონია თავის ნაჭუჭში იკეტებოდა, როდესაც „მშვიდობისმოყვარე და ადამიანის უფლებების დამცველმა“ ამერიკამ ახალგამოგონილი ატომური ბომბის გამოცდა მოაწყო და იაპონიის ორი ქალაქი — ნაგასაკი და ჰიროსიმა ჯოჯოხეთის ცეცხლის ალში გაახვია.**

სტალინის ინიციატივით შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მისი 5 წევრისგან შემდგარ უშიშროების საბჭოს სამუდამოდ უნდა უზრუნველეყო მშვიდობა მსოფლიოში. Gგარდაიცვალა სტალინი და დაიშალა საბჭოთა კავშირი.

**დღეს ევროპა გვამუნათებს იმის გამო, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ვილაცას ახსოვს სტალინის სახელი. არადა, მონობიდან დახსნილი ევროპის სახელით საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა 1945 წლის 9 მაისის სადღესასწაულო დღეებში დეპეშა გაუგზავნა სტალინს: „თუ დღეს ევროპა თავისუფალია, ეს სტალინისა და სტალინგრადის დამსახურებაა“.**

თუ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **უინსტონ ჩერჩილი** 1943 წელს „სანთელს უნთებდა დილა-საღამოს და ღმერთს ევედრებოდა სტალინის ჯანმრთელობას, რადგან მხოლოდ მას შეეძლო ეხსნა ევროპისა და მსოფლიო ცივილიზაცია“, ნუთუ იმხანად უფრო კარგად არ ახსოვდათ კოლექტივიზაციისა და 1937 წლის ტრაგიკული მოვლენები, ვიდრე დღეს, სტალინის გარდაცვალებიდან 63 წლის შემდეგ?!

მაგრამ არა, ჩემო მკითხველო, მიზეზი სხვა რამ არის.

**დღეს ცივილიზებულმა და მორწმუნე ევროპამ თავისი ფეშენებელური ეკლესიებიდან ქალ-ვაჟი განდევნა და ახლა იქ მღვდელმსახურები კატებისა და ძაღლების ქორწინების ცერემონიას ატარებენ, ხოლო ეკლესიიდან გამოსულ ვაჟს ვაჟი მიჰყვება ცოლად, ქალს — ქალი, ცხოველურმა ინსტიქტებმა სძლია ადამიანურს. ამ ყველაფერს უფალი დაჰყურებს მაღლიდან და, თუ ამ სოდომსა და გომორას ზეციდან ცეცხლის ენები არ მოუვლინა, მაშინ უდაბნოებში ჩასაფრებული მფრინავი გველები მისრიალდებიან ამ უწმინდური ადამიანების ბუნაგთან და აღგვიან მას პირისაგან მიწისა.**

ღმერთი ბოროტების დასათრგუნავად უფრო აღაზევებს სიკეთეს სხვა ქვეყანაში, რომელმაც უნდა სძლიოს სიბნელესა და ბოროტებას. ღმერთს, ალბათ, ეს „შავი სამუშაოც“ უკვე დაწყებული აქვს.

„დემოკრატიული“ სამყარო ყველა უბედურებაში სტალინის კულტს ადანაშაულებს. სტალინი ბოროტების ღმერთად არის გამოცხადებული და თურმე ის არ ანებებს საზოგადოებას სწორად განვითარებას, ამიტომ უნდა დაემხოს არა როგორც კულტი, არამედ როგორც ღმერთი და სარწმუნოება, რათა ხალხს განვითარების საშუალება მიეცეს.

ალბათ, მსოფლიოს ისეთ „დემოკრატიულ განვითარებაზე“ ფიქრობენ, როგორც ერაყი, ლიბანი, სირია, ეგვიპტე, კოსოვო, ავღანეთი და სხვა ქვეყნები განავითარეს.

**თუ აქამდე „დემოკრატები“ ამტკიცებდნენ, რომ სტალინი ქრისტიანული სარწმუნოების მტერი და გამანადგურებული იყო, დღეს ვექტორი შეიცვალეს და სტალინი ორთოდოქს მართლმადიდებლად გამოაცხადეს. ისინი საზოგადოებას ფარულად უბიძგებენ სტალინის ხატის შექმნისკენ, რათა მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან საბრძოლველად გზა უფრო ფართოდ გაეხსნათ.** მაგრამ მწარედ ცდებიან „დემოკრატები“. ღვთისადმი ხალხის რწმენის განმტკიცება ქმნის იმ მტკიცე შენადნობს, რომლის დამანგრეველი ძალაც ადამიანის გონებას ჯერ არ შეუქმნია, ამიტომ სულ ტყუილად ცდილობენ და უშედეგოდ ხარჯავენ დროს, ენერგიასა და რესურსს სტალინისა და მართლმადიდებლობის ერთმანეთისგან დასაშორებლად.

დღეს მსოფლიოს აკანკალებს ჯიჰადის ქამრის ხსენებაზე, და „დემოკრატებს“ ვურჩევ, ნუ მიიყვანენ საქრისტიანოს იმ ზღვრამდე, რომ ჯიჰადის ქამარი ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა შეცვალოს. აი, მაშინ კი იქნება საკითხავი, დედამიწის რომელ კუთხეში მიადგება დიდ მწვერვალს ნოეს კიდობანი.

მსოფლიომ ნახა, პუტინმა როგორ გააგდებინა მოტაცებული საბჭოთა კავშირი ვეშაპს პირიდან. დღეს ვინ არ იცის, რომ 1990 წლებში გაპარტახებული რუსეთის წიაღქვეშა ხომალდებს კერძო პირები ჯართად ჰყიდდნენ, კოსმოდრომები აუქციონზე იყო გატანილი, ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალი ჩუბაისის ჯიბის ხურდად იყო გადაქცეული, ხოლო გალეშილი „იმპერატორი“ ელცინი თვითმფრინავის სალონიდან ვერ ჩამოჰყავდათ.

მის შემდეგ ქვეყანა ნელ-ნელა იბრუნებს სუპერსახელმწიფოს ტიტულს.

მაშინ უფრო ძლიერი იყო რუსეთი, როდესაც მას ამერიკა, ელცინი და ჩუბაისი მართავდნენ თუ ახლა, როცა ქვეყანას სხვა ქვეყნებისგან (ამერიკისგან) დამოუკიდებლად პუტინი მართავს?

**მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს — ვლადიმერ პუტინს:**

**ვლადიმერ ვლადიმერის ძევ!**

კვლავ აღმართეთ კრემლზე დროშა წითელი, ძლევამოსილი, სტალინური გერბით დამშვენებული. არ დაგჭირდებათ არანაირი მოწოდება, ისე დადგება 300 მილიონი კაცი კვლავ თქვენ გვერდით, მათ მიემატება თავისუფლების მოყვარე და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მილიარდობით ადამიანი.

**აღმართეთ თავისუფლების, ამერიკული იმპერიალიზმისგან თავის დახსნის, ევროპის კოლაფსიდან გამოყვანის, სოციალური თანასწორობის, თავისუფალი ცხოვრებისა და სიცოცხლის დროშა!**



მოსკოვი. წითელი მოედანი. 1941 წლის 7 ნოემბერი

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრს წარმოდგენაც არ აქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის არქივებიდან ამოღებულ დოკუმენტებზე, რომლებიც მიუთითებს, რომ ამერიკის დაზვერვა ათწლეულების განმავლობაში მალულად აფინანსებდა ევროპულ მოძრაობას და კულისებში აქტიურად მუშაობდა ამ პროექტში დიდი ბრიტანეთის ჩართვაზე.**

# «დეილი ტელეგრაფი»: ევროკავშირი ყოველთვის იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პროექტი

**ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გამოსვლის მომხრეები მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ დაუპირისპირდნენ აშშ-ის გავლენას ევროპაში. ევროპული კავშირი ყოველთვის იყო ამერიკული პროექტი. ამის თაობაზე წერს „დეილი ტელეგრაფის“ მიმომხილველი ამბროს ევანს-პრიჩარდი. 1940-იან წლებში სწორედ ვაშინგტონი უბიძგებდა ევროპას ინტეგრაციისკენ და მალულად აფინანსებდა ამ პროცესს ტრუმენის, ეიზენჰაუერის, ჯონსონისა და ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში.**


ჟან მონე



**ჟან მონე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკაში, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი ფრანკლინ რუზველტის თვალი და ყური იყო. გენერალი შარლ დე გოლი მონეს ამერიკის აგენტად თვლიდა და სინამდვილეში იყო კიდეც**

ზოგჯერ გალიზიანების მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატები აქამდე დებს ფსონს ევროკავშირზე, როგორც რეგიონში ამერიკის ინტერესების დამცველზე (ნატოსთან ერთად). აშშ-ს აქ არასდროს გამოუყენებია სტრატეგია — „დაყავი და იბატონე“.

ამას ევროსკეპტიკოსები გაურკვეველი მიზეზით ვერ ამჩნევენ და რატომღაც ვარაუდობენ, რომ ოკეანის გაღმა არსებული ძალები ბრიტანელებს გამოყოფისკენ უბიძგებენ. ისინი ამ ძალებს მიესალმებიან ისე, როგორც განმათავისუფლებელს. ანტიბრიუსელური მოძრაობა საფრანგეთში (ნაკლები ხარისხით იტალიასა და გერმანიაში), აგრეთვე, სკანდინავიაში მემარცხენეთა ფლანგზე — განპირობებულია იმ ვარაუდით, რომ ევროკავშირი სინამდვილეში არის ანგლო-საქსური და „ველური კაპიტალიზმის“ გავლენის ინსტრუმენტი.

ფრანგი **მარინ ლე პენი** თავგადაკლული ანტიამერიკელია. ის გულისწყრომას ვერ მალავს დოლარის უპირატესობის გამო. მისი „ნაციონალური ფრონტი“ კი თანხებს რუსული ბანკებიდან იღებს. ამაში არის სტრატეგიული თანამიმდევრობა.

***შუმანის** დეკლარაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთისა და გერმანიის შერიგებას, შემდეგ კი ეტაპობრივად — ევროკავშირის შექმნას, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **დინ აჩესონმა** შეთითხნა სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთ თათბირზე. „ყველაფერი ვაშინგტონში დაიწყო“, — განაცხადა რობერ შუმანის კანცელარიის ხელმძღვანელმა.

**ომის შემდგომ პირველ წლებში პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის ადმინისტრაციამ დააშინა ფრანგები და აიძულა ისინი, დროებითი ხელშეკრულება გაეფორმებინათ გერმანელებთან. 1950 წლის სექტემბერში ჯიუტ ფრანგ ლიდერებთან მწვავე პოლემიკისას ამერიკელები მათ მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების შეწყვეტითაც კი დაემუქრნენ.** ტრუმენის მოტივები ნათელი იყო. ინგრეოდა იალტის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან. მას შემდეგ, რაც სტალინმა ჩეხოსლოვაკია გადაყლაპა, ხოლო ჩრდილოეთ კორეამ გადალახა 38-ე პარალელი და თავს დაესხა სამხრეთს, აშშ-ს სჭირდებოდა ერთიანი ფრონტი კრემლის ექსპანსიის შესაჩერებლად.

ბრიტანელი ევროსკეპტიკოსების აზრით, **ჟან მონეს**** განსაკუთრებული ადგილი უკავია ფედერალიზმის პანთეონში, ის ნაციონალური საზიზღრობის რუხი კარდინალია. **ცოტამ თუ იცის, რომ ჟან მონე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკაში, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კი ფრანკლინ რუზველტის თვალი და ყური იყო.**

**გენერალი შარლ დე გოლი მონეს ამერიკის აგენტად თვლიდა და სინამდვილეში იყო კიდეც.** ჟან მონეს ბიოგრაფი **ერიკ რუსელი** აღწერს, როგორ თანამშრომლობდა მონე ამერიკის ყველა ადმინისტრაციასთან. ძალიან უცნაურია, რომ ეს 1000-გვერდიანი ავტორიტეტული კვლევა გადათარგმნილი არ არის ინგლისურ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე კარგი ნაშრომია ევროკავშირის წარმოქმნის შესახებ.

აგრეთვე, ბევრს წარმოდგენაც არ აქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის არქივებიდან ამოღებულ დოკუმენტებზე, რომლებიც მიუთითებს, რომ ამერიკის დაზვერვა ათწლეულების განმავლობაში მალულად აფინანსებდა ევროპულ მოძრაობას და კულისებში აქტიურად მუშაობდა ამ პროექტში დიდი ბრიტანეთის ჩართვაზე.

**„დეილი ტელეგრაფი“**

*** რობერ შუმანი** —საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც 1950 წლის 9 მაისს გამოვიდა წინადადებით, გაეერთიანებინათ საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის მეტალურგიული, სარკინიგზო და ქვანახშირის საწარმოები. ამ წინადადების რეალიზების შემდეგ შექმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება — ევროკავშირის წინამორბედი (რედ.)

**** ჟან მონე** (ჟან ომერ მარი გაბრიელ მონე. 1888-1979 წ.წ.) — ფრანგი მეწარმე და სახელმწიფო მოღვაწე. ითვლება ევროკავშირის ერთ-ერთ ფუძემდებლად (რედ.).



# შოტლანდიელმა ნაციონალისტებმა «ისტორიული» გამარჯვების შესახებ განაცხადეს

**შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ნიკოლა სტარჯენმა განაცხადა, რომ მისმა პოლიტიკურმა ძალამ — შოტლანდიის ნაციონალისტურმა პარტიამ — დიდ ბრიტანეთში ახლახან ჩატარებულ რეგიონულ არჩევნებში „ისტორიული“ გამარჯვება მოიპოვა.**

დიდ ბრიტანეთში ახლახან გამართულ რეგიონულ არჩევნებს განიხილავდნენ როგორც ამომრჩეველთა განწყობილების ტესტირებას 23 ივნისს დანიშნული რეფერენდუმის წინ, რომელზეც უნდა გადაწყდეს ევროკავშირში გაერთიანებული სამეფოს დარჩენა-არდარჩენის საკითხი.

შოტლანდიის ნაციონალისტური პარტია დიდი ბრიტანეთისგან გამოყოფისა და შოტლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით გამოდის. იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული სამეფო ევროკავშირს დატოვებს, პარტიას განზრახული აქვს, კიდევ ერთხელ შეეცადოს დამოუკიდებლობის მოპოვებას.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს შოტლანდიელებმა მხარი დაუჭირეს დიდი ბრიტანეთის შემადგენლობიდან შოტლანდიის გამოსვლას.



# ლონდონის მერად პაკისტანელი მუსლიმანი აირჩიეს

**ლეიბორისტული პარტიის კანდიდატი, პაკისტანელი იმიგრანტების შვილი სადიკ ხანი ლონდონის მერად აირჩიეს.**

ხანი ისტორიაში შევა, როგორც პირველი მუსლიმანი, რომელმაც ლონდონის მერის პოსტისთვის ბრძოლაში გაიმარჯვა. ამასთანავე, ის ისტორიაში შევა, როგორც პირველი მუსლიმანი, რომელმაც ევროკავშირის წევრი ქვეყნის დედაქალაქის მერის პოსტი დაიკავა.

„ბი-ბი-სის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წინასწარი მონაცემებით, ხანს მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 45%-მა. მის მოწინააღმდეგეს, კონსერვატორ მილიონერ **ზაკ გოლდსმიტს** — 35%-მა.

46 წლის სადიკ ხანი პროფესიით იურისტია. 2008-2009 წლებში ეკავა ადგილობრივი თვითმმართველობების საკითხების მინისტრის პოსტი, შემდეგ კი ორი წლის განმავლობაში ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

ხანის ოჯახი დიდ ბრიტანეთში 1960 წელს გადასახლდა პაკისტანიდან. მამამისი ავტობუსის მძღოლი იყო. სადიკი ხანების ოჯახის 8 შვილიდან მეხუთეა.

**ექსპერტთა დასკვნა ასეთია: აშშ გაცილებით მძლავრად ზემოქმედებს ევროპაზე, ვიდრე აქამდე ჰქონდათ წარმოდგენილი. მაგალითად, ვაშინგტონი ევროპიდან შეტანილ ავტომობილებზე გადასახადებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაანულებს, თუკი ევროკავშირის ბაზარზე შეიტანს თავის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, თანაც — გადასახადების გაუქმებით ან შემცირებით.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქათმები ავტომობილების ნაცვლად და ჯანდაცვის ევროპული სტანდარტები საფრთხის წინაშე

**გერმანულმა გამოცემა „ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა" საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინფისის" დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა საიდუმლო მასალები, რომლებშიც აღწერილია ევროკავშირისა და აშშ-ის მოლაპარაკებების დეტალები თავისუფალი სავაჭრო ზონის პირობების შესახებ. დოსიე 240 გვერდისგან შედგება. მისი გასაიდუმლოება იმით იყო გამოწვეული, რომ 2013 წელს დაწყებული მოლაპარაკებები ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის შეთანხმების შესახებ (ტსსპ — TTIP) დახურულ რეჟიმში მიმდინარეობს. შეხვედრების ოქმებზე ხელი მიუწვდება პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხოლოდ ვიწრო წრეს, რომლებსაც უფლება არ აქვთ, ინფორმაცია გადასცენ მესამე პირს, მათ შორის პრესის წარმომადგენლებს.**




აქამდე ცნობილი იყო ტსსპ-ის მხოლოდ ძირითადი მიზნები და მიმართულებები. მთავარი მიზანია ევროკავშირსა და აშშ-ს შორის მსოფლიოში უდიდესი თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა, რომელშიც 800 მლნ კაცი ცხოვრობს. ამისათვის ატლანტიკის ოკეანის ორივე სანაპიროზე იგეგმება საბაჟო ბარიერების გაუქმება და საწარმოო სტანდარტების უნიფიკაცია.

ეს, შეთანხმებას ინიციატორების აზრით, გამოიწვევს არასაჭირო ფორმალობების გაუქმებას, ბიზნესის ხარჯების შემცირებას, ეკონომიკის ზრდის ტემპის დაჩქარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, თუმცა ამ მიზნებზეც ვერ ხერხდება კონსენსუსის მიღწევა. **ევროკავშირისა და აშშ-ის დელეგაციების 13-რაუნდიანმა მოლაპარაკებებმა სასურველი ერთობა ვერ მოიტანა და, როგორც საიდუმლო მასალებიდან ჩანს, ვითარება კარგახანს არ შეიცვლება.**

## ევროკავშირისა და აშშ-ის დელეგაციების 13-რაუნდიანმა მოლაპარაკებებმა სასურველი ერთობა ვერ მოიტანა, და, როგორც საიდუმლო მასალებიდან ჩანს, ვითარება კარგახანს არ შეიცვლება

ექსპერტთა დასკვნა ასეთია: **აშშ გაცილებით მძლავრად ზემოქმედებს ევროპაზე, ვიდრე აქამდე ჰქონდათ წარმოდგენილი. მაგალითად, ვაშინგტონი ევროპიდან შეტანილ ავტომობილებზე გადასახადებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაანულებს, თუკი ევროკავშირის ბაზარზე შეიტანს თავის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, თანაც — გადასახადების გაუქმებით ან შემცირებით.**

უფრო მიუღებელია მხარეების პოზიცია ე.წ. **კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოების** შექმნაზე. მათი დახმარებით ბიზნესს შეძლებს გადაწყვიტოს საკამათო საკითხები უცხო სახელმწიფოების მარეგულირებელ ორგანოებთან. ექსპერტები ამბობენ, რომ ასეთი მექანიზმი — ამერიკული კონცერნებისა და მათი ლობისტებისთვის ჩვეული — გამოიწვევს საზედამხედველო და მარეგულირებელი ორგანოების პარალიზებას ევროპაში და შეიძლება, ფაქტობრივად, გააჩეროს რიგი საკანონმდებლო ნორმებისა, რომლებიც ევროპული დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინით არის მიღებული. ალტერნატიულ გადაწყვეტილებად ევროკავშირის დელეგაცია ამერიკელებს სთავაზობს, რომ კონფლიქტები მოგვარდეს საერთო იურისდიქციის სასამართლოებში გასაჩივრების უფლების შენარჩუნებით, მაგრამ ამ წინადადებას აშშ კატეგორიულად არ ეთანხმება.

უთანხმოების ჩამონათვალში ცალკე აღნიშვნის ღირსია ევროკავშირში მოქმედი ე.წ. **სიფრთხილის პრინციპის** გაუქმება. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, გენეტიკურად მოდიფიცირებული კვების პროდუქტებისა და მცენარეების შეტანაზე გაუქმდეს შეზღუდვები იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს ეჭვი, რომ ეს პროდუქტი სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. აშშ-ში მოქმედებს ასეთი პრინციპი: პროდუქტის წარმოება და გაყიდვა დასაშვებია, თუკი დამტკიცებული არ არის, რომ ის მავნეა ადამიანისთვის.

გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტებზე მხარეების უთანხმოების შესახებ ინფორმაცია ადრეც გაავრცელა პრესამ და ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის ხელშეკრულების გერმანელი მოწინააღმდეგეები ყოველთვის მიუთითებდნენ, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმება ევროპაში ეკოლოგიური სტანდარტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნორმების გაუარესებას გამოიწვევს.

**„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი"**

# საფრანგეთმა უარი თქვა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე




**ევროპულ პრესაში ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის შეთანხმების გარშემო ევროკავშირსა და აშშ-ს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების დეტალების გამოქვეყნების შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა პირობა დადო, რომ ამ მოლაპარაკებებს დაბლოკავს.**

**„ამ სტადიაზე საფრანგეთი მოლაპარაკებებს არას ეუბნება", — განაცხადა ფრანსუა ოლანდმა.**

საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინფისის" ექსპერტების აზრით, ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის შესახებ შეთანხმება აშშ-სა და ევროკავშირს შორის საფრთხეს შეუქმნის ევროპულ სტანდარტებს ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოლოგიის სფეროებში. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ვაჭრობის საკითხებში ევროკავშირის კომისრის — **სესილი მალმსტრემის** დაპირების მიუხედავად, შესაძლოა, გაუქმდეს „სიფრთხილის პრინციპი", რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია აკრძალოს ისეთი პროდუქტის გაყიდვა, რომელზეც ეჭვობს, რომ ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნის.

ფრანსუა ოლანდის დაპირებამდე ცოტა ხნით ადრე საფრანგეთის სახელმწიფო მდივანმა საგარეო ვაჭრობის საკითხებში — **მატიას ფეკლმა** განაცხადა, რომ შეიძლება შეწყდეს მოლაპარაკებები ტრანსატლანტიკურ სავაჭრო და საინვესტიციო შეთანხმებაზე აშშ-თან, რადგან ვაშინგტონს „მიუღებელი" პოზიცია უკავია.

**„ევროპა ბევრ რამეს სთავაზობს, სანაცვლოდ კი ძალიან ცოტას იღებს. და ეს დაუშვებელია... პარიზი მოლაპარაკებებს შეწყვეტს",**— განაცხადა ფეკლმა.

ერთი თვის წინათ სააგენტო „როიტერი" იუწყებოდა, რომ ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის შეთანხმებას ბარიერები შეიძლება შეუქმნას **ჰოლანდიამაც** — ამ ქვეყანაში ამომრჩეველთა საინვესტიციო ჯგუფი ხელმოწერებს აგროვებს და აპირებს რეფერენდუმზე გაიტანოს საკითხი — შეუერთდეს თუ არა ჰოლანდია ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას.



# მსოფლიოს ისტორიაში სიდიდით მეორე ალმასი აუქციონზე გაიყიდება

**29 ივნისს ლონდონში გაიმართება „სოთბის" აუქციონი, რომელზეც გასაყიდად გამოიტანენ მსოფლიოს ისტორიაში სიდიდით მეორე ალმასს — „ლესიდი ლა რონას" საწყისი ფასი 70 მლნ დოლარი იქნება.**

ქვა არნახული სისუფთავით გამოირჩევა და მისი დამუშავების შემდეგ მსოფლიოში ყველაზე დიდი ბრილიანტის მიღება შეიძლება. ალმას „ჩვენი შუქის" (ასე ითარგმნება ტსვანას ენიდან სახელწოდება) მასა 1109 კარატია (222 გრამი), ზომით კი ჩოგბურთის ბურთის ტოლია. ეს ალმასი კანადურმა კომპანიამ „ლუკარა დაიმონდ კორპორეიშენმა" 2015 წლის 16 ნოემბერს ბოტსვანას (სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში) ცენტრალურ ნაწილში იპოვა.

ცნობილია მხოლოდ ერთადერთი ალმასი, რომელიც „სოთბის" აუქციონზე გასაყიდად გასატან ალმასს ზომებით სჯობდა — ეს არის 1905 წელს სამხრეთ აფრიკაში ნაპოვნი **„კულინანი"**, რომლის მასა დამუშავებამდე 3106,75 კარატი (621,3 გრ) იყო.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პერლ-ჰარბორის ტრაგედია, რომელმაც ათასობით ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა, 1941 წლის ნოემბერში მოხდა, საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი კი მანამდეც და შემდეგაც თანამშრომლობდა ნაცისტებთან — მართავდა მათ ანგარიშებს, ეხმარებოდა დაპყრობილი ქვეყნების სავალუტო რეზერვების მითვისებაში, ინახავდა ფაშისტების მიერ ნაძარცვ ოქროს და, ამასთანავე, რჩებოდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკის კორესპონდენტად.**

# როგორ თანამშრომლობდა აშშ ნაცისტურ გერმანიასთან

**სსრკ-ის მოკავშირეების მონაწილეობაზე ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა. ამ საკითხზე არის ორი თვალსაზრისი: პირველის მიხედვით, დასავლეთის ქვეყნებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთო გამარჯვებაში და დამსახურებულად, სსრკ-თან თანაბრად, უნდა ჩაითვალონ გამარჯვებულად; მეორე თვალსაზრისის მომხრეები კი დარწმუნებულნი არიან, რომ არავითარი რეალური დახმარება არ ყოფილა, ხოლო „მეორე ფრონტის“ გახსნას ომის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა უკვე აღარ შეეძლო. ამ მსჯელობა-კამათის ფონზე ხშირად არის უგულებელყოფილი აშშ-ის ბიზნესწრეებისა და გერმანიის ხელისუფლების თანამშრომლობის თემა. ინტერნეტგამოცემა Ruposters.ru ორი სფეროს (ფინანსები და ნავთობი) მაგალითზე მოგვითხრობს ამ თანამშრომლობაზე.**


IG FARBEN-ის შტაბ-ბინა ფრანკფურტში

## ბანკი ჰიტლერისთვის

1930 წელს იმისათვის, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას რეპარაციები გადაეხადა, მსოფლიოს საბანკო თანამეგობრობამ საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი (სსბ) შექმნა. იდეის სულისჩამდგმელი იყო **ჰერმან შახტი** — იმხანად გერმანიის „რაიხსბანკის“ პრეზიდენტი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა უოლსტრიტთან.

მისი მოთხოვნით, სსბ-ის წესდებაში შეიტანეს ხელშეუხებლობის პუნქტი — ბანკი არ ექვემდებარებოდა არც კონფისკაციას, არც ლიკვიდაციას და არც უცხო მხარის კონტროლს მის მუშაობაზე. ბანკის წესდებას ხელი მოაწერეს (თავიანთი ხელისუფლებების თანხმობით) ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, „რაიხსბანკის“ და სხვა დიდი ბანკების წარმომადგენლებმა, აგრეთვე, მორგანების კლანის კუთვნილმა კერძო ბანკმა — First National Bank of New York-მა.

ერთი წლის შემდეგ, **1931-ში, სსბ-ს ფუნქციები კარდინალურად შეიცვალა — გერმანიისგან რეპარაციების მიღების ნაცვლად ბანკი დაუბრკოლებლად იღებდა ამერიკულ და ბრიტანულ ფულს. მეორე მსოფლიო ომის წინ კი ჰიტლერის კონტროლს დაექვემდებარა — ბანკის მმართველობა სრულიად „გაგერმანელდა“. ომის პერიოდში დირექტორი რამდენიმეჯერ შეიცვალა, მაგრამ ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა ფიურერს.**

სხვათა შორის, ბანკის მოქმედებამ დააეჭვა აშშ-ის ფინანსთა იმჟამინდელი მინისტრი **ჰენრი მორგენტო.** იმისათვის, რომ გაერკვია, რით იყო დაკავებული სსბ-ი, მინისტრმა თავისი წარმომადგენელი **მერლ კოჰრანი** ბაზელში (შვეიცარიის ამ ქალაქში იყო ბანკის შტაბ-ბინა) გაგზავნა. ის, სამწუხაროდ, ნაცისტური იდეოლოგიით მოიხიბლა, ამიტომ ერთდროულად ორ ფრონტზე დაიწყო მუშაობა — ერთი მხრივ, წერდა მოხსენებებს ბანკში მიმდინარე დადებით პროცესებზე; მეორე მხრივ, გვერდს უვლიდა უხერხულ მომენტებს. მაგალითად, **არაფერი უთქვამს ჰიტლერელების მიერ ვენის აღების შემდეგ ავსტრიის ოქროს „ექსპროპრიაციაზე“, რომელიც სსბ-ის მეშვეობით განხორციელდა.**

პრაღის დაცემის შემდეგ ნაცისტებმა ტყვედ აიყვანეს ჩეხეთის ნაციონალური ბანკის წევრები. მათგან ქვეყნის ოქროს მარაგის (დაახლოებით 48 მლნ დოლარის) გადაცემას ითხოვდნენ, მაგრამ, უცნაურად განვითარებული მოვლენების შედეგად, ოქრო უკვე სსბ-ისთვის იყო გადაცემული, იქიდან კი გაიგზავნა ინგლისის ბანკში, როგორც ჩეხები ფიქრობდნენ, უსაფრთხო ადგილას. ამ დროს ინგლისის ბანკს მართავდა **მონტეგიუ ნორმანი** — ჰიტლერის თაყვანისმცემელი და მან პირველი ბრძანებისთანავე ჩეხეთის ოქრო სსბ-ს დაუბრუნა, იქიდან კი გაუგზავნეს გერმანიას — ბერლინს ბევრი ფული სჭირდებოდა ომის დასაწყებად.


ჯონ როკფელერი


ტომას მაკკიტრიკი (დღეს)

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: **ომის პერიოდში საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკის (სსბ-ის) თანამშრომლები დაუბრკოლებლად კვეთდნენ ომში მონაწილე ქვეყნების საზღვრებს. სსბ-ის დირექტორმა აშშ-ის მოქალაქე ტომას მაკკიტრიკმა კი 1943 წლის გაზაფხულზე იმოგზაურა მარშრუტით: ბაზელი-რომი-ლისაბონი-აშშ.**

ამერიკაში მაკკიტრიკი შეხვდა წარმომადგენელს ფედერალური სარეზერვო ბანკისა, რომლის კორესპონდენტადაც ირიცხებოდა სსბ, ამის შემდეგ კი ბერლინში გაემგზავრა.

ალსანიშნავია, რომ **პერლ-ჰარბორის ტრაგედია, რომელმაც ათასობით ამერიკელის სიცოცხლე შეიწირა, 1941 წლის ნოემბერში მოხდა, საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი კი მანამდეც და შემდეგაც თანამშრომლობდა ნაცისტებთან — მართავდა მათ ანგარიშებს, ეხმარებოდა დაპყრობილი ქვეყნების სავალუტო რეზერვების მითვისებაში, ინახავდა ფაშისტების მიერ ნაძარცვ ოქროს და, ამასთანავე, რჩებოდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო ბანკის კორესპონდენტად.**



ისე ჩანდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსბ-ს არსებობა უნდა შეეწყვიტა. **ნიურნბერგის პროცესზე განიხილებოდა ბანკის მმართველობის წევრთა საქმეებიც — ამოტივტივდა გერმანულ „რაიხსბანკთან“ თანამშრომლობისა და ჩეხეთის, ბელგიისა და ებრაელთა ოქროს (ბანკის თანამშრომლები არ მალავდნენ, რომ ეს ოქრო მიღებული ჰქონდათ ლიუბლინისა (მაიდანეკის — რედ.) და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკებიდან) მიტაცების დეტალები, მაგრამ, მიუხედავად ბანკის, კონკრეტულად მისი ხელმძღვანელის — მაკკიტრიკის საწინააღმდეგო უამრავი სამხილისა, მას ხელი არავინ ახლო; მოგვიანებით კი როკფელერების კუთვნილი „ჩეიზ ნეშნლ ბენკის“ ვიცეპრეზიდენტად დანიშნეს.**

საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი დღესაც მოქმედებს.

## საომრად საჭირო სითხე

ომისათვის ფული აუცილებელი რესურსია, მაგრამ არა — ერთადერთი. ნავთობი და მისგან წარმოებული პროდუქტები, მათ შორის, ბენზინი და ნავთი, არანაკლებ საჭიროა. ამ საკითხში გერმანელ ნაციტებს ძალიან გაუმართლათ — ატლანტიკის გაღმა მოღვაწე ნავთობის მაგნატებს შორის ფაშისტური იდეოლოგიის მომხრენიც აღმოჩნდნენ.

მთავარი როლი კი შეასრულა სანავთობე კონცერნმა **„სტანდარდ ოილმა“**, რომელიც 1941 წელს მსოფლიოში უდიდესი კომპანია იყო. სანავთობე კომპანია და მისი დამფინანსებელი ბანკი როკფელერთა კლანს ეკუთვნოდა.

ნავთობის მიწოდება 1930-იან წლებში, როდესაც გერმანია სწრაფი ტემპით ავითარებდა სამხედრო სფეროს და ძალიან სჭირდებოდა საწვავი, ასეთი სქემით ხორციელდებოდა: „სტანდარდ ოილის“ გემებს ნავთობი ამერიკიდან კანარის კუნძულებზე გადაჰქონდათ, იქ კი გერმანიის ტანკერებში გადაქაჩავდნენ. შემდეგ ამ ტანკერებს ნავთობი ჰამბურგში გადაჰქონდათ. დიდ ბრიტანეთთან პრობლემები რომ არ შექმნოდათ, გერმანული გემები პანამის დროშებით ცურავდნენ.

გერმანელებს სჭირდებოდათ, რომ ნავთობი გადამუშავებულიყო ერთდროულად რამდენიმე ადგილზე — კანარის კუნძულებსა და ჰამბურგში, თუმცა სხვადასხვა მიზნებისთვის. კანარის კუნძულებზე საწვავით ამარაგებდნენ წყალქვეშა ნავებს, ჰამბურგში — თვითმფრინავებს. „სტანდარდ ოილი“ აქაც დაეხმარა ფაშისტებს — 1936 წელს **უილიამ ფერიშის** (კომპანიის პრეზიდენტი) ნაცნობმა კანარის კუნძულებზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ააშენა, **უოლტერ ტიგლმა** (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე) კი ზუსტად ასეთი საწარმო ჰამბურგში ააგო.

1930-იან წლებში უოლტერ ტიგლი ხშირად სტუმრობდა ბერლინს და თავისი კამპანიის ინტერესებს იცავდა, რომელიც ნაცისტურ გერმანიაში ტანკებსა და ჯავშანმანქანებს აწარმოებდა. ამას გარდა, ტიგლი დანიშნეს ქიმიური გიგანტის — American IG Chemical Corporation-ის ერთ-ერთ დირექტორად. ეს კორპორაცია IG Farben-ის ფილიალი იყო აშშ-ში.

სხვათა შორის, **ეს თანამშრომლობა ომის წლებშიც გრძელდებოდა, როდესაც FARBEN-ი აწარმოებდა ინსექტიციდს — „ციკლონ ბ“-ს, რომელსაც საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანების გასანადგურებლად იყენებდნენ.**

1939 წლის თებერვალში ფასიანი ქაღალდების ოპერაციების კონტროლის კომისიამ American IG-ის მოღვაწეობის გამოძიება დაიწყო. გაირკვა, რომ ამერიკული ფილიალი ეკუთვნის... კომპანიის შვეიცარიულ ფილიალს. როდესაც კომისიის წევრებმა ახსნა-განმარტებისთვის ტიგლს მიმართეს, მან თავი მოიკატუნა, — არ ვიცოდი, კონცერნი ნაცისტებს თუ ეკუთვნოდაო. ერთადერთი, რაც მან აღიარა, იყო ის, რომ American ▶

**ნიურნბერგის პროცესზე განიხილებოდა ბანკის მმართველობის წევრთა საქმეებიც — ამოტივტივდა გერმანულ «რაიხსბანკთან» თანამშრომლობისა და ჩეხეთის, ბელგიისა და ებრაელთა ოქროს (ბანკის თანამშრომლები არ მალავდნენ, რომ ეს ოქრო მიღებული ჰქონდათ ლიუბლინისა (მაიდანეკის — რედ.) და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკებიდან) მიტაცების დეტალები. მაგრამ, მიუხედავად ბანკის, კონკრეტულად მისი ხელმძღვანელის — მაკკიტრიკის საწინააღმდეგო უამრავი სამხილისა, მას ხელი არავინ ახლო. მოგვიანებით კი როკფელერების კუთვნილი «ჩეიზ ნეშნლ ბენკის» ვიცეპრეზიდენტად დანიშნეს**

ბანკების მიერ კოლოსალური საჯარიმო თანხების გადახდის მიუხედავად, ბანკირების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი არასოდეს დამდგარა. ბანკები იხდიან ჯარიმებს, მაგრამ მენეჯერები და ბანკების სხვა თანამშრომლები, რომლებიც თაღლითობდნენ და კანონს არღვევდნენ, ყოველთვის რჩებოდნენ გამოძიების კადრს მიღმა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ IG-ი „მოქმედებდა უფრო ევროპის ინტერესების სასარგებლოდ, ვიდრე ამერიკის“.

ამის შემდეგ **უოლტერ ტიგლმა დატოვა კომპანიის დირექტორთა საბჭო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, განეგრძო თანამშრომლობა გერმანელ პარტნიორებთან. ის კონცერნს ამარაგებდა ბენზინის საწარმოებლად საჭირო ტეტრაეთილენით, თანაც ცინიკურად — გერმანია ტეტრაეთილენს ყიდულობდა ტიგლის კონცერნის ლონდონის ფილიალისგან იმისათვის, რომ დაებომბა... ლონდონი!**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: **ლონდონის დაბომბვას ირიბად აფინანსებდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალები. საქმე ის არის, რომ ის ფულს ურიცხავდა ტეტრაეთილენის წარმოების პატენტის მფლობელს — ფირმა „ეთილს“, რომელიც „სტანდარდ ოილის“ ბრიტანული ფილიალი იყო. იქიდან კი ფული იგზავნებოდა გერმანიაში და ომის დამთავრებამდე IG FARBEN-ის ბანკებში ინახებოდა.**

1941 წელს აშშ-ის ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა კომისია, რომელმაც დაიწყო ე.წ. შავი სიის შექმნა. ამ სიაში უნდა შესულიყო ის კომპანიები და კორპორაციები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული პრონაცისტურ ქვეყნებთან — მათთან დადებული გარიგებების არაკანონიერად გამოსაცხადებლად ომის პერიოდში. ბედის ირონიით, კომისიაში აღმოჩნდა **ნელსონ როკფელერიც**, რომლის ოჯახსაც ეკუთვნოდა „სტანდარდ ოილი“... და გამოძიებამ ამ კომპანიის მიმართ საეჭვო ვერაფერი მოიძია.

უფრო მეტიც — **ამერიკელ კორპორაციებს ნება დართეს, ევაჭრათ იმ ქვეყნებთან, რომლებიც გერმანიასთან კოალიციაში იყვნენ გაერთიანებული, მაგრამ ამას აშშ-ის პრეზიდენტის ან ფინანსთა მინისტრის ნებართვა სჭირდებოდა. გასაკვირი არ არის, რომ ეს ნებართვა მიიღო „სტანდარდ ოილმა“.**

ამასთანავე, იმ მეწარმეებთან, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ნაციზმს, ურთიერთობა არ გაწყვეტილა, მაგალითად, როკფელერის განკარგულებით, „სტანდარდ ოილმა“ გააგრძელა ხელშეკრულება კონცერნის წარმომადგენლობისთვის შენობის არენდაზე „შავ სიაში“ შეყვანილ გერმანიის მოქალაქე **გუსტავ ზინგთან.**

გერმანელი ნაცისტების მომარაგება ამერიკული ნავთობითა და ბენზინით 1944 წლამდე გრძელდებოდა, ხოლო „სტანდარდ ოილის“ მიერ ესპანეთისთვის (კიდევ ერთი სატრანზიტო პუნქტი. ფრანსისკო ფრანკოს თავის ქვეყანაში გერმანიის აგენტების საქმიანობისადმი მშვიდი დამოკიდებულება ჰქონდა) მიწოდებული ნავთობი თვით ამერიკაში გაყიდული ნავთობის რაოდენობას აღემატებოდა.

ასე ამარაგებდნენ ამერიკელები მტერს აუცილებელი საწვავით, რომლის გარეშეც ომის წარმოება შეუძლებელი იქნებოდა.

# ხელშეუხებელი ბანკირები

**ინტერნეტგამოცემა Fortune-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკული ბანკების „დიდმა ექვსეულმა“ — „ბენკ ოფ ამერიკამ“, „ჯი-პი მორგან ჩეისმა“, „სიტიგრუპმა“, „უელს ფარგომ“, „გოლდმან საქსმა“ და „მორგან სტენლიმ“, იპოთეკური ქაღალდების გაყიდვისას ჩადენილი თაღლითობის გამო, რომელმაც 2007-2008 წლების მსოფლიო კრიზისი გამოიწვია, საერთო ჯამში, 30 ჯარიმა გადაიხადა 110 მლრდ დოლარის ოდენობით, კიდევ 5 მლრდ უახლოეს პერიოდში უნდა გადაიხადონ. „მორგან სტენლის“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში მოყვანილი მონაცემებით, აშშ-ის ხუთმა და ევროპის ოცმა ბანკმა 2007-2008 წლებში ჩადენილი თაღლითობისა და მაქინაციების გამო სულ 260 მლრდ დოლარი გადაიხადა, ყველაზე მეტი თანხით დაჯარიმდა „ბენკ ოფ ამერიკა“ — 65,5 მლრდ; შემდეგ „ჯი-პი მორგან ჩეისი“ — 42,4 მლრდ, და ბრიტანული „ლლოიდსი“ — 26,6 მლრდ გირვანქა სტერლინგი.**




## მატყუარა ბანკირები

გასული ათწლეულის ბოლოსა და მიმდინარე ათწლეულის დასაწყისში დასავლეთში გაცხარებით კამათობდნენ საკითხზე, როგორ არ დაეშვათ მსოფლიოში ფინანსური კრიზისის გამეორება. ისმოდა მოწოდებები ბანკებზე ზედამხედველობის გაძლიერების თაობაზე, გიგანტი ბანკების დაყოფაზე, დარღვევებისთვის საჯარიმო სანქციების გამკაცრებაზე, კრიზისის მიზეზების გამოძიებასა და პასუხისმგებელი პირების დასჯაზე. იყო მოქმედების დაწყების მცდელობაც. მაგალითად, აშ-ში 2010 წელს მიიღეს **დოდ-ფრანკის** კანონი, რომელსაც ბანკების რეფორმირების კანონსაც უწოდებდნენ. 2011 წელს აშშ-სა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური ვითარება დასტაბილურდა და 2009-2010 წლებში გამოთქმული ბევრი იდეა დაივიწყეს.

ერთადერთი მიმართულება, რომლისკენაც დასავლეთის ქვეყნებმა შესაშური აქტიურობა გამოიჩინეს, იყო დიდი ბანკების მოქმედებების გამოძიება, რომელიც დაიწყო ნიუ იორკში, უოლ-სტრიტზე მდებარე რამდენიმე და ცალკეული უცხოური ბანკების როლის განსაზღვრით იპოთეკური ქაღალდების ბაზარზე (სწორედ ეს ბაზარი იყო კრიზისის დეტონატორი) „ბუშტის“ შექმნაში. შემდეგ დაიწყეს ბანკების მიერ ჩადენილი სხვა მაქინაციების გამოძიებაც და თაღლითობასა და მაქინაციებში ეჭვმიტანილთა წრეც გაფართოვდა. ამერიკელი გამომძიებლების თვალთახედვის არეში მოექცა ლონდონური ბანკი და ევროპის სხვა საფინანსო გიგანტები.

ფინანსების მარეგულირებელი ორგანოები ევროპაშიც აფორიაქდნენ და თვითონაც დაიწყეს გამოძიება. გაირკვა, რომ ბანკები მანიპულირებდნენ ბანკთაშორისი კრედიტებითა (LIBOR) და ანალოგიური საპროცენტო „მარკერებით“, ვალუტების კურსებით, ოქროს ფასითა და ა.შ. მანიპულაციების უმრავლესობა დიდი ბანკების ერთმანეთში გარიგებით ხდებოდა. **თვალნათელი იყო საერთაშორისო საბანკო კარტელების შექმნა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის უგულებელყოფა. ლაპარაკი აღარ არის იმ კანონების დარღვევაზე, რომლებიც მიმართულია ტერორიზმის დაფინანსების, ნარკობიზნესის, ჩრდილოვანი ოპერაციებისა და გადასახადების თავიდან აცილების წინააღმდეგ.**

მედიასაშუალებები თითქმის ყოველთვე იუწყებოდნენ, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ესა თუ ის ბანკი არაკანონიერი საფინანსო ოპერაციების გამო მრავალმილიონიანი თუ მრავალმილიარდიანი თანხის გადახდას დათანხმდა. ჯარიმებს უმეტესწილად იხდიდნენ არა სასამართლოს გადაწყვეტილების, არამედ კანონის დამრღვევი ბანკისა და საზედამხედველო ორგანოს გარიგების საფუძველზე. ბანკებს ურჩევნიათ, საქმე სასამართლომდე არ მივიდეს, გახმაურება ჯარიმაზე უარესია. ბანკების მიერ გადახდილი საჯარიმო თანხები ხვდება ან სახელმწიფოს ბიუჯეტში, ან სპეციალურ ფონდებში, საიდანაც ფული გადაირიცხება თაღლითობის მსხვერპლთა ანგარიშებზე.

## „ბენკ ოფ ამერიკა“ – ჩემპიონი თაღლითთა შორის

2013 წელს აშშ-ის ხელისუფლებამ ბანკი **„ჯი-პი მორგან ჩეისი“** დაავალდებულა, 13 მლრდ დოლარი გადაეხადა იპოთეკის დოკუმენტებთან დაკავშირებული საქმის მოსაგვარებლად. იმავე წლის ბოლოს **„დოიჩე ბანკმა“** 1,4 მლრდ დოლარი გადაიხადა. 2014 წელს **„სითიგრუპი“**, მის წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების შეწყვეტის სანაცვლოდ, დათანხმდა, აშშ-ის ხელისუფლებისთვის გადაეხადა 7 მლრდ დოლარი.

სარეკორდო საჯარიმო თანხა კი **„ბენკ ოფ ამერიკამ“** გადაიხადა. ეს საფინანსო გიგანტი გაურიგდა აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს 17 მლრდ დოლარის გადახდაზე. „ბენკ ოფ ამერიკას“ კრიზისის წინ ფასიანი ქაღალდებით თაღლითობაში ადანაშაულებდნენ.

2015 წელს კიდევ იყო ხმაურიანი საქმეები, მაგალითად, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებებმა რამდენიმე ბანკს 5,8 მლრ დოლარის გადახდის ვალდებულება დააკისრეს. შავ სიაში მოხვდნენ **„სითი გრუპი“** და **„ჯი-პი მორგანი“,** ბრიტანული **„ბერკლისი“** და **„არ-ბი-ესი“,** აგრეთვე, შვეიცარიული **„იუ-ბი-ესი“.** ყველაზე მეტი ბრიტანულმა „ბერკლის“-მა გადაიხადა — 2,4 მლრდ. ბევრი რამ მიუთითებს იმაზე, რომ აშშ-ის საბანკო სექტორში წესრიგის დასამყარებლად გაჩაღებული ბრძოლა მოჩვენებითია, მაგალითად, იმავე დოდ-ფრანკის კანონი ისეთია, რომ მისი გამოყენება ძალიან რთულია. კონკრეტული კანონის შემუშავებას კი, რომლითაც ნამდვილად შეიძლება საბანკო სექტორის რეფორმირება, საკანონმდებლო ორგანოებში მოკალათებული ბანკების ლობისტები უშლიან ხელს.

აღსანიშნავია, რომ, **ბანკების მიერ კოლოსალური საჯარიმო თანხების გადახდის მიუხედავად, ბანკირების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი არასოდეს დამდგარა. ბანკები იხდიან ჯარიმებს, მაგრამ მენეჯერები და ბანკების სხვა თანამშრომლები, რომლებიც თაღლითობდნენ და კანონს არღვევდნენ, ყოველთვის რჩებოდნენ გამოძიების კადრს მიღმა, თუმცა 2015 წლის ოქტომბერში ვითარება შეიცვალა: ისლანდიაში 26 პირი 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის გამოწვევაში დაადანაშაულეს და გაასამართლეს.**

**ამა წლის 11 იანვარს სასამართლო პროცესი დაიწყო „დოიჩე ბანკის“, „ბერკლისა“ და „სოსიეტე ჟენერალის“ 11 ყოფილი თანამშრომლის მიმართ. მათ ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებენ. თუმცა უოლ-სტრიტის ბანკების თანამშრომლები სამართალდამცველ ორგანოებს ჯერჯერობით არ შეუწუხებიათ, მიუხედავად იმისა, რომ იციან კონკრეტული ბანკირების დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ.** ამის ახსნა შეიძლება საბანკო სფეროში დამყარებული კორუფციული კავშირებით. საფინანსო სისტემის მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლები ყოველთვის ხელმძღვანელობენ ორი დაუწერელი წესით: ერთი ეხება ბანკებს, როგორც იურიდიულ პირებს: Too big to fail — ძალიან დიდია იმისათვის, რომ დაიღუპოს. მეორე წესი ეხება დიდი ბანკების მენეჯერებს: Too big to jail — ძალიან დიდია იმისათვის, რომ გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს.

**„ფონდსკ.რუ“**

# დონალდ ტრამპი: აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი უნდა შეიცვალოს



დონალდ ტრამპი

**„აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ჯანეტ იელენი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ უნდა შეიცვალოს“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა ტელეკომპანია „სი-ენ-ბი-სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

„მას არ ვიცნობ. ის გავლენიანი ადამიანია და ბევრი ჩემი ნაცნობი დადებითად აფასებს, მაგრამ ის არ არის რესპუბლიკური პარტიის წევრი“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა და ასე მიანიშნა, აშშ-ის პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემთხვევაში, როგორ მოექცევა იელენს.

ჯანეტ იელენის კანდიდატურა ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის პოსტზე 2013 წლის 9 ოქტომბერს წარადგინა ბარაკ ობამამ.

იელენმა 2014 წლის 31 იანვარს შეცვალა ბენ ბერნანკე, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ამოეწურა.



ჯანეტ იელენი

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გოლიათი წიფლის სიმაღლეა 42,0 მ, გარშემოწერილობა — 5,25 მ, ვარჯის პროექცია — 30,84 X 35,22 მ. აქვს ლაღად განვითარებული სამი ვარჯი: პირველის გარშემოწერილობაა 2,88 მ, მეორისა — 2,81 მ; მესამისა — 2,13 მეტრი. გოლიათი წიფელი თესლმსხმოიარეა. ნაყოფი სექტემბერში ცვივა. მისი ზუსტი ადგილსამყოფელია ქალაქი ჯვარი, ლექანთარეს უბანი, იაკობ გოგებაშვილის ქ. 16.**

# რაიხსტაგის გმირის საგვარეულო სალოცავი «დუდწიფურის» თავგადასავალი

**ენგურისპირა ქალაქ ჯვარში შარშან, აგვისტოში, უჩვეულო ცერემონია გაიმართა — კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადდა ქართული საინჟინრო ხელოვნების გიგანტის — ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ჰიდრონაგებობა (სიმაღლე 271,5მ).**





წლეულს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულის კვირაძალში, ქალაქ ჯვარში ბუნების უნიკალურ ძეგლად ცხადდება 500-წლოვანი გოლიათი წიფელი, როგორც საქართველოს წიფელთა შორის უდიდესი და უხნესი ხე, უტყვი მოწმე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 5 ბიძაშვილის, მათ შორის, რაიხსტაგის გმირის — მელიტონ ქანთარიას (1920-1993) ბავშვობა-ყრმობა-ჭაბუკობისა.

დაინტერესებული მკითხველი ქვემოთ სწორედ ქალაქ ჯვრის გოლიათი წიფელისა და საქართველოს სხვა გოლიათი და დიდხნოვანი ხეების საკვირველ თავგადასავალს გაეცნობა.

**გოლიათი წიფლის სიმაღლეა 42,0 მ, გარშემოწერილობა — 5,25 მ, ვარჯის პროექცია — 30,84 X 35,22 მ. აქვს ლაღად განვითარებული სამი ვარჯი: პირველის გარშემოწერილობაა 2,88 მ, მეორისა — 2,81 მ; მესამისა — 2,13 მეტრი. გოლიათი წიფელი თესლმსხმოიარეა. ნაყოფი სექტემბერში ცვივა. მისი ზუსტი ადგილსამყოფელია ქალაქი ჯვარი, ლექანთარეს უბანი, იაკობ გოგებაშვილის ქ. 16.**

ჩვენი წიფელი ზღვის დონიდან 470 მეტრის სიმაღლეზე დგას, ახალაგებული ოდა-სახლის გვერდით, ციცაბო ფერდობზე და ამ ადგილ-მამულის ნამდვილი გამგებელია. აქედან იშლება ქალაქ ჯვარის დიდებული პანორამა, თითქოს ხელის გაწვდენაზეა ოდიშური ოდა-სახლები, ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მშენებელთა მრავალსართულიანი კორპუსები, შორს მოჩანს კაშხლის ზედა ნაწილი, უფრო ჩრდილოეთით — ეგრის-სვანეთის მთები, ხოლო სამხრეთით — შავი ზღვა.

საკვირველია ამ ხესთან დაკავშირებული ამბები, **მეორე მსოფლიო ომში ლექანთარეს უბნიდან 14 ქანთარია მონაწილეობდა. ახლო ბიძაშვილების — ალექსანდრე, ევგენი, ვალიკო, ილია, ისააკ, ლივან, მელიტონ, პლატონ და ჯოგო ქანთარიების ცხოვრების ადრეული წლები გოლიათ წიფელთანაა დაკავშირებული: ძირს დაშვებული დიდი ტოტით ხეზე თავისუფლად ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ თურმე. რაიხსტაგის გმირისთვის ეს ხე ნამდვილი საწვრთნელ-საასპარეზო არენა ყოფილა.**

მელიტონ ქანთარიასადმი მიძღვნილი ნარკვევების, ლექსებისა და მოთხრობების ავტორებს უწერიათ, რომ იგი იყო კარგი მაშველი, კარგი მთამსვლელი, მხვნელ-მთესველი, მონადირე, მორკინალი, მხედარი, მოცურავე, მომღერალი და მოცეკვავე; ხოლო ჯარში უშიშარი მზვერავი, რომელმაც ომის პირველი დღეებიდანვე იწვნია ვერაგი მტრის დარტყმები, გაუძლო მრავალთვიანი უკანდახევის სიმძიმეს, ხოლო შემდეგ, შეტევაზე გადასული, ერთ-ერთი პირველი შეიჭრა ფაშიზმის ბუნაგში.

**მელიტონი სამამულო თუ მოწინააღმდეგის ყველა სახეობის იარაღს ფლობდა, რევოლვერით დაწყებული, ტყვიამფრქვევით დამთავრებული. იგი სამჯერ მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ლაზარეთიდან გამოსული ისევ ფრონტის წინა ხაზზე გადიოდა, ასე ბრძოლით იარა ბერლინამდე და 1945 წლის 1 მაისს, დილის 3 საათზე, რუს მიხეილ ეგოროვთან ერთად მაღალსვეტებიანი, ნაცრისფერი, მინებჩალეწილი რაიხსტაგის გუმბათზე აღმართა გამარჯვების დროშა.**

ახლობლებსა და **ნათესავებს კარგად ახსოვთ მელიტონ ქანთარიას ნაამბობი, რომ იმ ქარცეცხლიან 4 წელიწადში მუდამ თვალწინ ედგა, სიზმარშიც კი ეცხადებოდა გოლიათი წიფელი და მის ძირას შინდისფერი თიხის ქვევრში მოწანწკარე წმინდა წყურგილი — კამკამა წყარო, ორივე მისი დაბადების ადგილიდან ასიოდე მეტრით დაშორებული.**

ომამდე და ომის შემდეგ წლებში მელიტონ ქანთარია აფხაზეთში (ოჩამჩირე, ტყვარჩელი, სოხუმი) ცხოვრობდა, ჰყავდა ოჯახი, მეუღლე, შვილები. სიტყვით და საქმით მშვიდობას ემსახურებოდა, როგორც მეშახტე, კირითხურო და ზღვაოსანი. მშობლიურ ჯვართან, ნათესავ-მეგობრებთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. 70 წლის კაცი 90-იანი წლების ძმათამკვლელ ომს განერიდა.

ერთ პერიოდში უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაფანტულ შვილებთან და ახლობლებთან ცხოვრობდა, ბოლოს მოსკოვში იმყოფებოდა, იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია ჯვარში, იმ სკოლის ეზოში,



ჯვარი, 1967 წ.

რომელშიც სწავლობდა და რომელსაც დღეს მისი სახელი ჰქვია. **ეზოში დგას გამარჯვებული ჯარისკაცის ქანდაკება, რომლის გახსნასაც იგი დაესწრო 1967-ში და სიტყვითაც გამოვიდა. აქვე დგას მისი ბიუსტი. გარშემო ლამაზი სკვერია, მოჟრიამულე მოსწავლეებითა და სტუმარ-მასპინძელთა სიმრავლით გამორჩეული.**

გოლიათ ხეს ბევრი სიმწარე ახსოვს. იმ სასტიკ ზამთარს, როცა მტერი კავკასიას მოადგა, ოჯახს შეშა შემოაკლდა, ფრონტზე წასული ვაჟკაცების მამებს, ყარამანსა და ვარლამს, ურჩიეს თურმე, — ერთი ტოტი მოვჭრათ და ამ ზამთარს ადვილად გადავიტანთო, მაგრამ მათ უარი უთქვამთ, — მარჯვენა რომ მოგვჭრან, როგორი სანახავი ვიქნებით ან ომიდან დაბრუნებულ შვილებს რა პირით დავხვდეთო. ერთი ეზო-კარიდან გასული ცხრა ვაჟკაციდან უმრავლესობა ომიდან არ დაბრუნებულა, ისევე, როგორც ჯვრის თემიდან ომში წასული 412 ვაჟკაციდან არ დაბრუნებულა 209. გოლიათი წიფელი კი გადარჩა, ახლა მას შთამომავლობა უფრთხილდება.

**საქართველოს წითელი წიგნის (თბილისი, 1982, გვ. 177-185) მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში 15 სახეობის 32 გოლიათი და დიდხნოვანი ხეა აღრიცხული 21 ქალაქსა თუ სოფელში. მათი სამუნიციპალიტეტო მისამართებია: ამბროლაური, ახმეტა, ბორჯომი, გარდაბანი, გორი, გუდაუთა, დედოფლისწყარო, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თელავი, თბილისი, მესტია, ოჩამჩირე, საგარეჯო, სენაკი, სიღნაღი, ქუთაისი, ყვარელი, ხაშური და ხელვაჩაური.**

მოსახლეობა ცოცხალ მეტყველებაში დიდხნოვან ხეებს ხშირად მოფერებით ხატოვანი სახელით მოიხსენიებს ხოლმე. მაგალითად: იტყვიან ჩვენი ბერმუხაო, კოხტა ხეო, მარტო ხეო, ტყის ბელადიო, ხეთა მეფეო, ხე პატრიარქიო... **ჯვრის გოლიათი საქართველოს ცნობილ წიფელთა შორის უდიდესი და ულამაზესია. მას დუდწიფური ჰქვია, რაც თავწიფელს, მთავარ წიფელს ნიშნავს. ახლა კი თამამად შეიძლება მიენიჭოს რაიხსტაგის გმირის საგვარეულო ხის წოდება.**

იმავე წითელი წიგნის მიხედვით, დიდხნოვან ხეთა სახეობანი ანბანის მიხედვით ასე გამოიყურება: ვერხვი, თუთა, კაკალი, მანდარინი, მუხა, ოფი, რცხილა, სოჭი, უთხოვარი, ფორთოხალი, ცაცხვი, ძელქვა, წაბლი და ჭადარი. როგორც ხედავთ, მათ რიცხვში წიფელი არ არის. ამავე წიგნის მიხედვით, საქართველოში ყველაზე უხნესია, ანუ 1800 წლის არის ბაწარის ნაკრძალში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) არსებული უთხოვარი, რომლის დიამეტრია 1,6 მეტრი, ხოლო სიმაღლე — 30 მეტრი. ყველაზე მაღალია მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახამულაში მდგარი 600-წლოვანი კავკასიური სოჭი — 50 მეტრი. ფესვის ყელის გარშემოწერილობის მიხედვით, პირველ ადგილზეა სოფელ ძველ სენაკში მდგარი 800-წლოვანი აღმოსავლეთის ჭადარი — 23,7 მეტრი.

საინტერესოა გოლიათ და დიდხნოვან ხეებთან დაკავშირებული ისტორიულ პირთა სახელები. მაგალითად: **ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში მდგარი 300–წლოვანი ძელქვის ძირას არის პოეტ მამია გურიელის საფლავი; სოფელ ქვიშხეთში (ხაშურის მუნიციპალიტეტი) 500-წლოვანი წაბლის ჩრდილქვეშ 1609 წელს მტერთან ბრძოლაში გამარჯვებულ გიორგი სააკაძესა და მის ლაშქარს შეუსვენია და ლხინის სუფრა გაუშლია; სოფელ ოძისში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) 600-წლოვან ქართულ მუხას ახსოვს პოეტისა და დრამატურგის — გიორგი ერისთავის ბავშვობა და ყრმობა, ამჟამად კი აქვეა მისი სახლ-მუზეუმი; თელავის ცენტრში დგას 1000-წლოვანი ჭადარი, უტყვი მოწმე ერეკლე მეფისა და მისი ჯარის გამარჯვების აღლუმისა.**

სამეგრელოში იცოდნენ ჯაშ ხვამა, ანუ ხეზე ამსვლელის ლოცვა, რომელიც იმართებოდა მარაშინას (მარიამობას), როცა მწიფობდა ნაირნაირი ხილი და იწყებოდა მაღლარი ვაზის ყურძნის კრეფა — რთველი. ასვლამდე ხის ტანს ცალ ფეხს მიადგამდნენ და იტყოდნენ: ჯაშ ტანი დო ჯაშ ქეჩერი, ჟი ეშმაულარს ძალა მეჩი. ხომლა — გულადირი, ლადირი — გუმანგარი (ხის ტან-ფესვო, ამსვლელს ძალა მიანიჭე, ნედლ-ხმელი გაუმაგრე და ძირს უვნებლად ჩამოიყვანეო)...

მაღლარი ვაზის ხეებია ბალი, თხმელა, თუთა, მსხალი, ხურმა. გოლიათ წიფელს, ცხადია, თავისი გოლიათობის გამო მაღლარი ვაზი არ ეხვია, სამაგიეროდ სალოცავ, ანუ ხატის ხედ იყო გამოცხადებული, ამიტომაც საუკუნეთა ქარტეხილებს გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია.

წიფელი ცნობილია, როგორც კარგი საავეჯო მასალა, მისი მერქნისგან ძვირფას პარკეტს, თოფის კონდახს თუ სხვა სამეურნეო ინვენტარს ამზადებენ; შეშად საუკეთესოა, ნაყოფს კი საქონლის საკვებად იყენებენ. ახლა საკითხავია, გასული საუკუნეების განმავლობაში სოფელს თავდატეხილ ათას უბედურებას როგორ გადაურჩა, არადა, ფაქტია: მის ტან-სხეულს ცული არასდროს გაჰკარებია, ტოტიც კი არავის და არასდროს მოუტეხავს.

გოლიათი წიფელი, როგორც ზემოთ ითქვა, ახალნაგები ოდის გვერდით დგას. მის ფესვთა სისტემის ერთ ნაწილს ბეტონის სქელი ფენა აფარია, ხოლო მეორე ფერდის მხარეს ფესვები ძლიერ გაშიშვლებულია. ბუნების ქომაგთა ჯგუფმა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტისა და ჯვარის საზოგადოების თანადგომით, გოლიათი ხის გარშემო ადგილის გაჯანსაღება, კეთილმოწყობა და სანიმუშო ტურისტულ ობიექტად გადაქცევა გადაწყვიტა. სახელდობრ, დატერასდება და ჰუმუსოვანი მიწით აივსება ციცაბო ფერდი. დეკორატიული ღობით, მცირე არქიტექტურული ფორმებითა და საბაღო სკამებით დამშვენდება ეზო-კარი.

500-წლოვანი გოლიათი ხის კომპლექსური გამოკვლევის, მისი ცოცხალი ბუნების ძეგლად გამოცხადებისა და საქართველოს წითელი წიგნის გოლიათ და დიდხნოვან ხეთა განყოფილებაში წარდგენის მეთავე-ორგანიზატორები არიან ჯვარელი ბუნების ქომაგები: **ელდარ ქანთარია** — წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის მებაღე, **ანზორ ჭანტურია** — მხარეთმცოდნე, **პარმენ ქარდავა** — მეტყევე-ინჟინერი, **მურად ჭანტურია** — მწერალი და **თემურ ქანთარია** — გოლიათი წიფლის მესაიდუმლე, ანუ პატრონი იმ ეზო-კარისა, რომელშიც დგას ცოცხალი ბუნების უნიკალური ძეგლი.

დასასრულ, აღნიშნულ საქმეთა ეკოლოგიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ კონცეფცია-პროექტის განხორციელებას უძღვებიან: წალენჯიხის მკვიდრი, ცნობილი ეკოლოგი, მსოფლიოში სახელგანთქმული მარია ტუნის „თესვის კალენდრის“ გერმანულიდან ქართულად მთარგმნელი და გამომცემელი **დავით მორგოშია**; ასევე ცნობილი ეკოლოგი, მეტყევე, ფიტო-პათოლოგი, მეცნიერების აკადემიური დოქტორი, პროფესორი **ბიძინა თავაძე**; სამეგრელო ზემო-სვანეთის გარემოს დაცვის დარგის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ეკოლოგი-დენდროლოგი **ვალერი ჭანტურია** და ქალაქ ჯვარის მკვიდრნი, მხარის მემატიანე-მხარეთმცოდნე ძმები **ბონდო და გვანჯი მანიები.**

**გვანჯი მანია**

იმის გამო, რომ 2004 წლიდან დაუსაბუთებლად გაუქმდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა არ ხორციელდება, დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვიმედოვნებ, დღევანდელი ხელისუფლება მეტ ყურადღებას მიაქცევს ომში დაღუპულთა ოჯახებს და გადარჩენილ ვეტერანებს

**1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. ამ ომში საქართველოს 700 ათასი მოქალაქე, ქართველი თუ არაქართველი, მონაწილეობდა. მათგან 300 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი შინ ვერ დაბრუნდა. ეს იყო უსასტიკესი ომი მსოფლიოს ისტორიაში.**




საბჭოელი, მათ შორის, ქართველი სტუდენტების დიდი ნაწილი შეეწირა ფაშიზმზე გამარჯვებას. სტუდენტობა ხომ საქართველოს გენოფონდი იყო! ჩემი რამდენი ბიძაშვილის, დეიდაშვილისა და მამიდაშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა ამ ომმა და რამდენი ჩემი თანასოფლელის! არასდროს დამავიწყდება, მათი დედების გლოვის ზარი ზეცას რომ უერთდებოდა. არ შეიძლება იმ ადამიანების დავიწყება, რომლებიც თავდადებით შრომობდნენ იმ საშინელ წლებში. არა მხოლოდ ზრდასრულები, არამედ მოზარდებიც კი იდგნენ ფაბრიკა-ქარხნებში დაზგებთან და ეხმარებოდნენ ფრონტს. „ყველაფერი ფრონტისთვის!“ — ასეთი იყო ლოზუნგი. **დღეს ამ ადამიანებს ეწოდებათ ომის მონაწილეებთან გათანაბრებულები, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.**

**მხოლოდ თბილისის სამგორის რაიონის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების რაიონულ კავშირში 2960 ადამიანი ირიცხება; მათ შორის არიან დიდი სამამულო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილე, ომის მონაწილეებთან გათანაბრებულები, მარჩენალდაკარგულები და სხვა ქვეყნების ომების მონაწილე პირები.**

მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო ის ახალგაზრდები, რომლებიც დაბრუნდნენ შინ, მაგრამ შეღავათების გარეშე დარჩნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 22 ლარს. მათ საპენსიო ასაკამდე 20-25 წელიწადი უკლიათ და რა უნდა ქნას ახალგაზრდამ, რომელიც დაოჯახებულია და მცირეწლოვანი შვილები ჰყავს? მათ ხომ მინიმალური საარსებო საშუალებაც არ აქვთ ოჯახის სარჩენად? არ აქვთ სამსახური, არც პერსპექტივა, რადგან მათთვის სამუშაო ადგილები არ იქმნება. განა ყველას შეუძლია, დატოვოს სამშობლო, თუნდაც დროებით, და წავიდეს საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელად?

ვინც იბრძოდა საქართველოს მთლიანობისთვის, ვინც ვერ დაბრუნდა შინ, ისინი ხომ ჩვენი ტკივილია, მაგრამ მათ, ვინც შინ დაბრუნდა, მეტი ყურადღება სჭირდებათ. ვინც თუნდაც რამდენიმე დღის განმავლობაში იყო ომში და თვალებში უყურებდა სიკვდილს, იმსახურებს ყურადღებას სამშობლოსგან. მინდა, ერთი მაგალითი მოვიყვანო.

ჩემი მეუღლე 1921 წლის 3 აგვისტოს დაიბადა ოჯახში, სადაც 13 ბავშვი იზრდებოდა. 1939 წლის პირველ სექტემბერს იგი გახდა ქალაქ პერმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. მშობლებს უთხრა, უნივერსიტეტს დავამთავრებ და ყველაფერში დაგეხმარებითო, მაგრამ 1940 წლის 7 თებერვალს საბჭოთა ჯარში გაიწვიეს. მას მხოლოდ 1965 წელს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარში 26 წელიწადს იმსახურა, მიეცა საშუალება, სწავლა გაეგრძელებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1970 წელს წარმატებით დაამთავრა და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. სპეციალობით ათეული წელიწადი იმსახურა, მაგრამ მისი მშობლები ველარ მოესწრნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ ბედნიერებას.

ძვირფასო რედაქციავ, უმორჩილესად გთხოვთ, ჩემი გულისტკივილი, ისევე, როგორც ყველა საღად მოაზროვნე ქართველისა, გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში. იმედი ბოლოს კვდებაო და, ვიმედოვნებ, დღევანდელი ხელისუფლება მეტ ყურადღებას მიაქცევს ომში დაღუპულთა ოჯახებს და გადარჩენილ ვეტერანებს!

**ნინა სიხარულიძე-სმირნოვა,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილის, კავკასიის ფრონტის მონაწილისა და სამხედრო ძალების ვეტერანის, მაიორ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სმირნოვის ქვრივი, 90 წლის**

# «როდემდე ვჯიჯგნოთ ქართული მიწა»

**ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, დამოუკიდებელი სერთიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში — ანზორ მესხიშვილი ცნობილია, როგორც მიწათსარგებლობისა და მიწის მართვის პრობლემების კვლევის უმაღლესი რანგის პროფესიონალი. „როდემდე ვჯიჯგნოთ ქართული მიწა“ მისი მეთერთმეტე წიგნია. საქართველოში ანზორ მესხიშვილს იცნობენ, როგორც ქართული მიწის დაუღალავ ქომაგსა და დამცველს. მიწის მართვის პრობლემებს მან მრავალი საინტერესო, საგულისხმო მეცნიერული და გამოყენებითი ღირებულების ნაშრომი მიუძღვნა. ანზორ მესხიშვილის ანალიტიკურ-კრიტიკული წერილები და სტატიები ხშირად იბეჭდება ქართულ პრესაში.**

## ეს წიგნი ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს და ავტორის შეგონება და მოსაზრებები გაითვალისწინოს




კრებულში „როდემდე ვჯიჯგნოთ ქართული მიწა“ მან საზოგადოებას დაანახვა, რა დიდ განსაცდელშია ჩვენი ეროვნული საუნჯე — ქართული მიწა. ავტორი პროფესიული სიღრმით იხილავს იმ ურთულეს პრობლემებს, რომლებიც ქართულ მიწას ჰქონდა და აქვს დღესაც. წიგნის ავტორი კატეგორიული წინააღმდეგია არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყული ქართული მიწის ჩალის ფასად გასხვისების. აღნიშნული წიგნი მის მიერ ადრე გამოცემული წიგნის „ჩემო ქართულო მიწავ“ გადამუშავებული, კონკრეტული ფაქტებითა და ცნობილი მეცნიერების მოსაზრებებით გამდიდრებული ნაშრომია. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ამ წიგნებში მოყვანილი ფაქტები მკითხველს ააფორიაქებს. ჩვენ კი დავუმატებთ, რომ ზოგიერთ მკითხველს გამოაფხიზლებს. „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკან“ პრინციპებიდან გამომდინარე, ავტორს ქართული მიწის პრობლემის მოგვარება თავის უპირველეს ამოცანად უქცევია და არ ერიდება ზოგიერთი ქართველის მიმართ უაღრესად მწვავე კრიტიკულ შეფასებებს.

**წიგნში მოცემულია ხუთი წერილი: „ქართველებო, გავიღვიძოთ“, „როდემდე უნდა ვჯიჯგნოთ ქართული მიწა“, „წერილი საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს“, „მიწას სჭირდება პატრონი“ და „ბოლოთქმა“. აქვე მოყვანილია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა აზრი ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე.**

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 2005 წლამდე ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწების მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვარის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელიც შემდეგ გადაეგზავნებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად და მტკიცდებოდა მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები. **იმის გამო, რომ 2004 წლიდან დაუსაბუთებლად გაუქმდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა არ ხორციელდება. დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.**

წიგნში ყურადღება გამახვილებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეგისტრაციის საკითხებზე. ავტორი აღნიშნავს, რომ მიწის მესაკუთრეების უმრავლესობამ ორჯერ გადაიხადა რეგისტრაციის თანხა და კიდევ სთხოვენ, მესამედ დაარეგისტრიროს მიწის ნაკვეთი და გადაიხადოს შესაბამისი საფასური. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გადავა სახელმწიფოს საკუთრებაში. ამ ფონზე **ორგანიზებულად ხორციელდება და უკვე პრაქტიკულად მასობრივ ხასიათს იძენს უცხოეთიდან საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემოსახლება. დღეს საქართველოს არც ერთი კანონი არ იცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს დაქუცმაცებისა და გაუზედურებისგან, პირიქით — ხელს უწყობს მიწების დანაწევრებას.**

ბატონი ანზორი აღნიშნავს, რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიწის რეგისტრაციის შესახებ და მიწის საკითხებზე არსებულ სხვა კანონებში რაიმე ცვლილებების სასწრაფოდ შეტანა, ვიდრე არ მივიღებთ მიწის კოდექსს. არსებობს ტყის კოდექსი (ახლა იღებენ ტყის ახალ კოდექსს), წყლის კოდექსი, წიაღის კოდექსი, არ არსებობს მხოლოდ მიწის კოდექსი, რაც დაუშვებელია (ადრე არსებობდა საბჭოთა პერიოდის მიწის კოდექსი). მთავრობის კანცელარიაში სხვადასხვა უწყების მიერ წარმოდგენილი პროექტები მიწის მართვისა და რეგისტრაციის საკითხებზე, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს.

ერთი სიტყვით, ეს წიგნი ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს და გაითვალისწინოს ავტორის შეგონება და მოსაზრებები. დასასრულ, ბატონი ანზორ მესხიშვილის თქმისა არ იყოს, „დროა, გამოვიღვიძოთ, ქართველებო, და არავის მივცეთ უფლება, გაანიავოს ეროვნული საუნჯე და ქართული გენი საკუთარ ქვეყანაში სტუმრად აქციოს...“

**წიგნში მოცემულია ხუთი წერილი: «ქართველებო, გავიღვიძოთ», «როდემდე უნდა ვჯიჯგნოთ ქართული მიწა», «წერილი საქართველოს ყოფილ პრემიერმინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს», «მიწას სჭირდება პატრონი» და «ბოლოთქმა». აქვე მოყვანილია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა აზრი ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე**

**ანზორ ბაბუხადია,**
გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი;
**პაატა კოღუაშვილი,**
**ომარი ქეშელაშვილი,**
აკადემიკოსები;
**თემურ კანდელაკი,**
**ჯუმბერ ფაჩულიძე,**
პროფესორები

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მეგაფორმატის“ ასეთი საინვესტიციო ბანკი ამერიკაში ხუთი იყო. მათგან ერთი გაქრა, ორი შეისყიდეს კრიზისის ორგანიზატორებმა, დარჩენილი ორი კი ისედაც მათი საკუთრება იყო. რა საჭიროა ამდენი ერთმანეთის მსგავსი ბანკი?! და ამიტომაც ორი საინვესტიციო ბანკი კომერციულად გარდაიქმნა, რათა პირდაპირ მიერთებოდა „საბეჭდ დაზგას“: „მათი საქმიანობა აქედან მოყოლებული უფრო მკაცრად გაკონტროლდება სახელმწიფო ორგანოების მიერ, მაგრამ, ამასთანავე, მათთვის უფრო მეტად იქნება ხელმისაწვდომი სახსრები, რომლებსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა გასცემს“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-16 (330-345)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

## „საბეჭდ დაზგას“ ვალები ახრჩობს, ანუ რატომ კეთდება კრიზისი?

წარმოიდგინეთ, რომ ბედმა „გაგიღიმათ“: საშინელი დანაშაულების ჩადენის შედეგად თქვენს სამზარეულოში გაჩნდა საბეჭდი დაზგა, რომელსაც შეუძლია ჩამოგიბეჭდოთ ფულის იმდენი ნიშანი, რამდენიც გსურთ. მაგრამ „ბედის გაღიმება“ შემთხვევითი კი არა, ლამაზად და ვირტუოზულად გაჩარხული საქმის შედეგია და თქვენ შეძელით უმთავრესის გაკეთება — ყველა დააჯერეთ, რომ თქვენ მიერ წარმოებული კუპიურები ნამდვილია. ანუ, ყველაზე უკეთესია, ყველაზე სანდო. პოლიცია, პროკურატურა, უფლებადამცველები, სავაჭრო ქსელის მუშაკები, მყიდველი და გამყიდველი მზად არიან, მიიღონ თქვენს დაზგაზე ჩამობეჭდილი კუპიურები. თქვენს გარშემო საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს. ასეთი სიტუაცია ყველას ხელს აძლევს.

რასა იქმთ ასეთ ვითარებაში?

რა თქმა უნდა, დღესა და ღამეს ფულის ბეჭდვაში გაასწორებთ. რა ემართება ამ დროს თქვენი ცხოვრების დონეს? — იზრდება არნახული ტემპით. თქვენთან ერთად მდიდრდებიან თქვენი ნათესავები, ახლობლები და მეგობრები. კეთილდღეობის მადლი შემდეგ თქვენს მეზობლებზეც გავრცელდება. შეგეძლებათ დაიქირავოთ მომსახურე პერსონალი, შოფრები, მცველები, ბუღალტრები. მათი ცხოვრების დონეც ამაღლდება. თქვენი საბეჭდი დაზგა ნებისმიერ ხარჯს გასწვდება. მადის დაოკება არ დაგჭირდებათ. საჭირო აღარ იქნება, გქონდეთ თქვენ მიერ დაშტამპული კუპიურების ფარდი ოქროს ზოდები, არც არავითარი სხვა „ოქროვალუტის მარაგი“.

თქვენ მიერ ჩამობეჭდილი ფული უმაღლესი ხარისხის ვალუტად წარმოდგება. ამ ვალუტით ნებისმიერ მომენტში შეგეძლებათ ოქროს შესყიდვა. უაზრობად იქცევა საკუთარი ქაღალდების შინ შენახვა.

პროგრესი წინ მიიწევს — ქაღალდზე ფულის ბეჭდვა გუშინდელი დღეა და თქვენ იწყებთ ელექტრონული ფულის გამოშვებას. ამ შემთხვევაში თქვენი ხარჯი პრაქტიკულად ნულის ტოლია. ხოლო ვირტუალური პროდუქციაზე მოთხოვნაა, მას ყველა ანგარიშსწორებაში გასავალი აქვს. დაგჭირდებათ? ჩართავთ კომპიუტერს და იმდენს დახატავთ, რამდენიც გსურთ.

კიდევ რასა იქმთ? საკუთარ ნებას უმორჩილებთ სხვა ადამიანებს. მოქრთამავთ, ასესხებთ, გასცემთ კრედიტებს. თქვენთვის ხომ ფულს მნიშვნელობა არ აქვს. პირიქით — **თქვენი მიზანია, ვალად გასცეთ ისე, რომ აღარ დაგიბრუნონ.**

**არ იხდიან ვალს? სანაცვლოდ შეგიძლიათ წაართვათ ქონება და თქვენს ნებას დაუმორჩილოთ მავანი. სწორედ ასე იქცევა აშშ.** საქესთან „სწორ“ პოლიტიკოსს აყენებს და ისიც თავის ტერიტორიაზე განალაგებს „სწორ“ სამხედრო ბაზებს. ასე მეორდება სახელმწიფოდან სახელმწიფომდე.

თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, გარდა ერთისა: **არ შეგიძლიათ გახდეთ მოვალე.**

მაშ, რატომ აწევს ტვირთად აშშ-ს მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო ვალი? განა შეიძლება ფულის საბეჭდ დაზგას ვალი დაედოს?

წარმოუდგენელია! სასწაულზე სასწაულია!..

ამ სასწაულის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი წუთით დავივიწყოთ კრიზისის ორგანიზების მექანიზმი და არანაკლებ მნიშვნელოვან თემაზე ვილაპარაკოთ — მის მიზნებზე. რისთვის სჭირდებათ კრიზისი მის ორგანიზატორებს? რატომ შეუქმნეს პრობლემები ჩვენი პლანეტის მოქალაქეებს?

**პირველი მნიშვნელოვანი ამოცანა მსოფლიო აქტივების ბანალური შესყიდვაა.**

უპირველესად — სად? რუსეთში? — არა აშშ-ში ერთ წელიწადში, ისეთში, როგორიც თუნდაც დიდი დეპრესიის პერიოდში იყო. ყველას შესყიდვა შეუძლებელია. მსოფლიო დემოკრატიის თვით ციტადელშიც კი დარჩა დამოუკიდებელი ფინანსური ოაზისები. მართალია, ამ სტრუქტურებს არ უცდიათ ფულის საბეჭდი დაზგის წართმევა ფსს-ს მფლობელი ბანკირებისთვის, მაგრამ მათი არსებობა გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა დედამიწის დასამორჩილებლად მდორედ მიმდინარე დამპყრობლურ საქმიანობაში.

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეერთებულ შტატებში კარგად შეისწავლეს ერთი მწარე გაკვეთილი: შეიარაღებული ძალით ვერ შეძლეს ვერც ერთი გეოპოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა. კორეა, ვიეტნამი, კამბოჯა, კუბა — ამერიკის „იმპერიალიზმის“ მარცხის ამ სიის გაგრძელება, ცხადია, შეიძლება. გასაკვირი აქ არაფერია. გასაოცარია სულ სხვა რამ: აშშ-მა თავად დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, როცა ეკონომიკური და საფინანსო ცხოვრება საბოლოოდ გაათავისუფლა „ოქროს სტანდარტის უღლისგან“. ახალ მსოფლმოწყობაში სწორედ ფული ხდება არა მხოლოდ მთავარი საქონელი, არამედ მთავარი იარაღიც. თავიანთი შეცდომა რომ შეიგნეს, ამერიკელებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ დოლარის გამოყენებით წარმართეს და გაიმარჯვეს.**

ეკონომიკური იარაღი საშინელი ძალაა, ფარული და შეუმჩნეველი. ათობით ბანკი სხვადასხვა აზრით, სხვადასხვა სახელწოდებით. და **უცებ ყველა, თითქოს ერთ ბრძანებას დამორჩილებული, ერთი და იმავეს გაკეთებას იწყებს. მაგალითად, რომელიმე ქვეყნიდან თავიანთი კაპიტალის გამოტანას. რადგან იქ „არადემოკრატიული“ არჩევნები გაიმართა, რომელიც ადამიანურ ენაზე ნიშნავს, რომ იმ ქვეყნის ხელმძღვანელობამ არ**





**მსოფლიო შეიცვალა: ხელისუფლებისთვის მებრძოლების მთავარი მიზანი დღეს ქარხნები კი არ არის, ტელეგრაფი და ტელეფონი, ხიდები და ფოსტა, არამედ ბანკები!**





**მოისურვა ამერიკის დაკრულზე ცეკვა, არ მოისურვა თავისი ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის გადაცემა, გაბედა საკუთარი და არა „საერთო საკაცობრიო“ ინტერესების დაცვა.**

ეკონომიკების სრულად ჩამოშლისა და ქვეყნების გასაკოტრებლად საჭიროა, რომ ყველა და არა მხოლოდ რამდენიმე ფულადი ნაკადი თქვენ კონტროლს დაემორჩილოს. საჭიროა, ყველა უმსხვილესი ბანკის აზრის მიღმა იგულისხმებოდეს ერთი და იგივე საფინანსო სტრუქტურა, ისევე, როგორც ამერიკის პოლიტიკური პარტიების ნიღბით, უკვე დიდი ხანია, იმალება ფსს პატრონი ბანკირების ერთი და იგივე ჯგუფი. **მსოფლიო შეიცვალა: ხელისუფლებისთვის მებრძოლების მთავარი მიზანი დღეს ქარხნები კი არ არის, ტელეგრაფი და ტელეფონი, ხიდები და ფოსტა, არამედ ბანკები!**

სადაა თავმოყრილი მსოფლიოს მთავარი საფინანსო რესურსები? რა თქმა უნდა, აშშ-ში. ამერიკული ბანკების შესყიდვა იყო პირველი, რაც კრიზისის ორგანიზატორებმა გააკეთეს, მაგრამ კრიზისმა, უწინარეს ყოვლისა, ბანკებს დაარტყა. დიახ, ასე იყო. ბანკების დღეს არ შეგშურდებათ, მაგრამ დიდი დეპრესიის პერიოდში ყველა ინვესტორი კი არ გაკოტრდა, არამედ ისინი, ვინც არ იცოდა, როდის დაიწყებოდა ჩამოშლა. ასევე, ბევრმა საბანკო სტრუქტურამ სწორედ კრიზისისას გაუგებარი დაჟინებით დაიწყო კონკურენტების შესყიდვა.

კრიზისამდელ პერიოდში შეერთებული შტატების უდიდეს საინვესტიციო ბანკებად ითვლებოდა **„ბირ სტენსი“, „ლემან ბრაზერსი“, „მერილ ლინჩი“, „მორგან სტენლი“, „გოლდმან საკსი“.**

იცით, რა დაემართა ყველა მათგანს?

თუ მრავალბინიანი სახლი დაინგრევა, ყველა იქ მცხოვრებს თავზე დაემხობა ჭერი. თუ ყველა ბანკი საინვესტიციო სამორინეს თამაშობს, თუ ისინი ერთმანეთს მიჰყიდიან დერივატივებს, თუ ყველა აღიარებს სამართლიანი ღირებულების განზომილებას, მაშინ ყველა მათგანის მდგომარეობაც ერთნაირი უნდა იყოს.

ცხოვრებაში კი საოცარ რამეს ვხედავთ — **ბანკების ერთი ნაწილი სასწრაფოდ ყიდულობს სხვების „ნანგრევებს“. აქ მთავარია, ვის ყიდულობენ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინ ყიდულობს.**

პირველი „გარდაიცვალა“ ბანკი „ბირ სტერნსი“. 2008 წლის მარტში იგი საფინანსო კომპანია „ჯეი მორგანმა“ იყიდა. შესყიდვა განახორციელა ბანკმა „ჯეი პი მორგანმა“, ფსს შემქმნელმა და დიდი დეპრესიის ორგანიზატორმა. „გასაკვირი“ დამთხვევაა?!

შემდეგ უფრო საინტერესო ამბები ხდება.

ბანკი „ჯეი პი მორგანი“ ყიდულობს „ბირ სტერნსის“ აქციას ორ დოლარად, მაშინ, როცა ერთი კვირის წინათ „ბირ სტერნსის“ ერთი აქცია უოლ-სტრიტზე 30 დოლარი ღირდა.

ესეც თქვენი კრიზისი: **მსხვილ კონკურენტს 15-ჯერ იაფად ყიდულობენ.** არანაკლებ საინტერესოა, რომ აშშ-ის ყველა საფინანსო ძალა „რატომღაც“ ბანკ „მორგანს“ უჭერს მხარს.

მაშინდელი მასმედია აღნიშნავდა:

„გასული კვირის ბოლოს „ბირ სტერნსმა“ აღიარა, რომ ლიკვიდურობის კრიზისს განიცდის. ფსს-მ პირდაპირი საფინანსო დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებაში მყოფ ბანკს, ამან სპეციალისტების არაერთგვარი რეაქცია გამოიწვია. ფსს-ის გადაწყვეტილების დაცვით ამერიკულ ტელეარხებით გამოვიდა აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ჰენრი პოლსონი“.

„გარიგებას მხარს დაუჭერს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა... შეგახსენებთ, რომ „ბირ სტერნსი“ გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა შუა მარტში, როცა კრედიტორებმა შეწყვიტეს მისი დაფინანსება იმ მიზეზით, რომ ბანკის მიერ დაგროვილი ვალი არნახულად დიდი ოდენობისაა. მაშინ „ჯეი პი მორგანმა“ ფსს-ის მხარდაჭერით ივალდებულა, გამოისყიდოს მისი აქციები“.

„მარტში „ბირ სტერნსმა“ ძლივს დააღწია თავი გაკოტრებას ფსს-გან 29 მილიარდი დოლარის კრედიტის მიღების წყალობით და სიმბოლურ ფასად შეისყიდა „ჯეი პი მორგანმა“.

თავდაპირველად „ბირ სტერნსი“ გადაულახავი სიძნელეების პირისპირ აღმოჩნდება, მაგრამ კეთილი და ყურადღებიანი ფსს დაეხმარება. როგორ? კრედიტს მისცემს? სულაც არა. დახმარების შედეგი აქციების ღირებულების 15-ჯერადი გაიაფებაა. დასაღუპად განწირულ ბანკს ფული არ მისცეს, რჩევით დაეხმარნენ — მიეყიდოს „სწორ“ ადამიანებს. წინადადება იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ მეპატრონეებმა ბანკი კაპიკებად გაყიდეს, უფრო ზუსტად, ცენტებად. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს ფსს „ბირ სტერნსს“ 29 მილიარდი დოლარის კრედიტს — სწორედ გაყიდვის შემდეგ და არა მანამდე! კრედიტის მიღების შემდეგ ბანკი ვერ გაიყიდებოდა. ფსს-მ ასეთი მოწყალების გაღებით ბანკის ძველ პატრონებს კი არ დაუჭირა მხარი, არამედ — ახლებს, თავისიანებს, ანუ დაეხმარა საკუთარ თავს.

ამ ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა. იგი, რა თქმა უნდა, სრულად დაეთანხმა ფედრეზერვის გადაწყვეტილებას. ერთი გუნდი ერთ საქმეს აკეთებს.

ასევე მოიქცევა ვაშინგტონის ახალი გუნდიც, კერძოდ, **ბარაკ ობამას** ადმინისტრაციის ფინანსთა მინისტრი **ტიმოთი გაიტნერი.** ჩიკაგოში, პრესკონფერენციაზე გამოსული ობამა აცხადებს, რომ „შეუდარებელი გამოცდილების მქონე“ გაიტნერს შეუძლია „მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს გულში ჩასცეს მახვილი“. ფედრეზერვის მაღალი თანამდებობის პირს, ჰაიტნერს, ობამა აშშ-ის ▶

# მიუკერძოებელმა სასამართლომ ამერიკაში უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის 82 წლის ყოფილ ვიცეპრეზიდენტს — კრისტიან მილტონს ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა „მონაცემების დაფარვისა და აქციონერების დეზინფორმაციის“ ბრალდებით. შედეგიც კანონიერი დადგა — ბიზნესი გაიყიდა. პროკურორს უთხრეს, სად და როდის უნდა ემუშავა, ვისთვის და რისთვის მიექცია განსაკუთრებული ყურადღება.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეერთებულ შტატებში კარგად შეისწავლეს ერთი მწარე გაკვეთილი: შეიარაღებული ძალით ვერ შეძლეს ვერც ერთი გეოპოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა. კორეა, ვიეტნამი, კამბოჯა, კუბა — ამერიკის «იმპერიალიზმის» მარცხის ამ სიის გაგრძელება, ცხადია, შეიძლება. გასაკვირი აქ არაფერია. გასაოცარია სულ სხვა რამ: აშშ-მა თავად დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, როცა ეკონომიკური და საფინანსო ცხოვრება საბოლოოდ გაათავისუფლა «ოქროს სტანდარტის უღლისგან». ახალ მსოფლმოწყობაში სწორედ ფული ხდება არა მხოლოდ მთავარი საქონელი, არამედ მთავარი იარაღიც. თავიანთი შეცდომა რომ შეიგნეს, ამერიკელებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ დოლარის გამოყენებით წარმართეს და გაიმარჯვეს**

◀ მინისტრად წამოაყენებს და დაამტკიცებინებს კიდეც კონგრესს.

მკითხველისთვის ნათელი რომ იყოს, აქვე უნდა ვთქვათ, რომ **ბატონი ტიმოთი გაიტნერი მინისტრობამდე ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელმძღვანელად მუშაობდა, ანუ იყო ფსს-ის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა.**

დეკორაციის მომავალი ცვლილება თეთრ სახლში არაფერს შეცვლის.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო და ფსს ერთსა და იმავე თამაშს თამაშობენ. გაყიდი ბანკს — მიიღებ ფინანსთა სამინისტროს სახსრებს და გექნება ფსს-ის მხარდაჭერა; არ გაყიდი — არავითარი მხარდაჭერის იმედი არ უნდა გქონდეს არც ერთისგან, არც მეორისგან.

როცა ბანკ „ლემან ბრაზერსის“ დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს, ბოლომდე ებრძოლათ თავიანთი დამოუკიდებლობისთვის, პრესაში ჩნდება ინფორმაცია, რომ აშშ-ის უმსხვილესმა ბანკმა „ბანკ ოფ ამერიკამ“ უარი თქვა გაკოტრების პირას მდგარი „ლემან ბრაზერსის“ შესყიდვის ვარიანტზე...

ბანკის დამფუძნებლები არჩევანის წინაშე დგებიან: ან კარგად გაყიდონ ბანკი, ან ცუდად გაკოტრდნენ. სწორ არჩევანში, როგორც ყოველთვის, ეხმარება ფსს და აშშ ფინანსთა სამინისტრო.

ბანკის დამფუძნებლები ირჩევენ საპატიო დანებებას და 2008 წლის სექტემბერში გარიგება ოფიციალურად გაფორმდება. მასმედიაში ეს აქტი აღიქმება, როგორც უდიდესი გარიგება.

მაგალითი სხვაც უამრავია.

ამასობაში კრიზისის ორგანიზატორებმა უდიდესი საინვესტიციო ბანკების შემდეგ მსხვილი იპოთეკური სააგენტოებიც ხელთ იგდეს.

ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ ნაციონალიზაცია არის რაღაცის გადასვლა სახელმწიფო საკუთრებაში. **„დემოკრატიის ციტადელში“ განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, ნაციონალიზაცია ნიშნავს, როცა კერძო კომპანიას შეისყიდის სახელმწიფო და მიჰყიდის სხვა კერძო პირს; ან შეისყიდის, შემდეგ მის ნაცვლად ქმნის ერთ ან ორ კერძო კომპანიას, რომლებიც იმავე საქმით იქნება დაკავებული. უწინ, კეთილ პატრიარქალურ დროში, ვინმე სახელმწიფოს ხარჯზე თავისთვის თუ შეიქმნიდა კომპანიას, ასეთი ქმედება ითვლებოდა „თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად და კანონის მთელი სიმკაცრით ისჯებოდა, ახლა კი — „ნაციონალიზაცია“...**

ჭეშმარიტად, სწავლა სიბერემდეო, თანაც ყოველდღიურად და შეუჩერებლად. ამასობაში კი ფსს-ის ბიჭები მთელი ეკონომიკების ჟონგლიორობით არიან დაკავებულნი და შესყიდვების საქმეს აწინაურებენ.

2008 წლის სექტემბერი. ამერიკის ხელისუფლებამ დახურა აშშ-ის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი „ვაშინგტონ მიუჩალ ინკლუტიდი“. სააგენტო „როიტერი“ წერდა, რომ ეს კრახი, რომელიც პროვოცირებული იყო დეპოზიტების ამოღებით და ამით გამოწვეული რეიტინგის დაცემით, აშშ საბანკო სისტემის ისტორიაში უდიდესი აღმოჩნდა. იმავე დღეს „ვაშინგტონ მიუჩალ ინკლუდიტის“ საოპერაციო საბანკო აქტივების ნაწილი შეისყიდა ამერიკულმა ბანკმა „მორგან ჩეისმა“. გარიგება მხოლოდ მას შემდეგ გაფორმდა, როცა იგი მოიწონა ფედერაციის მარეგულირებელმა ორგანოებმა...“

სცენარი იგივეა: ხელისუფლება კი არ ეხმარება, არამედ ხურავს გაკოტრების წინაშე მდგარ საფინანსო დაწესებულებებს.

არითმეტიკა მარტივია — აქტივების მოცულობით მათი ბანკები პირველი („ბანკ ოფ ამერიკა“) და მეორე („მორგან ჩეისი“) უდიდესი ბანკები ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნუ მოცდებით უადგილო შეკითხვების დასმით, რატომაა, რომ მაინცდამაინც ეს ბანკები თავს საუკეთესოდ გრძნობენ მაშინ, როცა მთელი საბანკო სისტემა ირღვევა. **კრიზისის დროს თავს კარგად გრძნობენ მისი ორგანიზატორები და კიდევ ზოგიერთი შემთხვევითი ბედკეთილი. ვინ არიან ისინი?.. მოდი, გავიხსენოთ სამი ბანკი, რომლებიც „განიხილავდნენ“ „ლემან ბრაზერსის“ გადარჩენის გზებს, ანუ ცდილობდნენ მის შესყიდვას. ესაა „სითიგრუპი“, „ბანკ ოფ ამერიკა“ და „მორგან ჩეისი“.**

სწორედ ეს „სამი დევგმირი“ არის კრიზისის ორგანიზატორი საბანკო სტრუქტურების ჯგუფი.

ორი მათგანი უკვე „გადაყლაპეს“. „მათი“ მესამე ბანკის რიგი დადგა. სწორედ „სითიგრუპი“ აღმოჩნდა აქტივების ოდენობით აშშ-ის მესამე ბანკი.

როგორ შეისყიდეს „სითიგრუპი“, ამაზე ქვემოთ. ახლა კი „შესანიშნავი ხუთეული“ განვიხილოთ.

ხუთი უდიდესი დამოუკიდებელი საინვესტიციო ბანკიდან რომელი არ ჩაიძირა? ორი: „მორგან სტენლი“ და „გოლდმან საქსი“. პირველის სახელწოდებაში არის გვარი **მორგანის**, რაც ამ სტრუქტურის ფესვებზე მიგვითითებს. ეს არის ჯონ პირპონტ მორგანის უდიდესი იმპერიის კიდევ ერთი განშტოება. „გოლდმან საქსთან“ დაკავშირებით კი მეტად საინტერესო ფაქტი იკვეთება: ირკვევა, რომ აშშ-ის ფინანსთა მინისტრი, რომელიც „აქტიურად ებრძოდა კრიზისს ჯორჯ ბუშის მმართველობის ბოლო პერიოდში, უწინ „გოლდმან საქსის“ ხელმძღვანელი იყო: „გოლდმან საქსის“ გენერალური დირექტორი **პოლსონი** აშშ-ის მინისტრი 2006 წლის ივნისში გახდა“.



საკადრო საკითხები საჩოთირო ფინანსურ სფეროში საკვანძოა იმ ფინანსურად ორიენტირებულ გარემოში, რომელშიც ვცხოვრობთ. შემთხვევითი ადამიანები აქ თანამდებობებზე არ ინიშნებიან. მაგალითად, **ფსს-ის ყოფილი ხელმძღვანელი ალან გრინსპენი, რომელსაც ხშირად ამჟამინდელი კრიზისის მამად მოიხსენიებენ, ფედერალურ რეზერვში დანიშვნამდე ბანკ „მორგან ჩეისში“ მუშაობდა.** ვისია ეს ბანკი, ნუღარ გავიმეორებთ. ჰენრი პოლსონიც მინისტრის პოსტზე „გოლდმან საქსიდან“ მივიდა. ეს ორი ფაქტი ჩვენთვის ლაკმუსის ქაღალდია. ყველა ულაყი, რომლებიც აშშ-სა და მთელ მსოფლიოს ქაობის კრიზისში „შემთხვევით“ ჩაითრევს, ერთი და იმავე საჯინიბოდანაა.

რა არის საინვესტიციო ბანკი, სახელწოდებიდანაც ჩანს — ეს არის სტრუქტურა, რომელიც ფულს რაიმეში (რომელიმე საქმეში) დებს.

„გოლდმან საქსი“ და „მორგან სტენლი“ მალევე შეიცვლიან საინვესტიციო ბანკების სტატუსს, კომერციულ ბანკებად გარდაიქმნებიან და აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ რეგულირებული სტრუქტურების რანგში გადაინაცვლებენ. ფსს-მ ამ ორის შუამდგომლობა ზემოთ აღნიშნული ცვლილების თაობაზე შეტანის დღესვე დააკმაყოფილა.

საინვესტიციო და კომერციულ ბანკებს შორის განსხვავება აშშ-ში არის ის, რომ კომერციულ ბანკს უფლება აქვს, ფსს-დან მიიღოს ფულადი კრედიტი, საინვესტიციო ბანკს კი — არა.

საინვესტიციო ბანკი არის ბიზნესის კარიბჭე დიდ ეკონომიკაში. იგი აბანდებს ფულს, მისით იწყება ახალი ობლიგაციებისა და ბირჟის ობლიგაციების გამოშვების პროცესი. **„მეგაფორმატის“ ასეთი საინვესტიციო ბანკი ამერიკაში ხუთი იყო. მათგან ერთი გაქრა, ორი შეისყიდეს კრიზისის ორგანიზატორებმა, დარჩენილი ორი კი ისედაც მათი საკუთრება იყო. რა საჭიროა ამდენი ერთმანეთის მსგავსი ბანკი?! და ამიტომაც ორი საინვესტიციო ბანკი კომერციულად გარდაიქმნა, რათა პირდაპირ მიერთებოდა „საბეჭდ დაზგას“: „მათი საქმიანობა აქედან მოყოლებული უფრო მკაცრად გაკონტროლდება სახელმწიფო ორგანოების მიერ, მაგრამ, ამასთანავე, მათთვის უფრო მეტად იქნება ხელმისაწვდომი სახსრები, რომლებსაც ფედერალური სარეზერვო სისტემა გასცემს“.**

ბანკების გარდა კიდევ რა ფინანსურ სისტემებს იცნობთ, რომლებიც უნდა შეისყიდოთ საფინანსო ბაზარზე სრული კონტროლის დასამყარებლად?

**სადაზღვევო კომპანიები.** მათაც „ეხმარებიან“.

2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში აშშ-ში განახორციელებენ კიდევ ერთ „სამაშველო“ ოპერაციას. ამჯერად ხელისუფლება „გადაარჩენს“ სადამზღვევო გიგანტს „ამერიკენ ინტერნეიშნლ გრუპს“. საკმაოდ უცნაური დახმარებაა. „ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიაში“ გაგზავნილ წერილში აღნიშნული ბანკის ხელმძღვანელი **მორის გრინბერგი** აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ ძალიან დაგვიანებული არ არის“ კრედიტის პირობების შეცვლა, რომლებითაც ამერიკის ხელისუფლებამ 122,8 მილიარდი დოლარი გამოუყო უმსხვილეს დამზღვევს გაკოტრებისგან თავის დასაღწევად.

მორის გრინბერგმა დასაბუთებულად განმარტა, რომ მოცემული „გადარჩენის გეგმა“ ბიუჯეტსა და აღნიშნულ ბანკს მხოლოდ დააზარალებს, რადგან კრედიტის გაცემის სანაცვლოდ აშშ-ის მთავრობა აღნიშნული ბანკის აქციების 80 პროცენტს იაფად იყიდის. მისი აზრით კი, ამ კომპანიას იგივე პირობები უნდა ჰქონდეს, რაც სხვა საფინანსო ინსტიტუტებს გააჩნია. ამის სანაცვლოდ ფსს სთავაზობს ორწლიან სესხს ძალიან მაღალი პროცენტით, ხოლო ნიუ იორკის პროკურორი **ენდრიუ კუომო** მოულოდნელად ინტერესდება ამ ბანკისა და მისი მისიონერების საქმიანობით და დაუყოვნებლივ იწყება ამ საფინანსო სტრუქტურის „დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული დანახარჯების“ გამოძიება.

(ქართველი მკითხველისთვის ნაცნობი სიტუაციაა ჩვენი უახლესი ისტორიიდან — ზუსტად ასე განახორციელებდა სააკაშვილის ხელისუფლება კერძო ბიზნესის ტერორს).

ინტერესი გაუჩნდა გამოძიების ფედერალურ ბიუროსაც, რომელიც იწყებს ამერიკის უმსხვილესი ფირმების შემოწმებას. „დამოუკიდებელი“ მედია კი აჩაღებს ფართო კამპანიას სამუშაო თათბირების ორგანიზებისთვის გაწეული გაუმართებლად დიდი დანახარჯების პრობლემაზე **(გაიხსენეთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ მოწყობილი სატელევიზიო ციკლი ერთი საერთაშორისო ღონისძიების მონაწილეთათვის გამართული სადილის კერძების ფასების შესახებ. ესეც იქიდან მოდის — სხვისი გამოცდილებიდან).**

**უდიდესი დამსჯელი მანქანა აწყობილად ამოქმედდა. ეს — ამერიკაში. საქართველოში მოცულობითა და შესაძლებლობით მცირე, სხვისი მიმბაძველობით ამოქმედებული დამსჯელი სისტემა არანაკლებ დაუნდობელი იყო და შეუდარებლად ამორალური.**

**„მედასავლეთეები“ დაუზარებლად იმეორებენ, რომ აშშ-ის სასამართლო, ძალოვანი სტრუქტურები მისაბაძია მთელი მსოფლიოსთვის.**

**მართალს ამბობენ.**

**ამ მიბაძვის ჩემპიონები ჩვენი შესაბამისი სტრუქტურები არიან. ცრუმედასავლეთეები.**

**ამერიკაში რა მოხდა?**

**ის, რაც მოსალოდნელი იყო: ზემოთ აღნიშნული გამოძიების შედეგად „მიუკერძოებელმა სასამართლომ ამერიკაში უმსხვილესი სადაზღვევო კომპანიის 82 წლის ყოფილ ვიცეპრეზიდენტს — კრისტიან მილტონს ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა „მონაცემების დაფარვისა და აქციონერების დეზინფორმაციის“ ბრალდებით.**

**შედეგიც კანონიერი დადგა — ბიზნესი გაიყიდა.**

**პროკურორს უთხრეს, სად და როდის უნდა ემუშავა, ვისთვის და რისთვის მიექცია განსაკუთრებული ყურადღება.**

**ასე იყო „ერთხელ ამერიკაში“.**

გაგრძელება იქნება

ეს საინტერესოა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამ 20 წლის მოდელს მსოფლიოში ყველაზე გასაოცარი თვალები აქვს



**ადამიანი, რომელსაც თვალები სხვადასხვა ფერის აქვს, ბევრი არ არის. და ეს უფრო გასაკვირია მაშინ, თუკი მისი პატრონი მოდელია.** 20 წლის სარა მაკდენიელს ერთი თვალი ცისფერი აქვს, მეორე — თაფლისფერი. როგორ შეიძლება გქონდეს სხვადასხვა ფერის თვალები?

**ჰეტეროქრომია** — ერთ ინდივიდუმზე ორი სხვადასხვა ფერის თვალები ან განსხვავებული ფერები თვალის ფერად გარსში — იშვიათად გვხვდება ადამიანებში. და შედეგად ფერადი გარსის პიგმენტაცია ან იზრდება, ან მცირდება.

# დედამ 3 წლის წინათ გარდაცვლილი ბავშვის გულისცემა მოისმინა



**რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ეს სიმართლეა — ამერიკელმა დედამ სამი წლის შემდეგ მოისმინა დაღუპული ვაჟის — ლუკასის გულის ცემა.**

საქმე ის არის, რომ ერთი ადამიანის ტრაგედიას მეორის გამოჯანმრთელება მოჰყვა. 2013 წელს ლუკასი ძიძის მეგობრის სადისტური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. ბიჭის გული ექიმებმა პატარა გოგონას — ჯორდან დრეიკს გადაუნერგეს. სამი წლის შემდეგ კი გოგონას მადლიერმა დედამ ლუკასის დედას შესაძლებლობა მისცა, მისი ვაჟის გულისცემისთვის მოესმინა. გოგონამ მადლობის ნიშნად ბიჭუნას დედას სათამაშო დათუნია უსახსოვრა.

# 112 წლის ისრაელ კრისტალი — პლანეტის ყველაზე ხანდაზმული მამაკაცი

**ისრაელ კრისტალი მსოფლიოში უხუცესი მამაკაცია. იგი 1903 წლის 15 სექტემბერს დაიბადა, მაგრამ მისი წლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტები ახლახან იპოვეს.**




ქალაქ ლოძის (პოლონეთი) არქივებში ნაპოვნ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ მამაკაცი ამ ქალაქში 1918 წლამდე ცხოვრობდა და იმხანად 15 წლის იყო; 25 წლისა დაქორწინდა და საკონდიტრო ფაბრიკაში მუშაობდა; მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა. იქ დაეღუპა მეუღლე, თვითონ კი, როდესაც გაათავისუფლეს, 37 კგ-ს იწონიდა. ომის დამთავრების შემდეგ კრისტალი საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა, გახსნა საკონდიტრო ფარდული და მეორედ იქორწინა.



# უფეხო ახალგაზრდა მამაკაცი კროსფიტის მწვრთნელი გახდა

**ზაკ რული სუსტი ქვედა კიდურებით დაიბადა და ექიმები იძულებულნი შეიქნენ, ბიჭისთვის ფეხები მოეკვეთათ. მიუხედავად ამისა, ზაკმა შეძლო სრულფასოვანი ცხოვრებით იცხოვროს და ბოდიბილდინგითაც კი იყოს გატაცებული.** ახლა ზაკი 26 წლისაა, მშვენივრად გამოიყურება და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მოუწოდებს, სპორტით დაკავდნენ, თვითონ კი კროსფიტის მწვრთნელის როლი იტვირთა.

ცნობისთვის: **კროსფიტი** — საწვრთნელი მეთოდიკა 2000 წელს შეიქმნა. კროსფიტის ვარჯიშებში შედის მძიმე და მსუბუქი მძლეოსნობის, პლიომეტრიკის, პაუერლიფტინგის, ტანვარჯიშისა და სპორტის სხვა სახეობების ელემენტები.



# მეცნიერმა «მშრალი წყალი» შექმნა

**გლობალური დათბობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის პროექტის ფარგლებში ბრიტანელმა მეცნიერმა ბენ კარტერმა შექმნა წყალი ფხვნილის სახით.**

მისი აზრით, **„მშრალი წყალი“** იქცევა ეფექტიან ინსტრუმენტად გარემოს დაბინძურების პრობლემებთან ბრძოლაში. „მშრალი წყალი“ პირველად აშშ-ის ერთ-ერთ სამეცნიერო გამოფენაზე წარმოადგინეს. ნივთიერება ორი კომპონენტისგან შედგება— **წყლისა** და **კაჟის დიოქსიდისგან**. მეორე კომპონენტის სიმცირის (5%) მიუხედავად, ნივთიერება ფხვნილია.

ბენ კარტერმა განაცხადა, რომ „მშრალი წყალი“ გაცილებით უკეთესია ჩვეულებრივზე, რადგან მას შეუძლია შთანთქას ზოგიერთი სახეობის აირი; ის, ასევე, თავისუფლად ერევა ისეთ სითხეებში, რომლებსაც ჩვეულებრივი წყალი არ ირევს. მაგალითად, ეს ნივთიერება ნავთობში იხსნება, წყლისა და ნავთობის შერევა კი შეუძლებელია. მეცნიერს მიაჩნია, რომ ამ გამოგონების წყალობით მომავალში საშიში ნივთიერებების გადაზიდვა გაცილებით უსაფრთხოდ განხორციელდება, რაც გარემოს დაცვას სასიკეთოდ წაადგება.



# მარილის ყველაზე დიდი მთა მსოფლიოში

**გერმანიაში, ჰესენის მხარის აღმოსავლეთში, მდებარეობს მარილის მსოფლიოში ყველაზე დიდი ხელოვნური მთა მონტე კალი, ანუ, როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ, „კალიმანჯარო“.**

მარილის მთამ ზრდა დაიწყო 1973 წლიდან კალიუმის ოქსიდის წარმოების შედეგად და ახლა მისი სიმაღლე 200 მეტრს აღემატება, ფართობი კი 100 ჰექტარს აღწევს.

კალიუმის ოქსიდის ეს უმსხვილესი წყარო ყოველ საათში 900 ტონა ნატრიუმის ქლორიდს (მარილს) აწარმოებს, რომელიც ნარჩენ პროდუქტს წარმოადგენს და ეს უზარმაზარი ნარჩენი კი დაახლოებით 188 მლნ ტონა სუფრის მარილს შეიცავს.

# მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საკონცენტრაციო ბანაკი დღეს სასტუმროა

**მეორე მსოფლიო ომის წლებში ჩერნოგორიის კუნძულ მამულაზე 1853 წელს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის პერიოდში აგებულ შენობაში გაიხსნა საკონცენტრაციო ბანაკი, რომელშიც ტყვეებს აწამებდნენ. აქამდე ბანაკი არც ხელისუფლებისა და არც ტურისტებისთვის საყურადღებო არ იყო, ის მხოლოდ მიტოვებულ ნანგრევებს წარმოადგენდა.**



მაგრამ ამჟამად ჩერნოგორიის ხელისუფლება ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის სასტუმროდ გადაკეთებას გეგმავს, თანაც ლუქს კლასის სასტუმროდ. ეს იდეა ხელისუფლებას ერთ-ერთმა შვეიცარიულმა სამშენებლო კომპანიამ მიაწოდა. გეგმის მიხედვით, მომავალ სასტუმროში იქნება საცხოვრებელი აპარტამენტები, კაფე-რესტორნები, უზარმაზარი საცურაო აუზი; ბანაკის ტერიტორიაზე გაკეთდება პორტი იახტებისა და კატერებისთვის, გაიხსნება „დაივინგ ცენტრი“ ტურისტებისთვის.

ამ იდეის წინააღმდეგ გამოვიდნენ ნათესავები იმ ადამიანებისა, რომლებიც იქ თავის დროზე აწამეს. მათი აზრით, ეს ადგილი თავისებური ისტორიული ძეგლია. მაგრამ მათი აზრის გათვალისწინებას ხელისუფლება არ აპირებს, რადგან თავისი ბუნებრივი სილამაზით მეტისმეტად მომხიბვლელი კუნძული ბევრ ტურისტს მიიზიდავს და შემოსავლის კარგი წყარო გახდება.





**პირველი მზის სათვალე XII საუკუნეში გამოჩნდა. უფრო ზუსტად, ეს იყო კვარცის ფირფიტები. ჩინეთში მათი ტარება აუცილებელი იყო მოსამართლეებისათვის, რათა მათი თვალების გამომეტყველება დაფარული ყოფილიყო მოწმეებისთვის.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰომანტონგის გამოქვაბულების საშინელებანი







**ეს არ არის ადგილი მოზიზლარებისთვის. აქ ნესტიან ჭერზე ბუდობს მილიონობით ღამურა, იატაკი და კედლები კი დაფარულია ტარაკნებით, ხოჭოებით, თაგვებითა და სხვა საშინელი არსებებით, რომლებიც თაგვების ფეკალიებსა და ბუდეებიდან გადმოცვენილი მკვდარი მერცხლების ლეშში პარაზიტობენ. გამოქვაბულებში, აგრეთვე, ბევრია გველი.**

**ამ ბუდეებისგან დამზადებული წვნიანი დელიკატესად ითვლება და საკმაოდ ძვირად ღირებული კერძია თავისი იშვიათობის, მაღალი საკვები ღირებულებისა და ჯანმრთელობისთვის სარგებლიანობის გამო. ზოგი ბუდე ასევე შეიცავს ფრთებს, ხის ტოტებსა და ა.შ. მათ შავ ბუდეებს ეძახიან. საკვებად მათაც იყენებენ, მაგრამ სუფთა ვერსია გაცილებით ძვირია**

მიუხედავად ამისა, გამოქვაბულების ნაწილი გახსნილია დამთვალიერებლებისათვის, რომლებსაც ხის სპეციალური გასასვლელები უსაფრთხოდ გადაადგილებს საშუალებას აძლევს.

გამოქვაბულები ჰომანტონგის ბორცვზე, ტყის დაცულ ნაკრძალში მდებარეობს (საბაჰის შტატი, მალაიზია). ეს გამოქვაბულები, ასევე, ცნობილია **სალანგანის მერცხლების ბუდეებით.** სალანგანის ბუდეს, რომელიც ჰაერზე გამკვრივებული ნერწყვისგან შედგება, სამხრეთ აზიის მცხოვრებნი, საუკუნეებია, საკვებად იყენებენ. ამ ბუდეებისგან დამზადებული წვნიანი დელიკატესად ითვლება და საკმაოდ ძვირად ღირებული კერძია თავისი იშვიათობის, მაღალი საკვები ღირებულებისა და ჯანმრთელობისთვის სარგებლიანობის გამო. ზოგი ბუდე ასევე შეიცავს ფრთებს, ხის ტოტებსა და ა.შ. მათ შავ ბუდეებს ეძახიან. საკვებად მათაც იყენებენ, მაგრამ სუფთა ვერსია გაცილებით ძვირია.

ბუდეების მოსავლის აღება მკაცრად დარეგულირებულია, რათა მერცხალთა პოპულაციას ხელი არ შეეშალოს. წელიწადში ორჯერ — თებერვლიდან აპრილის ბოლომდე და ივლისიდან სექტემბრამდე ადგილობრივი მცხოვრებლები სპეციალური კიბით ადიან გამოქვაბულების თავზე და თოკებისა და ბამბუკის იარაღების დახმარებით აგროვებენ ბუდეებს. პირველი „მოსავლის აღება" მანამდე ხდება, სანამ სალანგანები კვერცხის დებას დაიწყებენ. ასეთ შემთხვევაში ფრინველები ახალ ბუდეებს იშენებენ და კვერცხებსაც იქ დებენ.

შეგროვებული დელიკატესების უმეტესი ნაწილი ჰონგკონგში მიდის, სადაც მას იყენებენ კერძებში, სასმელებსა და მედიცინაში. ფრინველთა ბუდეების იმპორტირების მხრივ აშშ მსოფლიოში მეორე ქვეყანაა. აქ ფრინველის ბუდისგან დამზადებული ერთი თეფში კერძი 100 დოლარი ღირს, ხოლო 1 კგ ბუდე — 2000 დოლარი. მიუხედავად მაღალი ფასისა, ბუდის წვნიანი გემრიელი სულაც არ არის და მას სიამოვნებით ცოტა ვინმე თუ მიირთმევს.

# საინტერესო ფაქტები სათვალეზე



**დროთა განმავლობაში, როცა ადამიანმა დახვეწა მინის დამუშავების ტექნოლოგია, შეამჩნია, რომ კარგად დამუშავებულ და დათხელებულ მინის ნაჭერს შეეძლო საგნების გამოსახულების რამდენიმეჯერ გადიდება. მინის საშუალებით საგნებს კარგად ხედავდნენ ისინიც კი, ვინც შეუიარაღებელი თვალით წვრილმან დეტალებს ვერ ამჩნევდა. არავინ იცის, პირველი სათვალე როდის შეიქმნა, მაგრამ ისტორიამ შემოინახა მისი გამოყენების ბევრი მაგალითი:**

* იმპერატორი **ნერონი** წიგნებს თურმე სპეციალური მეთოდით დამუშავებული ზურმუხტის დახმარებით კითხულობდა.

* **ძველი რომაელი ფილოსოფოსი სენეკა წყლით სავსე მინის ჭურჭელს იყენებდა, რომლის მიღმა ასოები გადიდებული მოჩანდა.**

* პირველი მზის სათვალე XII საუკუნეში გამოჩნდა. უფრო ზუსტად, ეს იყო კვარცის ფირფიტები. ჩინეთში მათი ტარება აუცილებელი იყო მოსამართლეებისათვის, რათა მათი თვალების გამომეტყველება დაფარული ყოფილიყო მოწმეებისთვის.

ნამდვილი სათვალე, სავარაუდოდ, საუკუნის შემდეგ იტალიაში გამოიგონეს. ამაზე მეტყველებს იტალიური ფრესკებისა და XIV-XV საუკუნეების ჰოლანდიელი მხატვრების ტილოების პორტრეტები. პირველი კონტაქტური ლინზები კი გამოჩნდა **ლეონარდო და ვინჩის** ნამუშევრებში.

* **ჰოლივუდის ვარსკვლავების უმეტესობა მუქ სათვალეს ატარებს. რატომ? ის იცავს ნაადრევი ნაოჭების გაჩენისგან, რომლითაც მათ კალიფორნიის მცხუნვარე მზე და გადასაღები მოედნის მკვეთრი განათება აუცილებლად „დაასაჩუქრებს".**

* XVII საუკუნის ესპანეთში სათვალე განსაზღვრავდა მისი პატრონის სტატუსს. რაც უფრო დიდი იყო სათვალის ჩარჩო, მით მაღალი სტატუსი ჰქონდა მის მფლობელს. წარმოიდგინეთ ესპანელი გრანდი სათვალით, რომელსაც ხელისგულისოდენა ლინზები აქვს.

* **დანიაში ფერმერები პლასტიკურ სათვალეს მამლებს უკეთებენ, რითაც მათ ახლომხედველს ხდიან. მამლები კი, რაკი კარგად ველარ ხედავენ, აღარ ჩხუბობენ და ერთმანეთსაც ვერ ასახიჩრებენ.**

* ყველაზე საოცარი სათვალე 2012წელს „გუგლმა" შექმნა. მას არ აქვს მინები, სამაგიეროდ აქვს ციცქნა გამჭვირვალე ეკრანი მარჯვენა თვალთან. სათვალეს ესმის ხმოვანი ბრძანებები, მუშაობს ანდროიდის ოპერაციულ სისტემაზე.

* დასასრულ — ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ სათვალიანი ადამიანი გარშემომყოფთ იმაზე ჭკვიანი ჰგონიათ, ვიდრე სინამდვილეშია.



# კოსტიუმი ცხენისთვის

**დიდ ბრიტანეთში, გლოსტერშირის ყოველწლიურ რბოლებზე წარმოადგინეს მსოფლიოში პირველი კოსტიუმი ცხენისთვის.**

კოსტიუმი შეკერა ცნობილმა დიზაინერმა **ემა სენდჰემკინგმა.** საკმაოდ ძვირად ღირებული ქსოვილით, რომელიც ცხენის კოსტიუმს დასჭირდა, 10 ადამიანის სამოსს შეკერავდა. უცნაურად გამოწყობილი ცხენი სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა რბოლის მაყურებლებისთვის, ცხენი სახელად „მორსტიდიც" სიამოვნებით „პოზირებდა" პაპარაცების წინაშე.

**ჰოლივუდის ვარსკვლავების უმეტესობა მუქ სათვალეს ატარებს. რატომ? ის იცავს ნაადრევი ნაოჭების გაჩენისგან, რომლითაც მათ კალიფორნიის მცხუნვარე მზე და გადასაღები მოედნის მკვეთრი განათება აუცილებლად «დაასაჩუქრებს»**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს უკრაინას შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. მოსალოდნელია, რომ 2050 წლამდე ეს ქვეყანა თავისი მოსახლეობის 28 პროცენტს დაკარგავს და 46,8 მლნ-დან 33,4 მლნ-მდე ჩამოვა.**

# ჩვენი პლანეტის საოცარი ქვეყნები

ამ ქვეყნების ორიგინალურობა მათ ბუნებრივ სილამაზეში, დემოგრაფიულ თუ ტურისტულ თავისებურებებშია.



## კანადა — ქვეყანა 3 მილიონი ტბით

კანადაში მდებარეობს მსოფლიოს ტბების 60 პროცენტი. ზოგიერთ რეგიონში ყოველ 100 კვ. კილომეტრზე 30 ტბა მოდის.



## მონღოლეთი — ყველაზე მეჩხრად დასახლებული ქვეყანა

ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოს ზონებში მდებარე ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მეჩხრადაა დასახლებული. აქ 1 კვ. კილომეტრზე 1,7 ადამიანი მოდის. მონღოლეთში 2, 5 მლნ ადამიანს საკუთრებაში აქვს 600 000კვ მილი მიწა, ანუ 1 560 000კვ კილომეტრი. მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქებში ცხოვრობს, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობს კლიმატი. ქვეყნის ზოგიერთი ნაწილი განვითარების მხრივ ახლაც იმ დონეზეა, როგორიც ჩინგიზ ხანის პერიოდში იყო.



## ნიდერლანდები — ქვეყანა ზღვის დონეზე დაბლა

ნიდერლანდები ქართულად დაბლობ მიწებს ნიშნავს ეს იმითაა გამოწვეული, რომ ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი ზღვის დონეზე დაბლაა, აქ ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტი ცხოვრობს — 15,8 მლნ ადამიანი. მხოლოდ ნიდერლანდების სამხრეთით ადის ტერიტორიის სიმაღლე 30 მეტრამდე.





## ინდონეზია — ქვეყანა, რომელშიც 17 500-ზე მეტი კუნძულია

ამ ქვეყნის სანაპირო ხაზი 81 350 კილომეტრია. დაახლოებით 6 000 კუნძული დასახლებულია. ყველაზე დიდი კუნძულებია: იავა, შუმატრა, ბორნეო, სულავესი, ბალი, ლომბოკი და ფლორესი. **მარჯნის რიფების** 10-15 პროცენტი ინდონეზიაშია.



## სურინამი — ქვეყანა ჯუნგლებში

აქ ტყის მასივი შეადგენს 14,8 მლნ ჰექტარს, ანუ 57 000კვ. მილს, რაც სურინამის მიწების 91 პროცენტია. უზარმაზარი ტყისა და მოსახლეობის სიმცირის გამო, დაახლოებით 400 ათასი დედაქალაქსა და ახლომახლო ქალაქებში ცხოვრობს. ქვეყანას მსოფლიოში ტყის გაჩეხვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი ცხოვრობს ტროპიკულ ტყეებში, ესენი არიან მკვიდრი მოსახლეობა და ზანგების ექვსი ტომი — გაქცეული ყმების შთამომავლები.



## ტუვალუ — ყველაზე ნაკლებსტუმრიანი ქვეყანა

სანაპირო ზოლის სიგრძეა 21 კმ. ტუვალუ განთავსებულია 5 ატოლსა და ტუვალუს არქიპელაგის 4 კუნძულზე. ქვეყნის ხმელეთის საერთო ფართობი 26 კმ-ია და, ამ მხრივ, მსოფლიოში მეოთხეა ყველაზე პატარა ქვეყანებს შორის. სპეციალისტთა პროგნოზის მიხედვით, ტუვალუ იქნება პირველი ქვეყანა, რომელიც წყლით დაიფარება, როცა გლობალური დათბობა ზღვის დონეს მაღლა ასწევს. ამას გარდა, ტუვალუში ჩასვლა საკმაოდ რთულია, ეს შესაძლებელია ფიჯიდან ძვირად ღირებული რეისით, ამიტომ მთელი წლის განმავლობაში აქ 1 100 ტურისტი თუ ჩადის.





## ლიბია — უდაბნოების ქვეყანა

ლიბიის უდაბნო, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (99%) უკავია, დედამიწაზე ერთ-ერთ მშრალ ადგილად ითვლება. აქ ათწლეულები შეიძლება ისე გავიდეს, რომ ერთხელაც არ მოწვიმოს, მაღალმთიან ადგილებში კი ნალექი იშვიათად მოდის — 10-15 წელიწადში ერთხელ.



## უკრაინა — ყველაზე მომაკვდავი ქვეყანა

დღეს უკრაინას შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. მოსალოდნელია, რომ 2050 წლამდე ეს ქვეყანა თავისი მოსახლეობის 28 პროცენტს დაკარგავს და 46,8 მლნ-დან 33,4 მლნ-მდე ჩამოვა.



## ავსტრალია — ქვეყანა-კონტინენტი

ავსტრალია ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც მთელი კონტინენტი უკავია. სიდიდით ის მსოფლიოში მეექვსე ქვეყანაა, რომლის საერთო ფართობი 7 692 024 კვ. კილომეტრია. ის ცოტა პატარაა აშშ-ზე და 31, 5-ჯერ დიდი — გაერთიანებულ სამეფოზე.



**სახლის მშენებლები ბოთლებს ჯერ ქვიშით ავსებენ, შემდეგ მჭიდროდ აწყობენ რიგში და ცემენტის ან თიხის დუღაბით კრავენ. ოროთახიანი ბინისთვის 14 ათასი ბოთლია საჭირო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიგერია ყოველწლიურად სამ მილიონ პლასტიკურ ბითლს ყრის, აქ ყველა მსურველის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველსაყოფად საკმარისი სამშენებლო მასალა მოიძებნება.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიგერიაში სახლებს პლასტიკური ბოთლებით აშენებენ

**ნიგერიელებმა მიაგნეს საცხოვრებელი ფართობის პრობლემის გადაჭრის გზას მცირე დანახარჯებით — მათ პლასტიკური ბოთლების სამშენებლო მასალად გამოყენება დაიწყეს.**

ამ ფოტოებზე ნათლად ჩანს უბრალო პლასტიკური ბოთლებით ამოყვანილი კედლები, რომლებიც თურმე ტყვიაგაუმტარიცაა, ცეცხლგამძლეც, მიწისძვრასაც უძლებს და შენობის შიგნით კომფორტულ ტემპერტურასაც ინარჩუნებს მთელი წლის განმავლობაში.

დღეს ნიგერიაში საცხოვრებლის მწვავე კრიზისია. ტრადიციული წესით მშენებლობა ადგილობრივთათვის საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა და მასზე ბევრს ხელი არ მიუწვდება, ამიტომ იდეა — სახლის პალასტიკური ბოთლებით აშენება — აქ დიდი ენთუზიზმით აიტაცეს.

ამ გზით შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ სახლის მშენებლობის ხარჯების შემცირება, არამედ გარემოც გადაურჩება დაბინძურებას. აქედან გამომდინარე, ამ პროექტის განხორციელებით ორ კურდღელს დაიჭერენ.



სახლის მშენებლები ბოთლებს ჯერ ქვიშით ავსებენ, შემდეგ მჭიდროდ აწყობენ რიგში და ცემენტის ან თიხის დუღაბით კრავენ. ოროთახიანი ბინისთვის 14 ათასი ბოთლია საჭირო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიგერია ყოველდღიურად სამ მილიონ პლასტიკურ ბოთლს ყრის, საცხოვრებელი ფართობით უზრუნველსაყოფად არც თუ ისე მცირე სამშენებლო მასალა მოიძებნება.

**შედარებისთვის:** აშშ-ში ყოველდღიურად 130 მილიონ ბოთლს ყრიან. ეს წელიწადში 47 მილიარდია. მათი 80% ნაგავსაყრელებზე ხვდება. ნიგერიელების მსგავსად, ამერიკელებმაც რომ გამოიყენონ ბოთლები სამშენებლო მასალად, ყოველდღიურად 9257 სახლის აშენებას შეძლებენ. ეს წელიწადში 3,4 მილიონი სახლია და ეს მაშინ, როცა აშშ-ის ქუჩებში 3,5 მილიონი უსახლკარო ათევს ღამეს.



# 2016 წლის ყველაზე უბედური ქვეყანა — ბურუნდი

**ყოველწლიურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაკვეთით ტარდება კვლევა ყველაზე ბედნიერი და უბედური ქვეყნების გამოსავლენად.**

უკვე მერამდენედ პირველ ადგილზეა **დანია**, რომელმაც შარშანდელი ლიდერი — **შვეიცარია** — მეორე ადგილზე ჩამოანაცვლა. ცხოვრებით კმაყოფილი ქვეყნების ათეულში (ბედნიერების დონით) არიან: **ისლანდია, ნორვეგია, ფინეთი, კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ავსტრალია, შვეცია.**

სარეიტინგო სიის მიხედვით, ყველაზე უბედურ ქვეყნად დასახელდა **ბურუნდი** (სახელმწიფო აფრიკაში). უბედური ქვეყნების სიაში მის შემდეგ არიან: **სირია, ტოგო, ავღანეთი** და **ბენინი.**

რუსეთი შარშან ბედნიერი ქვეყნების სიაში 64-ე იყო, წლეულს 56-ეა; ისრაელი — მე-11 ადგილზეა, მე-12 ავსტრიაა, მე-13 — აშშ, გერმანიას წილად ხვდა მე-16 ადგილი, დიდ ბრიტანეთს — 23-ე, იაპონიას — 53-ე, ხოლო ჩინეთს — 83-ე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის ბედნიერების დონე ყოველთვის არ შეესაბამება იქ არსებულ ცხოვრების დონეს, ადამიანთა კმაყოფილებას განაპირობებს ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივი ფაქტორების ერთობლიობა. საყურადღებოა ისიც, რომ უფრო ბედნიერები იმ ქვეყნების მოქალაქეები არიან, რომლებშიც ნაკლებია სოციალური უთანასწორობა.



ბურუნდის დროშა



# პოლიცია ავტომობილის ძრავის გამორთვას დისტანციურად შეძლებს

**როგორც ჩანს, წავიდა ის დრო, როდესაც ავტომობილების გამტაცებლები ან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი მძღოლები პოლიციას ხელიდან უსხლტებოდნენ. 2017 წლიდან რუსეთში ყველა ავტომობილი აღიჭურვება შესაბამისი სისტემით, რომლის სახელწოდებაა „ერა-გლონასი“. ის სხვა ფუნქციების პარალელურად საშუალებას მისცემს პოლიციელს, დისტანციურად გამორთოს ავტომობილის ძრავი. „ერა“ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, მაგრამ მისი სრულმასშტაბიანი გამოყენება 2017 წლიდან იგეგმება.**

მოცემულ მომენტში ავტოტერმინალებში ჩაყენებული „ერა-გლონასი“ თავის ძირითად ფუნქციას ასრულებს — დისპეტჩერულ ცენტრში გზავნის სიგნალს ავარიის თაობაზე შემთხვევის ადგილის კოორდინატების ზუსტი მითითებით. მაგრამ სისტემას გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს, სხვა ფუნქციებს მისი შემქმნელები თანდათან აამოქმედებენ. ერთ-ერთი იქნება ავტომობილის დისტანციური მართვა, რომლის გამოყენების უფლებაც მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ექნებათ პოლიციის მუშაკებს.



ასეთი მიდგომა საკითხისადმი კარდინალურად შეცვლის ადამიანების დამოკიდებულებას წესრიგისადმი, რადგან მომავალი წლიდან „ერა-გლონასის“ ყურადღების ქვეშ მოექცევა ყველა ავტომობილი, ის მუდმივად გააკონტროლებს მოძრაობის ტრაექტორიებსა და სიჩქარეს და ამ მონაცემების სერვერებზე გადაიტანს. სისტემის სიზუსტე დღეისათვის 50 სმ-ია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯარიმების ამოწერა სხვადასხვა დარღვევაზე მოხდება ავტომატურად, სერვერიდან მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე. ამის შემდეგ არანაირი რადარი და საგზაო კამერა აღარ იქნება საჭირო.

„ერა-გლონასის“ შექმნაზე 2011-2012 წლების ფედერალური ბიუჯეტიდან 3,9 მილიარდი მანეთი დაიხარჯა. ნავიგაციური ფუნქციების გარდა, სხვა სიკეთეებთან ერთად, სისტემა იძლევა ავტომობილის შიგა სისტემის დიაგნოსტიკის საშუალებას. სისტემის შემქმნელები მისი ფუნქციების ყველა შესაძლო მიმართულებით განვითარების პირობას იძლევიან.



# თვალთვალის ავტომატური სისტემა და მთვრალი იაპონელები

**იაპონელთა უმრავლესობა ისე გულმოდგინედ მუშაობს მთელი კვირის განმავლობაში, რომ კვირის ბოლოს სტრესის მოსახსნელად გვარიანად გამოთვრება ხოლმე. და რადგან იაპონელები აქტიურად სარგებლობენ მეტროთი და ელექტრომატარებლებით, სიმთვრალეში უბედური შემთხვევის შანსიც მეტი აქვთ — მობარბაცე ადამიანები პლატფორმიდან ხშირად ვარდებიან ლიანდაგებში.Uბედური შემთხვევების შემცირების მიზნით კომპანია JR West -მა სპეციალური პროექტი შეიმუშავა.**

ამ ოპერატორის კუთვნილ ყველა სადგურში დაიდგმება თვალთვალის სპეციალური ავტომატური სისტემები. ეს კამერები სპეციალურად შემუშავებული ალგორითმების მეშვეობით კადრში მყოფ ადამიანებს შორის ნასვამი პირის გამოვლენას შეძლებენ. მაგალითად, თუკი ადამიანი ძალიან დიდხანს ზის მოსაცდელ სკამზე და ერთიმეორეზე უშვებს ელექტრომატარებლებს ან, უბრალოდ, უაზროდ დაყიალობს პლატფორმაზე, კომპიუტერული სისტემა მას აუცილებლად ყურადღებას მიაქცევს და სადგურის მუშაკებს შეატყობინებს.

ჯერჯერობით კამერები მხოლოდ რამდენიმე სადგურშია დამონტაჟებული. ერთი შეხედვით ვინმეს ეს სასაცილოდაც კი შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ასეთია: მატარებლებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების 60% მთვრალ ადამიანებზე მოდის. როგორც ამბობენ, სტატისტიკას ვერაფრით შეცვლი. შესაძლოა, JR West-ის ინჟინერთა მცდელობამ სასურველი შედეგი გამოიღოს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1935 წლის 15 მაისს გაიხსნა მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი და დაიწყო მატარებლების რეგულარული მიმოსვლა.**

დღეს მოსკოვის მეტროპოლიტენი შედგება 12 ხაზისგან, რომელთა საერთო სიგრძე 333 კმ-ია, სადგურების რაოდენობა კი 200-ია.

მოსკოვის მეტროპოლიტენის მომსახურებით ყოველდღიურად 9 მილიონი ადამიანი სარგებლობს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ისტორიაში




*** 1904 წლის 11 მაისს ფიგერასში (კატალონია, ესპანეთი) დაიბადა სახელგანთქმული ფერმწერი, გრაფიკოსი, სკულპტორი, რეჟისორი და მწერალი, სიურრეალიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი სალვადორ დალი (სალვადორ ფელიპ ჟასტინ დალი ი დომენიკი, მარკიზ დე დალი დე პუბოლი).**

შექმნა 1500 მეტი მხატვრული ნაწარმოები — ტილოები, ილუსტრაციები წიგნებისთვის, ლითოგრაფიები, სკულპტურები.

მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „მეხსიერების მუდმივობა“, „ნარციზის მეტამორფოზი“, „საიდუმლო სერობა“, „გეოპოლიტიკური ყრმა აკვირდება ახალი ადამიანის დაბადებას“, „ფანტასმაგორია“, „ქალის ფიგურა ფანჯარასთან“, „დივანი“, „მეი უესტის ტუჩები“ და სხვ.

მუშაობდა ფილმებზე „ანდალუზიური ძაღლი“, „ოქროს საუკუნე“ (რეჟისორი ლუის ბუნიუელი), „მოჯადოებული“ (რეჟისორი — ალფრედ ჰიჩკოკი).

ავტორია წიგნებისა: „სალვადორ დალის საიდუმლო ცხოვრება, მისგანვე მოთხრობილი“, „ერთი გენიოსის დღიური“.

სალვადორ დალიმ 1969 წელს შექმნა „ჩუპა-ჩუპსის“ ლოგოტიპი.

გარდაიცვალა 1989 წლის 23 იანვარს.



*** 1840 წლის 13 მაისს ქალაქ ნიმში დაიბადა ფრანგი რომანისტი და დრამატურგი, პროვანსელთა ცხოვრების ამსახველი მოთხრობების ავტორი და პოპულარული პერსონაჟის — ტარტარენ ტარასკონელის შემქმნელი ალფონს დოდე.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „საფო“, „ნაბობი“, „ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“, „უკვდავი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1897 წლის 17 დეკემბერს.



*** 1948 წლის 14 მაისს შეიქმნა სახელმწიფო ისრაელი.**

1947 წლის 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით (33 — მომხრე, 13 — წინააღმდეგი) მიიღო რეზოლუცია პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფის შესახებ.

1948 წლის 14 მაისს კი **დავიდ ბენ-გურიონმა** თელ-ავივის მუზეუმში წაიკითხა დეკლარაცია ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ისრაელის შექმნის შესახებ.

ებრაელები დამოუკიდებლობის დღეს იომ ა-აცმაუტს უწოდებენ.



*** 1937 წლის 11 მაისს მოსკოვში დაიბადა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი შენგელაია.**

ის არის ცნობილი ქართველი რეჟისორის — ნიკოლოზ შენგელაიასა და მსახიობ ნატა ვაჩნაძის უმცროსი ვაჟი, რეჟისორ ელდარ შენგელაიას ძმა.

გიორგი შენგელაიას გადაღებული ფილმებია: „ალავერდობა“, „მაცი ხვიტია“, „ფიროსმანი“, „ვერისუბნის მელოდიები“, „ქვიშანი დარჩებიან“, „სიყვარული ყველას უნდა“, „ხარება და გოგია“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „სიყვარული ვენახში“, „მიდიოდა მატარებელი“ და სხვ.

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ (გოგია), „ოთარაანთ ქვრივი“ (გიორგი), „ჩვენი ეზო“ (დათო) და სხვ.



*** 35 წლის წინათ, 1981 წლის 13 მაისს, საფეხბურთო კლუბმა თბილისის „დინამომ“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს წარმატებას მიაღწია** — გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში თასების მფლობელთა თასისთვის გამართულ საფინალო მატჩში 2:1 დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იერის გუნდი „კარლ ცაისი“. გოლები გაიტანეს ვლადიმერ გუცაევმა და ვიტალი დარასელიამ.

ფინალამდე ქართველმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს საბერძნეთის „კასტორია“, ირლანდიის „უოტერფორდი“, ინგლისის „ვესტ ჰემ იუნაითედი“, ჰოლანდიის „ფეიენოორდი“.

თბილისის დინამო 1981 წლის 13 მაისის ისტორიულ მატჩში ამ შემადგენლობით ასპარეზობდა: **ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე (კ), ნოდარ ხიზანიშვილი, გიორგი თავაძე, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე (67 წ. ნუკრი კაკილაშვილი), თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი.**



*** 1859 წლის 15 მაისს პარიზში დაიბადა ფიზიკოსი, რადიოაქტიურობის პირველი მკვლევარი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1903 წ.) პიერ კიური.** მისი მიღწევებიდან აღსანიშნავია პიეზოელექტრული ეფექტის, აგრეთვე, პოლონიუმისა და რადიუმის აღმოჩენა.

გარდაიცვალა 1906 წლის 19 აპრილს.

*** 1928 წლის 15 მაისს კინოეკრანებზე ფილმში „შეშლილი თვითმფრინავი“ პირველად გამოჩნდა უოლტ დისნეის მულტიპლიკაციური პერსონაჟი მიკი მაუსი, თუმცა მიკი მაუსის დაბადების დღედ 1928 წლის 18 ნოემბერი ითვლება (ფილმი „გემი უილი“).**





*** 1933 წლის 12 მაისს სოფელ კოლაგში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემიის ლაურეატი ბივი ბერიკაშვილი.**

გადაღებულია ფილმებში: „მიდიოდა მატარებელი“ (მანდო, „რამკიანი“ ქურდი), „თეთრი ბაირაღები“ (ტიგრანა), „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (სანჩო), „მარადისობის კანონი“ (ბულიკა), „სიყვარული ყველას უნდა“ (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), „დათა თუთაშხია“ (კოსტა დასტურიძე), „ნატვრის ხე“ (ფადლაურა), „ღვინის ქურდები“ (ფირუზა), „ლონდრე“ (ლონდრე) და სხვ.



*** 1891 წლის 15 მაისს კიევში დაიბადა რუსი მწერალი, დრამატურგი, თეატრის რეჟისორი და მსახიობი, უამრავი მოთხრობის, ფელეტონის, პიესის, კინოსცენარისა და ოპერის ლიბრეტოს ავტორი მიხეილ ბულგაკოვი.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „თეთრი გვარდია“, „ძაღლის გული“, „საბედისწერო კვერცხები“, „ოსტატი და მარგარიტა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1940 წლის 10 მარტს.



*** 1945 წლის 12 მაისს დასრულდა საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაცია, რომლის შედეგად ფაშისტი დამპყრობლების ნარჩენებისგან გათავისუფლდა ჩეხოსლოვაკია და მისი დედაქალაქი პრაღა.**

მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის დაცემის შემდეგ, 1945 წლის 8 მაისს, ფაშისტურმა გერმანიამ ხელი მოაწერა უპირობო კაპიტულაციის აქტს, გერმანელთა ქვედანაყოფები მაინც განაგრძობდნენ წინააღმდეგობას. ვერმახტის არმია „ცენტრისა“ და არმია „ავსტრიის“ ნაწილები — 900 ათასზე მეტი ჯარისკაცი — ჩეხოსლოვაკიისა და ავსტრიის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე იყვნენ გამაგრებულნი და დანებებას არ აპირებდნენ. 9 მაისს, საღამოს, უკრაინის 1-ელი ფრონტის ნაწილებმა შეუტიეს გერმანელებს და 10 მაისს, დილით, პრაღა გაათავისუფლეს. უკრაინის მეორე ფრონტის ნაწილებმა კი არმია „ავსტრიის“ დაჯგუფებები გაანადგურეს.

12 მაისს ჩეხოსლოვაკია გათავისუფლებული იყო ფაშისტებისგან.

ეს იყო საბჭოთა არმიის ბოლო სტრატეგიული ოპერაცია დიდ სამამულო ომში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**საკმაოდ დაძაბული პერიოდია, განსაკუთრებით — სასწორის ნიშნით დაბადებულთათვის. წარმატებას მიაღწევენ კუროსა და თხის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**11 - 17 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

შეეცადეთ, არ გამოტოვოთ ღონისძიებები, რომლებზეც მიგიწვევენ, რადგან სწორედ იქ შეიძლება გაიცნოთ ადამიანი, რომელიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებათ.

კოლეგებთან შეინარჩუნეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობა და თქვენი ავტორიტეტი ამაღლდება. ეს ხელს შეგიწყობთ კარიერაში წინსვლაში.

მარტოხელა ვერძებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის იმ წარმომადგენელთან, რომელთან ურთიერთობის გაღრმავებაც, დიდი ხანია, სურდათ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 15 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 12 მაისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

მოგეცემათ პოტენციალის სრულად გამოვლენის შანსი და შეძლებთ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას. შესაბამისად, გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა.

კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად.

მარტოხელა კირჩხიბებს ელით რომანტიკული შეხვედრები მათთვის საინტერესო საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან. ურთიერთობის გაღრმავება მხოლოდ კირჩხიბის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული.

უმოძრაობამ — სამუშაო ადგილზე დიდხანს ჯდომამ შეიძლება ქრონიკული დაავადების პროვოცირებას შეუწყოს ხელი. შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად და იკვებოთ ნატურალური პროდუქტებით.

**დადებითი დღე: 15 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 12 მაისი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

დაძაბული პერიოდია. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს და, თუ გსურთ, ცხოვრება არ გაირთულოთ, ნუ გასცემთ ფუჭ დაპირებებს.

საეჭვო ფინანსურ და კომერციულ გარიგებებში მონაწილეობა დანაკარგების მეტს არაფერს მოგიტანთ. შემოსავლის დამატებითი წყაროები შემოქმედებით სფეროში ეძებეთ.

თქვენმა დაუფიქრებელმა საქციელმა შეიძლება მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს საყვარელ ადამიანთან, ამიტომ, ვიდრე რამეს მოიმოქმედებთ, სჯობს, კარგად დაფიქრდეთ.

დიდია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 16 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 13 მაისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

კარგი პერიოდია პროფესიულ საქმიანობაში წინსვლისთვის. თქვენი გულმოდგინე მუშაობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და შესაძლოა, დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ.

მარტოხელა თხის რქებმა ინიციატივა უნდა გამოიჩინონ და, ბოლოს და ბოლოს, გადადგან ნაბიჯი იმ ადამიანთან უფრო დასაახლოებლად, რომელიც, დიდი ხანია, მოსწონთ. დაქორწინებულმა თხის რქებმა კი შეიძლება თავიდან ვერ აიცილონ უთანხმოება მეუღლის ნათესავებთან.

დიდია ქრონიკული ალერგიული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 13 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 15 მაისი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

სასიკეთო პერიოდია პროფესიულ სფეროში წინსვლისთვის. აღივსებით ენერგიით და შეძლებთ შესაძლებლობების სრულად გამოვლენას, რაც დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან შესაძლოა, ფინანსური პრობლემები შეგექმნათ.

დაქორწინებულმა კუროებმა, არასტაბილური ემოციური მდგომარეობის გამო, შეიძლება თავიდან ვერ აიცილონ უსიამოვნო კამათი საყვარელ ადამიანთან. გახსოვდეთ, რომ წინდაუხედავად ნათქვამმა ერთმა სიტყვამ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

ნაკლებად მოძრავი სამუშაო რეჟიმის გამო შეიძლება შეგექმნათ საკვების მომნელებელი სისტემის პრობლემა. მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად და რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი საკვები.

**დადებითი დღე: 16 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 11 მაისი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

გაგიჩნდებათ ბევრი იდეა, რომელთა განხორციელებას მარტო ვერ შეძლებთ. ნუ მოგერიდებათ დახმარების თხოვნა ახლობლებისთვის. წარმატებას მხოლოდ შეუპოვარი მოქმედებითა და მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწევთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დადებით ემოციებს გამოიწვევს — ის თქვენი საიმედო დასაყრდენი იქნება და რთულ ვითარებაში აუცილებლად დაგეხმარებათ.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება. ის ლომები კი, რომლებსაც ჭარბი წონის პრობლემა აწუხებთ, კარგი იქნება, თუ სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებიან.

**დადებითი დღე: 11 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 14 მაისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

შესაძლოა, ახალი პროექტის განხორციელება შემოგთავაზონ. უარს ნუ იტყვით, თუ შესაძლებლობების სრულად გამოვლენით შესანიშნავ შედეგს მიაღწევთ და ხელმძღვანელობისა და კოლეგების თვალში ავტორიტეტს კიდევ უფრო განიმტკიცებთ.

თქვენი დაუფიქრებელი საქციელი საყვარელი ადამიანის მწვავე რეაქციას გამოიწვევს, თავი აარიდეთ ასეთ ნაბიჯს და შეეცადეთ, საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილებები ერთობლივად მიიღოთ.

კომპიუტერის მონიტორთან ან ტელეეკრანთან დიდხანს ჯდომამ შეიძლება თვალები გადაგიღალოს და მხედველობის პრობლემები შეგიქმნას. შეეცადეთ, შეასრულოთ სპეციალური სავარჯიშოები მხედველობის გასაუმჯობესებლად.

**დადებითი დღე: 15 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 12 მაისი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

პროფესიულ სფეროში წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ დაკისრებულ მოვალეობებს პირნათლად შეასრულებთ. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ, რადგან მოსალოდნელია გაუთალისწინებელი დანახარჯები.

შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ახლობელი ადამიანების გარემოცვაში. ისინი ბევრ ბედნიერ წუთს გაჩუქებენ.

დიდია კუჭ-ნაწლავთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. დაიცავით კვების რეჟიმი და თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს.

**დადებითი დღე: 17 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 13 მაისი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

სამსახურში კოლეგებთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ შენიშვნებისგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფიქრობთ, რომ მართალი ხართ, რადგან არ არის გამორიცხული, გაგინაწყენდნენ.

ნუ ჩაერთვებით საეჭვო კომერციულ გარიგებაში და გაფრთხილდით დოკუმენტების გაფორმებისას, რადგან დიდია ალბათობა იმისა, რომ თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

დაქორწინებული ტყუპების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან ჰარმონიულად წარიმართება. მარტოხელები კი უნდა დაფიქრდნენ, ღირს კი ურთიერთობის გაგრძელება ახალგაცნობილ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან.

ავადმყოფობის თავიდან აცილების უნივერსალური საშუალება არის ფიზიკური დატვირთვა, სწორი კვება და სრულფასოვანი დასვენება — ძილი.

**დადებითი დღე: 17 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 13 მაისი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ, მაგრამ მეთოდურად იმოქმედეთ — ნუ შეეცდებით რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას, რადგან, შესაძლოა, ვერც ერთი ვერ დაასრულოთ ისე, როგორც გსურთ. კოლეგების მიმართ უსაფუძვლო კრიტიკა უთანხმოებას გამოიწვევს და რეპუტაციას შეგილახავთ. სათანადოდ დააფასეთ შრომა იმ ადამიანებისა, რომლებიც რთულ მომენტებში მხარში ამოგიდგებიან ხოლმე.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მოთხოვნებსაც გაითვალისწინებთ და საოჯახო პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებით. მარტოხელა ქალწულების მცდელობა, აღადგინონ გაწყვეტილი ურთიერთობა, უშედეგოდ დასრულდება. თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 17 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 12 მაისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

მოიმატებს თქვენი თავდაჯერებულობა და შეეცდებით, რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას, მაგრამ არასახარბიელო შედეგს მიიღებთ, ამიტომ მთავარი ორიენტირი აირჩიეთ და მისკენ ნელ-ნელა, მეთოდურად იარეთ. გადაწყვეტილების მიღების წინ კი რჩევა გამოცდილ ადამიანებს ჰკითხეთ.

პრობლემების მოგვარებაში საყვარელი ადამიანიც მხარში ამოგიდგებათ, რაც თქვენს ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

დიდი ფიზიკური და გონებრივი დაძაბულობის გამო შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგიუარესდეთ, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას და იკვებოთ ვიტამინებით მდიდარი საკვებით.

**დადებითი დღე: 14 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 11 მაისი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

დაძაბული პერიოდია. დასახულ მიზნებს მხოლოდ აქტიურობითა და შეუპოვარი მოქმედებებით მიაღწევთ. თუ სამუშაოს შეცვლას აპირებთ, ახლა ამისთვის კარგი დროა, განსაკუთრებით შემოქმედებითი პროფესიის თევზებისთვის: მსახიობებისთვის, მწერლებისთვის, ჟურნალისტებისთვის.

არ გაასესხოთ ფული და არც ბანკიდან აიღოთ კრედიტი. დაქორწინებული თევზების ოჯახში მყუდროება და ჰარმონია დაისადგურებს. მარტოხელა თევზებმა კი, სჯობს, არ დააჩქარონ მოვლენები იმ ადამიანთან ურთიერთობისას, რომელთან შეხვედრაც ცოტა ხნის წინათ დაიწყეს.

მოთოკეთ ემოციები და თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში და ფიზიკურად დაიტვირთოთ.

**დადებითი დღე: 17 მაისი.**
**უარყოფითი დღე: 11 მაისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს!

**ბატონო დავით,**

საზოგადოება „ზუგდიდელი“ არის არაპოლიტიკური და არაკომერციული ორგანიზაცია და იგი წარმოადგენს მოქალაქეთა ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას, აქვს წესდება და სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებას. მათგან ძირითადია ეროვნული ტრადიციებისა და ფასეულობების, მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვის, ზნეობრივი და ეთიკური ქცევის ნორმების დამამკვიდრებელ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა.



სამწუხაროდ, დღეს ე.წ. ლიბერალები ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მასმედიის მეშვეობით ეწევიან საკმაოდ ვრცელ, მიზანდასახულ, ორგანიზებულ პროპაგანდას საქართველოში მოსახლეობისთვის ისეთი მიუღებელი ცხოვრების წესების დასანერგად, როგორიცაა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მარიხუანის დეკრიმინალიზაცია.

საქართველოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საზოგადოება „ზუგდიდელის“ ინიციატივით, მიმდინარე წლის 5 აპრილს შედგა ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ფართო სპექტრის შეკრება, რომლებმაც ერთხმად დაგმეს ყოველგვარი არატრადიციული და მოითხოვეს, პარლამენტს წარედგინოს შეკრების მონაწილეთა შემდეგი წინადადებები:

**1. დაკანონდეს კონსტიტუციით, რომ „ქორწინება არის სისხლით ნათესაობის არმქონე ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ურთიერთობა“.**

**2. პასპორტში ჩაიწეროს მამის სახელი და ეროვნება.**

**3. დეტალურად შესწავლილ იქნას იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქართველოში ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი, რომელთა საქმიანობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისთვის კატეგორიულად მიუღებელია.**

**4. მიღებული იქნას კანონი ლგბტ-თა აღლუმების ჩატარება-მოწყობის აკრძალვის შესახებ.**

**5. მიღებულ იქნას კანონი მარიხუანის დეკრიმინალიზაციის დაუშვებლობის, მარიხუანის მომხმარებელთა ადმინისტრაციული წესით დასჯისა და მისი პოპულარიზაციის აკრძალვის თაობაზე.**

ბატონო დავით,

ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით ყოველგვარ არატრადიციულს.

პარლამენტი არჩეულია ქართველი ხალხის მიერ და დარწმუნებულნი ვართ, რომ მოუსმენს ხალხის სამართლიან მოთხოვნას; იმ მოთხოვნას, რომლის მიზანია ჩვენი მომავალი თაობის წარღვნისგან გადარჩენა და ქვეყნის მომავალზე ფიქრი.

ველოდებით პარლამენტის სამართლიან გადაწყვეტილებას.

შეკრების მონაწილეთა სახელით,

**1. ახალაია როლანდი, წმ. ლუკას სახ. მრავალპროფილიანი კლინიკის დირექტორი**
**2. ბარამია ანზორი,** ჟურნალისტი, მწერალი
**3. ბენდელიანი ნატო, აფხაზეთის №12 საჯარო სკოლის დირექტორი**
**4. გვარამია მანანა,** ბიბლიოთეკის დირექტორი
**5. გოგია ლაშა,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
**6. გოგოხია ირაკლი,** ქალაქის მერი
**7. გუგუჩია იურა,** ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი
**8. გურგულიანი კოტე,** მუზეუმების ცენტრის დირექტორი
**9. მალხაზ ჟანტურია,** დეკანოზი
**10. ვეკუა კარლო,** საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი
**11. თირქია გელა,** პოლიციის მაიორი
**12. თოლორაია ედიშერი,** მუნიციპალიტეტის გამგებელი
**13. კალანდია აბელი,** სამხატვრო გალერეის დირექტორი
**14. კემულარია ნატალი,** კულტურის ცენტრ „ოდიშის“ დირექტორის მოადგილე
**15. კემულარია თემური,** მუნიციპალიტეტის მერიის მთავარი სპეციალისტი
**16. კვარაცხელია ზურაბი,** მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისის უფროსი
**17. კვაშილავა შაქრო,** შპს „ტერმინალის“ დირექტორი
**18. კიკალიშვილი კლიმენტი,** შრომის ვეტერანი
**19. მალაშხია ნუგზარი,** ზუგდიდის დასუფთავების ცენტრის დირექტორი
**20. კუხალეიშვილი დავითი,** იურისტი
**21. მამფორია ნინო,** კულტურის ცენტრ „ოდიშის“ დირექტორი
**22. მატკავა მზია,** №1 სამუსიკო სკოლის დირექტორი
**23. მაქაცარია როლანდი,** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი
**24. ნანავა მაიზერი,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
**25. ნარსია ლაშა,** გრ. ხვიტიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი
**26. ნაჭყებია გონელი,** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე
**27. ნაჭყებია მანანა,** სასულიერო გიმნაზიის დირექტორი
**28. ნაჭყებია მურმანი,** საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე
**29. ოტობაია გური,** მწერალი
**30. სართანია გიზო,** მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე
**31. სართანია ნუგზარი,** შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭო
**32. სარია ნუგზარი,** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
**33. სოსელია გივი,** შპს „ფაიფურის“ დირექტორი
**34. ფაცაცია ოთარი,** საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე
**35. ფიფია ვაჟა,** საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი
**36. ქვარაია მერაბი,** ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე
**37. ქირია ლადო,** ჟურნალისტი
**38. ქობალია თენგიზი,** მუნიციპალური გამგეობის ურბანული განვითარების არქიტექტურის სამსახურის უფროსი
**39. ქუჩულორია ანზორი,** შპს „მექანიკური კომბინატის“ დირექტორი
**40. ღადუა ზამირა,** პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი
**41. შანავა თენგიზი,** მუნიციპალური გამგეობის უფროსი
**42. ცანავა დაზმირი,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
**43. ცანავა თამაზი,** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
**44. ციმინტია მამუკა,** მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორი
**45. ცხადაია ვახტანგი,** რეგიონული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი
**46. ცხონდია ზურაბი,** მწერალი, ჟურნალისტი
**47. წიფურია მამუკა,** გრ. ხვიტიას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი
**48. წოწერია მამუკა,** რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის დირექტორი
**49. ჭითანავა თენგიზი,** შემოსავლების სამსახურის რეგიონის ოფიცერთა სექტორის უფროსი
**50. ჭილაია კოტე,** №11 სკოლის პედაგოგი
**51. ხაინდრავა ბესო,** შპს „ცერერას“ დირექტორი
**52. ჯგუშია ნათია,** გაზეთ „ეგრისის მაცნეს“ დირექტორი
**53. ჯიქია ბონდო,** საზოგადოება „ზუგდიდელის“ წევრი



# დონალდ ტრამპი: დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის გარეშე უკეთესად იქნება

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა „ფოქს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის გარეშე „უკეთესად იქნება“. მან ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირა მხარი.**

ტრამპის აზრით, ევროპაში შექმნილი მიგრაციული კრიზისი ევროკავშირის ქმედებებს უკავშირდება და სწორედ ამ პრობლემის გამო, ლონდონმა ევროკავშირის შემადგენლობის დატოვების გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

გასული თვის ბოლოს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას არ გამორიცხა, რომ ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლა აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობებს გაართულებს.

დიდ ბრიტანეთში ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენის საკითხზე რეფერენდუმი 23 ივნისს გაიმართება.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**




# ევროპაში სიგარეტის კოლოფების ერთიანი სტანდარტი ამოქმედდება

**ევროპის სასამართლომ ევროკავშირში სიგარეტით ვაჭრობის გამკაცრებული ნორმები დაამტკიცა. უცხოური პრესის ინფორმაციით, თამბაქოს მწარმოებელმა მსხვილმა კომპანიებმა ახალი კანონის დაბლოკვა ვერ მოახერხეს, რომლის თანახმად, სიგარეტის კოლოფები სტანდარტიზებული იქნება, ხოლო ელექტრონული სიგარეტის რეკლამა აიკრძალა.**

ევროკავშირის ზონაში ახალი გამკაცრებული ნორმები მალე ამოქმედდება, თუმცა სიგარეტები ახალი შეფუთვით იქამდე არ გაიყიდება, ვიდრე ძველი თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია არ მოხდება, რასაც შესაძლოა, 1 წელი დასჭირდეს.

ამასთანავე, ახალი საკანონმდებლო ნორმებით იკრძალება არომატიზებული სიგარეტები და განსაკუთრებული ნორმები წესდება ელექტრონულ სიგარეტებზე.


## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოქს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე,**
**მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე)**
**თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3**
**(დედათა და ბავშვთა მონასტერი)**





http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894